ჩინოვნიკები უნდა მოემზადონ წაგებული სანაძლეოს შესასრულებლად A3

თქვენი აფხაზეთი A4

TV პროგრამა A8

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ოთხშაბათი, 13 აგვისტო, 2003 წელი. №218 (430)

ფასი 30 თეთრი

## მირცხულავა გადადგა

სოფიკო ოხანაშვილი

გუშინ დავით მირცხულავა სათბობ-ენერგეტიკის მინისტრის პოსტიდან ნებაყოფლობით გადადგა და საქართველოს ელექტროენერგიის მარეგულირებელი კომისიის თავმჯდომარის ვაკანტურ თანამდებობაზე ინიშნება. გუშინვე გახდა ცნობილი სათბობ-ენერგეტიკის მინისტრის პოსტზე ახალი კანდიდატურის ვინაობაც. მირცხულავა სახელმწიფო მინისტრის მოადგილით, მამუკა ნიკოლაიშვილით ჩაანაცვლეს. მისი კანდიდატურა ამ თანამდებობაზე ადრეც განიხილებოდა. ჯორბენაძის განცხადებით, ნიკოლაიშვილის კანდიდატურის პერზიდენტთან შეთანხმება ორი დღის წინ მოხდა. მირცხულავასა და ნიკოლაიშვილის კანდიდატურებს ახალ თანამდებობებზე დასამტკიცებლად პრეზიდენტი ოფიციალურად პარლამენტში დღეს წარადგენს.

მირცხულავას გადადგომის შესახებ ინფორმაცია პირველად სახელისუფლებო ბლოკის სხდომიდან გამოსულმა თბილისის მერმა ვანო ზოდელავამ დაადასტურა. სათბობ-ენერგეტიკის მინიტრის კანდიდატურაც ოფიციალურად პირველად ზოდელავამ გაახმოვანა. რამდენიმე წუთის შემდეგ მირცხულავას საქართველოს ელექტროენერგიის მარეგულირებელი კომისიის თავმჯდომარის ვაკანტურ თანამდებობაზე გადაყვანისა და სათბობ-ენერგეტიკის მინისტრის ვაკანტურ პოსტზე საკუთარი მოადგილის მამუკა ნოკოლაიშვილის დანიშვნის შესახებ ინფორმაცია სახელმწიფო მინისტრმა ავთანდილ ჯორბენაძემაც დაადასტურა. **"მირცხულავა კარგი სპეციალისტია, ის სემეკის ღირსეული თავმჯდომარეც იქნება. რაც შეეხება მინისტრის ახალ კანდიდატურას, ეს ჩემი მოადგილე მამუკა ნიკოლაიშვილია,"** - განუცხადა ჟურნალისტებს ბლოკის სხდომიდან გამოსულმა ჯორბენაძემ.

პირველი კომენტარი მამუკა ნიკოლაიშვილმა გვიან ღამით გააკეთა. **"ეს ჩემთვის ძალიან დიდი პატივია, ძალიან დიდი პასუხისმგებლობა, პრეზიდენტის ნდობა, რომელსაც აუცილებლად გავამართლებ. მე ვფიქრობ, რომ ჩემი და სემეკის ახალი თავმჯდომარის ერთობლივი მუშაობა ნაყოფიერი იქნება,"** - განაცხადა მან.

გაგრძელება A3 გვერდზე

## დასიცხული პარლამენტი და კოდექსს შექიდებული ხუთი დეპუტატი

თამარ ხორბალაძე

პარლამენტის გუშინდელი სხდომა ქარიშხლის წინ გარინდებას ჰგავდა. საარჩევნო კოდექსი, მიუხედავად დარჩენილი შეუთანხმებელი "ნიუანსებისა", უკვე ისე ველარ აღელვებს ქართულ პარლამენტს, რომ დეპუტატებს თავი მოუყაროს და ცხარე დაბატებისთვის განაწყოს.

ხუთი დეპუტატი და ერთი ვიცე-სპიკერი გახლდნენ გუშინდელი პარლამენტის სხდომის, განსაკუთრებით კი მეორე ნაწილის მთავარი გმირები – ირაკლი მინდელი, ზაქრო ქუცნაშვილი, ვასილ მაღლაფერიძე, ვალერი გელბახიანი და ვახტანგ ხმალაძე საღამომდე "შესაშური ამტანიანობით" ეზიდებოდნენ საარჩევნო კოდექსის განხილვის ტვირთს და უჰაერობით დაგუდულ სხდომათა დარბაზში ნაბიჯ-ნაბიჯ მიჰყვებოდნენ საარჩევნო კოდექსს. ეს 93-გვერდიანი დოკუმენტი ვახტანგ ხმალაძის პირმშოა და, საქმეში ჩახედულთა მტკიცებით, სწორედ ზემოთ მოხსენიებულ ხუთ პარლამენტარს თუ აქვს ბოლომდე ჩაკითხული.

პარლამენტის სხდომას ასევე უძღებდა გიორგი ბარამიძე, რომლის მიერ ბიუროზე გამოთქმული ირონიული ინიციატივაც - 10-10 ლარის შეკრება და პარლამენტის შადრევანის შეკეთება - პარლამენტარებმა სრული სერიოზულობით კი აღიქვეს, მაგრამ, როგორც ჩანს, ჯერჯერობით, ეს 10 ლარი ვერ გაიმეტეს.

სხვათა შორის, პარლამენტართა საამაყოდ უნდა ითქვას, რომ დილის თორმეტ საათზე კვორუმი გაჭირვებით მაინც მოაგროვა და ერთი გადაწყვეტილების მიღებაც მოახერხა: ცვლილება შეიტანა საარჩევნო კოდექსში, რომლითაც ცენტრალური, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიის მოხელეებისთვის სერთიფიკატების მიღება გადაავადა.

გაგრძელება A3 გვერდზე

## უპასუხოდ დატოვებული შეკითხვა

თუ "ეი-ი-ეს"-ი ოპოზიციას სამ პროცენტს უხდიდა, რამდენს გადაუხდის "რაო ეეს"-ი ხელისუფლებას?

ვერიკო თევზაძე

*"ოპოზიციამ "ეი-ი-ეს"-ის წასვლით სამპროცენტიანი წილი დაკარგა და ამიტომ ყვირის", - სახელისუფლებო ბლოკის სპიკერმა ირინა სარიშვილი-ჭანტურიამ გუშინ ჟურნლისტის პროფესიაც შეითავსა: პრესკონფერენციაზე მან თავად დასვა შეკითხვები და თავადვე უპასუხა.*

რა აყვირებს და ანერვიულებს ოპოზიციას, რომლიც საქართველოში "რაოს" შემოსვლის წინააღმდეგია? რატომ დუმს ხელისუფლება და არ სცემს ოპოზიციას პასუხს? "ეი-ი-ეს"-თან "რაო"-ს ჩანაცვლებით შეიცვალა თუ არა ჩვენმა სახელმწიფომ პოლიტიკური კურსი? – ძირითადად ეს შეკითხვები დაუსვა საკუთარ თავს ირინა სარიშვილი-ჭანტურიამ.

გაგრძელება A3 გვერდზე



*ირინა სარიშვილი-ჭანტურია ლირიული გადახვევებით ცდილობდა პასუხებისთვის თავის არიდებას.*

## „აქ ერთი დღის პროგნოზსაც კი ვერ გავაკეთებ"

გიორგი გახელაძე

გუშინდელ პრესკონფერენციაზე დევიდ სორნტონთან ერთად მათი მრჩეველი, ფინანსთა ექსმინისტრი ზურაბ ნოღაიდელიც აკეთებდა შეფასებებს: **"532 მილიონი ლარის უარყოფითი ვალდებულებების მქონე კომპანიის სუბიექტების უმეტესობა სახელმწიფო საწარმოა. პარასკევს გვექნება შეხვედრა ქონების მართვის სააგენტოში, სახელმწიფოს პასუხისმგებლობის საკითხის გასარკვევად."** მისთვის ქუთაისის ფილიალთან დაკავშირებული ამბები პრინციპული მნიშვნელობისაა: **"ჯერ ერთი, ქუთაისისათვის** უკვე 11 კვირაა საქართველოს გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიას "PA-კონსალტინგი" მართავს და ფილიალების საფინანსო დოკუმენტაციას ბოლომდე ვერ გაეცნო. ეს კი ამერიკელ მენეჯერებს ხელს უშლის ეფექტურად მუშაობაში. **"გასულ სამშაბათს ქუთაისის ფილიალში შსს-ს ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის დეპარტამენტის თანამშრომლები შეიჭრნენ და, ჩვენი ნებართვის გარეშე, დააყადაღეს დოკუმენტაცია. არადა, ჩვენი თანხმობის გარეშე, ნებისმიერი მსგავსი ორგანოს შესვლაც კი, საქართველოს მთავრობასთან დადებული ხელშეკრულების თანახმად, აკრძალულია,"** – განაცხადა "PA-კონსალტინგის" მენეჯერმა დევიდ სორნტონმა. ეს ყველაფერი მას კობა ნარჩემაშვილისთვის მოუხსენებია, ის კი "გაოცებულა". გუშინ საბუთები, როგორც იქნა, დაუბრუნებიათ. სორნტონმა იეჭვა, რომ ამ თვითნებურ მოქმედებაში სამხარეო ადმინისტრაციის ხელი ურევია და ზოგადი დასკვნა გააკეთა: **"ყველაფერი იმაზე მიუთითებს, რომ თბილისის ცენტრალურ ორგანოებს ნაკლები გავლენა აქვთ რეგიონებზე და ეს დიდ პრობლემებს ქმნის."**

**24-საათიანი ენერგოუზრუნველყოფის ვალდებულების იურიდიული დოკუმენტი ფიზიკურად არ არსებობს; მეორეც - დღეს საბითუმო ბაზარს მოხმარებული ენერგიის 30 პროცენტს ვუხდით და ამოღება 23 პროცენტზე მეტი არ გვაქვს. ასეთ პირობებში ქუთაისის განათება იმავე იმერეთის და მთელი საქართველოს ჩაბნელებას გამოიწვევს".**

როდესაც სორნტონსა და ნოღაიდელს დასავლური მენეჯმენტკომპანიების საწინააღმდეგოდ მიმართულ საბოტაჟზე მიანიშნეს, მათ არ უარყვეს ამგვარი შესაძლებლობა. **"ყველა პასუხისმგებელი სახელმწიფო მოხელე და უწყება თანადგომას გვპირდება, მაგრამ მთავარია, ეს საქმით დადასტურდეს.**

გაგრძელება A2 გვერდზე

## შემდეგი "გაჩერება" - "სამგორი"

ეთერ მამულაშვილი

*მერიის ადმინისტრაციულ ინსპექციასა და გარემოვაჭრეებს შორის დაპირისპირება გუშინ სერიოზულ მუშტი-კრივში გადაიზარდა. ხსენებულმა სამსახურმა ვარკეთილის მეტროს მიმდებარე ტერიტორიის გარემოვაჭრეებს გუშინ დილის ექვს საათზე მიაშურა. წინააღმდეგობის გაწევის მიუხედავად, ადმინისტრაციულმა ინსპექციამ ათასამდე კვადრატული მეტრის ფართობის ტერიტორია სახელდახელოდ ჩადგმული დახლებისაგან გაასუფთავა.*

მეტროს მიმდებარე ტერიტორიების გარემოვაჭრეებისა და ჯიხურებისგან გასუფთავება ადმინისტრაციულმა ინსპექციამ, დაახლოებით, სამი თვის წინათ დაიწყო. გუშინ ვარკეთილელი მოვაჭრეების რიგიც მოვიდა.

გაგრძელება A2 გვერდზე



*გარე მოვაჭრეების აყრის შემდეგ დასუფთავების სამსახურს უამრავი ნაგვის გატანა მოუხდა.*

## "ზვიადისტი" სტუმარი მოსკოვიდან

სტუმარი აფრთხილებს საქართველოს ხელისუფლებას, რომ ახალქალაქში მალე სერიოზული დაძაბულობაა მოსალოდნელი.

A2

## ამინდი

| | |
|---|---|
| თბილისი | 32 |
| ქუთაისი | 27 |
| ბათუმი | 23 |
| სოხუმი | 24 |
| ფოთი | 24 |
| თელავი | 30 |
| ზუგდიდი | 26 |
| გორი | 27 |
| ახმეტა | 29 |
| ჭიათურა | 28 |
| ქობულეთი | 23 |
| ონი | 22 |
| გაგრა | 23 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1100 |
| ევრო | 2.3797 |
| გირვანქა სტერლ | 3.3762 |
| რუბლი | 0.0695 |

## ხალხს სჭირდება თავისუფლებაც და ღირსეული ცხოვრებაც

და არ სჭირდება ისეთი მთავრობა, რომელიც, შუქის სანაცვლოდ, თავისუფლების დაკარგვის საფრთხეს შექმნის

სოფიკო ოხანაშვილი

თავისი პროგრამის ძირითადი პრინციპების პრეზენტაციის შემდეგ, ნინო ბურჯანაძე არასამთავრობო სექტორთან მართავს შეხვედრებს.

ქვეყანაში არსებული ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების, შეხედულებების გაზიარებისა და არსებული პრობლემების დაძლევის მიზნით, პარლამენტის სპიკერი "ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციას" ეწვია. პარლამენტის თავმჯდომარისა და "ახალგაზრდა ეკონომისტების" შეხედულებები ძირითად საკითხებში ერთმანეთს დაემთხვა. შეხვედრით ორივე მხარე კმაყოფილი დარჩა.

ნინო ბურჯანაძემ ახალგაზრდა ეკონომისტებს ექსპერტებთან ერთად შემუშავებული ეკონომიკური განვითარების პრინციპები გააცნო, რომლებიც გასულ კვირას წარუდგინა საზოგადოებას. ნინო ბურჯანაძემ ყურადღება განსაკუთრებით გაამახვილა ქვეყანაში არსებულ არამიმზიდველ საინვესტიციო კლიმატზე, სამეწარმეო გარემოსა და სოციალურ უსაფრთხოებაზე. მისი თქმით, ამ პრობლემების მოსაგვარებლად აუცილებელია საბიუჯეტო პროცესების ნორმალიზება და, რაც მთავარია, ისეთი საგადასახადო კოდექსის შექმნა, რომელიც არ აიძულებს მეწარმეს, დაარღვიოს კანონი და დამალოს გადასახადები.

გაგრძელება A3 გვერდზე

## ევროკავშირს საბაჟო პროცედურების გაადვილება განუზრახავს

სოფიკო ბრძელიშვილი

გუშინ საქართველოსა და სომხეთში ევროკომისიის წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა ტორბენ ჰოლცემ პრესკონფერენცია გამართა.

ტორბენ ჰოლცეს განცხადებით, ევროკავშირი დარწმუნებულია, რომ აუცილებელია ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ფარგლებში შემუშავდეს წესები, რაც საშუალებას მისცემს ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოებს, მაქსიმალურად შეამცირონ საბაჟო ბარიერები ექსპორტ-იმპორტისათვის. ევროკომისიას უკვე მომზადებული აქვს მოთხოვნათა ნუსხა, რომელსაც ის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში წარადგენს.

ჰოლცეს თქმით, ევროკავშირის წინადადებები ისეთი წესების შემოტანას ითვალისწინებს, რომლებიც განსაზღვრავენ ვაჭრობის ზოგად პრინციპებსა და მიმართულებებს, ხელს შეუწყობენ მსოფლიო ვაჭრობაში განვითარებადი ქვეყნების უკეთ ინტეგრირებას, ინვესტიციების მოზიდვას და ვაჭრობის მოცულობის გაზრდას. საქართველოსა და სომხეთში ევროკომისიის წარმომადგენლობის ხელმძღვანელის განცხადებით, მსოფლიოს ბევრი კომპანია აღიარებს, რომ ბიუროკრატიული პროცედურები აფერხებენ ექსპორტ-იმპორტს და ზრდიან ხარჯებს. სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის მონაცემებით, ვაჭრობის გასაადვილებლად შემოღებულმა შესაძლო ზომებმა, შესაძლოა, ორი-სამი პროცენტით შეამცირონ მსოფლიო ბიზნესის ხარჯები. ეს წელიწადში 300 მილიარდ დოლარს შეადგენს, რაც მსოფლიო ბიზნესისთვის უზარმაზარი დანაზოგია.

ჰოლცე, უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად, აუცილებლად მიიჩნევს საქართველოში, როგორც სატრანზიტო ქვეყანაში, საბაჟო პროცედურების გამარტივებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლოა, საქართველო სატრანზიტო ფუნქციის დაკარგვის საფრთხის წინაშე დადგეს. ჰოლცეს განცხადებით, უცხოელი ინვესტორები საქართველოში საინვესტიციო გარემოს აკვირდებიან. **"არ არის საჭირო საბაჟოზე საბუთების მთელი დასტის წარდგენა. ჩვენი მიზანია, მივაღწიოთ იმას, რომ საბაჟოზე საკმარისი იყოს მხოლოდ ერთი დოკუმენტის წარდგენა,**

გაგრძელება A3 გვერდზე

## ნატო ორშაბათიდან ავღანეთის სამშვიდობო მისიას ჩაუდგა სათავეში

*როგორც ნოემბრის პრაღის სამიტზე იყო გამოცხადებული, ჩრდილოატლანტიკურმა ალიანსმა ავღანეთში მიმდინარე საერთაშორისო სამშვიდობო ოპერაციის ხელმძღვანელობა 11 აგვისტოს ოფიციალურად გადაიბარა. გაერო-ს უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებით, საერთაშორისო სამშვიდობო მანდატის ვადა ავღანეთში 2004 წლამდე გაგრძელდება. აღსანიშნავია, რომ ნატო-ს არსებობის 54 წლის განმავლობაში ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც ალიანსი სამხედრო ოპერაციას ევროატლანტიკური სივრცის ფარგლებს გარეთ, აზიაში განახორციელებს.*

კობა ლიკლიკაძე
"რადიო თავისუფლება"
სპეციალურად "24 საათისთვის"

საერთაშორისო უსაფრთხოების მხარდამჭერი 5000-კაციანი შენაერთი, რომელსაც გერმანია და ჰოლანდია ედგა სათავეში, ორშაბათიდან ნატო-ს ხელმძღვანელობის ქვეშ გადავიდა. მანამდე სამშვიდობო ესტაფეტა ავღანეთში, ექვსთვიანი ინტერვალებით, დიდ ბრიტანეთსა და თურქეთს ეპყრა ხელთ. თუმცა, როგორც ნატო-ს გენერალური მდივანი ჯორჯ რობერტსონი აღნიშნავს, ნატო არ აპირებს არსებითი ცვლილების შეტანას სტაბილიზაციის ძალების სტრუქტურასა და შემადგენლობაში.

**"აისაფი /საერთაშორისო უსაფრთხოების მხარდამჭერი ძალები/ აისაფად დარჩება მას შემდეგაც, რაც მისიის გაძლოლა ნატო-ს დაეკისრება. ასე იყო მაშინ, როცა სათავეში ბრიტანელები, თურქები, გერმანელები და ჰოლანდიელები იყვნენ. ჩვენ იმავე გზით ვივლით და გაერო-ს მანდატით ვიმოქმედებთ. ერთადერთი, რაც შეიცვლება, არის ის, რომ ადგილი აღარ ექნება დაუსრულებელ როტაციას, რაც საშუალებას მოგვცემს, მთელი ძალები მივმართოთ სამხედრო ამოცანის შესასრულებლად,"** - განაცხადა ამ მოვლენასთან დაკავშირებით ნატო-ს გენერალურმა მდივანმა.

ის კი არა, საერთაშორისო სამშვიდობო ძალების სარდალს, გერმანელ გენერალ ნორბერტ ვან ჰაისტს, მისივე თანამემამულე, ოღონდ ნატო-ელი გენერალი გიოტც გლიმეროთი შეცვლის.

გაგრძელება A5 გვერდზე

A2 ამბები A3 ამბები A4 პროექტი A5 უცხოეთი A6 სპორტი A7 რევიუ A8 სხვადასხვა

# შემდეგი "გაჩერება" - "სამგორი"

პირველი გვერდიდან

ასამდე გამწარებული გარემოვაჭრე წყევლა-კრულვას უთვლიდა "დაუპატიჟებელ სტუმრებს". **"მაგენმა არ გაიხარონ ჩემი ბალღების ცოდვით, დღეის მერე რა ვაჭამო ჩემს ობლებს",** - ჩიოდა შავებში ჩაცმული ასაკოვანი ქალბატონი.

"დაზარალებულები" ირწმუნებიან, რომ დილით თავდასხმის დროს მოწინააღმდეგე მხრიდან ორჯერ გასროლის ხმაც გაიგონეს. ამას ადმინისტრაციული ინსპექციის უფროსი დავით მუმლაძეც ადასტურებს. მისი განცხადებით, გასროლა იმ ხალხის მიერ იყო ინსპირირებული, "ვინც დღემდე გარემოვაჭრეებით "ითბობდა ხელს". **"მოვაჭრეები აქ დგომისათვის დღეში, სულ ცოტა, სამ ლარს იხდიან, მაგრამ ეს ფული, ბიუჯეტის ნაცვლად, მავანთა ჯიბეებში მიდიოდა. იარაღით დღეს სწორედ ეს ხალხი ცდილობდა ჩვენს დაშინებას",** - გვითხრა დავით მუმლაძემ.

**"რასაც გვთხოვდნენ, პატიოსნად ვიხდიდით და თუ ბიუჯეტში არ შედიოდა ფული, ეს რა ჩვენი საქმეა",** - თავს იმართლებდნენ გარემოვაჭრეები.

მეორე მიზეზი, რის გამოც მერიამ გუშინ გარემოვაჭრეები ვარკეთილიდან დაითხოვა, ამ ტერიტორიაზე არსებული საშინელი ანტისანიტარიაა. ქალაქის ვიცე-პრემიერის გიორგი კარბელაშვილის მტკიცებით, მერიის შესაბამის სამსახურს რამდენჯერმე ქვეწარმავლებიც კი დაუფიქსირებია ვიდეოკამერაზე.

ვიცე-პრემიერი "დაზარალებულებს" დაჰპირდა, რომ უახლოეს მომავალში მერია მათ დასაქმებაზე რეალურად იზრუნებს. **"ძალაინ კარგად მესმის ამ ხალხის, მაგრამ ასე გაგრძელებაც აღარ შეიძლება. დღეს მერიას აქვს იმის შესაძლებლობა, რომ გარემოვაჭრეების 30 პროცენტი მაინც დაასაქმოს სხვა სფეროში",** - ამბობს კარბელაშვილი.

დანარჩენებს კი ვარკეთილის მეტროს თავზე მდებარე შპს "მუმია" საკუთარ კეთილმოწყობილ სავაჭრო პავილიონს სთავაზობს. შპს-ს დირექტორი მურმან ხვედელიძე ირწმუნება, რომ პავილიონში მოვაჭრეებისთვის ყოველდღიური გადასახადი იმდენივე იქნება, რასაც ისინი დღემდე ქუჩაში დგომისთვის იხდიდნენ. **"სამაგიეროდ, ეს იქნება თანამედროვე ტიპის კომფორტული სავაჭრო დაწესებულება, სისუფთავისა და ყველა საჭირო პირობის გათვალისწინებით",** - თუმცა გარემოვაჭრეებს ხვედელიძის მიერ შემოთავაზებული კომფორტი დიდად არ ხიბლავთ და მოძველებული, მაგრამ კარგად აპრობირებული ხერხით - მერიის წინ საპროტესტო აქციებით იმუქრებიან.

იმასაც ამბობდნენ, - ადმინისტრაციული ინსპექციის მიერ გუშინ დარბეული ტერიტორია გაყიდულია და იქ მაღალსართულიანი უნივერმაღის მშენებლობას აპირებენო. ამას ქალაქის ხელმძღვანელობა კატეგორიულად უარყოფს. **"აქ არაფერი არ აშენდება",** - კატეგორიულად აცხადებს დავით მუმლაძე.

ადმინისტრაციული ინსპექციის შემდეგი გაჩერება მეტრო სამგორის მიმდებარე ტერიტორია იქნება - ნავთლუღის ცნობილი მონაკვეთი, სადაც მოძრაობა ფეხით მოსიარულეებისთვისაც კი სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს. აქ ორასამდე გარემოვაჭრე საქმიანობს. ადმინისტრაციული ინსპექციის მორიგი ღონისძიება მომავალ კვირაში იგეგმება.

# თბილისის ბაზრობებზე ნარკოტიკული ნივთიერებები იყიდება

სახელმწიფო უშიშროების სამინისტრო, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან ერთად, ბრძოლას იწყებს ქვეყანაში საკონდიტრო ყაყაჩოს თესლის მსხვილი პარტიის შემოტანის და გავრცელების წინააღმდეგ. საკონდიტრო ყაყაჩოს მსხვილი პარტია საქართველოში ჰოლანდიიდან არის შემოტანილი ინტერნაციონალური მაფიოზური ჯგუფის მიერ. ყაყაჩოს დაფასოება სხვადასხვა წონის პაკეტებში ხდება, რომლებიც შემდეგ, ძირითადად, სასურსათო ბაზრებზე იყიდება.

ამის შესახებ გუშინ გამართულ ბრიფინგზე ნარკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორმა გელა ლეჟავამ განაცხადა. მისი თქმით, ხაშხაშის თესლი დაფასოებულია ნახევარკილოგრამიან და 100-გრამიან პაკეტებში, იაფია – 500-გრამიანი პაკეტი 15 ლარი ჯდება და საქართველოში ჰეროინს უწევს კონკურენციას, რომელიც გაცილებით ძვირია.

უშიშროების სამინისტროს კონტრტერორისტული დეპარტამენტის წარმომადგენლის ვანო ბერიძის განცხადებით, ხაშხაშის თესლი ქვეყანაში ლეგალურად შემოდის, თუმცა, ჯერჯერობით, შემომტანის და პროდუქციის შემოტანაზე ნებართვის გამცემთა ვინაობა დადგენილი არ არის. მისივე ინფორმაციით, პროდუქცია თბილისში, დაახლოებით, 3-4 თვის წინ გაჩნდა 50-კილოგრამიანი ქაღალდის ტომრებით, რომელთა დაფასოება ადგილზე ხდება. **"დაფასოებულ პაკეტებს ზოგს მოსკოვი აწერია, ზოგს - სხვა რუსული ქალაქის სახელი, თუმცა გვაქვს ინფორმაცია, რომ ხაშხაშის თესლი მხოლოდ ჰოლანდიიდან შემოდის,"** - აცხადებს ბერიძე. მისივე თქმით, თავად ხაშხაშის თესლი ნარკოტიკს არ შეიცავს, თუმცა საქართველოში შემოტანილი თესლი ამოვლებულია ოპიუმში, რომლის სათანადო ქიმიური დამუშავების შემდეგ ოპიუმის ხსნარი მიიღება. **"ქართველი ნარკომანების 70 პროცენტი, ჰეროინის მაგივრად, უკვე ხაშხაშის თესლის გადამუშავებით მიღებულ ნარკოტიკს მოიხმარს. უფრო მეტიც, მისი მოხმარება 15-16 წლის მოზარდებმაც დაიწყეს,"** - აღნიშნა ბერიძემ.

უშიშროების სამინისტროს მიერ ჩატარებული ლაბორატორიული კვლევები აჩვენებს, რომ 0,5 კილოგრამი ასეთი ყაყაჩოსაგან შესაბამისი გადამუშავების შემდეგ 0,15-დან 0,8 გრამამდე ოპიუმი და მორფი მიიღება.

ბერიძის თქმით, მათ ორიოდე დღის წინ მიიღეს ექსპერტიზის დასკვნა თესლის შემცველობის შესახებ. ამჟამად, როგორც ითქვა, იკვლევენ შემომტანის ვინაობას, რის შემდეგაც ფაქტის სამართლებრივ შეფასებას გენპროკურატურა მოახდენს.

**პრაიმ-ნიუსი**

## მოკლედ

### ნინო ბურჯანაძე ასლან აბაშიძის პასუხად

პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე აცხადებს, რომ მისი და პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის პოზიციები ძალიან ბევრ საკითხში რადიკალურად განსხვავდება.

ეს განცხადება ნინო ბურჯანაძემ გააკეთა აჭარის ავტონომიის ლიდერის ასლან აბაშიძის მიერ სამშაბათს პრესკონფერენციაზე გამოთქმული მოსაზრების კომენტირებისას. ასლან აბაშიძე "მოქალაქეთა კავშირის" ყოფილ ლიდერებს, პარლამენტის თავმჯდომარეს ნინო ბურჯანაძეს, "გაერთიანებული დემოკრატების" თავმჯდომარეს ზურაბ ჟვანიას და "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ლიდერს მიხეილ სააკაშვილს პრეზიდენტის ოპონენტებად არ მიიჩნევს.

ნინო ბურჯანაძის თქმით, თუ მისთვის ედუარდ შევარდნაძის პოზიცია მისაღები იქნება, იგი აუცილებლად დაუჭერს მხარს პრეზიდენტს. მისი განცხადებით, "განსხვავებული აზრის დაფიქსირება თვითმიზანი არ უნდა იყოს". **პრაიმ-ნიუსი**

### "ერთობა" აბსანძის პარტიასთან გაერთიანებაზე ფიქრობს

პატიაშვილი-ჭაჭიას პოლიტიკური მოძრაობა "ერთობა", გურამ აბსანძის "თანხმობასთან" ერთად, ცესკო-ში ოპოზიციური პარტიებისათვის განკუთვნილი ადგილის მოსაპოვებლად ქუჩის აქციების გამართვას გეგმავს. პოლიტიკური მოძრაობის გენერალური მდივნის ჯუმბერ კირვალიძის განაცხადებით, "ერთობა" აპროტესტებს პარლამენტის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას ცესკო-ს დაკომპლექტების წესთან დაკავშირებით და პარლამენტის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას კანცელარიიდან მართულ პროცესად მიიჩნევს. "ერთობისათვის" მოულოდნელი იყო ხაზარაძე-ჯაველიძე-გამახარიას ძალისხმევით ცესკო-ს დაკომპლექტების იმგვარი წესის მიღება, რომლითაც "მოქალაქეთა კავშირი", "აღორძინება" და "მრეწველები" 2/3-ზე მეტს ქმნიან, რაც ბეიკერის ფორმულას ეწინააღმდეგება. "ერთობა" "აღორძინების" შეთავაზებას, მათთვის ცესკო-ში ერთი ადგილის დათმობის შესახებ, მიუღებლად მიიჩნევს. კირვალიძის თქმით, მას შემდეგ, რაც "აღორძინებამ", "მოქალაქეთა კავშირთან" ერთად, მხარი დაუჭირა ფრაქცია "XXI საუკუნის" ე.წ. ალტერნატივას, "ერთობა" "აღორძინებასთან" პოლიტიკურ თანამშრომლობას გამორიცხავს. კირვალიძის განცხადებით, "ერთობისა" და "თანხმობის" გაერთიანების შესახებ მოლაპარაკებები მიმდინარეობს და გაერთიანების შესახებ გადაწყვეტილება უახლოეს ხანებში უნდა მიიღონ. **ინტერ-პრესი**

# „აქ ერთი დღის პროგნოზსაც კი ვერ გააკეთებ"

პირველი გვერდიდან

**ჩვენი კომპანია საქართველოს რეგიონებს ემსახურება და თბილისში უნდა ესმოდეთ, რომ ყველა პრობლემა რეგიონებიდან იწყება და არა დედაქალაქიდან. იმავე "რაო ეეს"-ის შემოსვლის შემთხვევაში, გასათვალისწინებელია, რომ "კავკასიონის" გადამცემით იმპორტირებულმა რუსულმა ენერგიამ ჩვენი კომპანიის ტერიტორიებზე უნდა გაიაროს და მოუწესრიგებელ ვითარებაში – რეგიონებში ზედმეტი მოხმარებისას - შესაძლებელია, თბილისამდეც ვერ ჩამოაღწიოს,"** – განმარტა სორნტონმა. ნოლაიდელმა კი იქვე დაამატა, რომ, ზოგადად, საინვესტიციო გარემოს მერყეობა ანუ უქონლობა არც ერთი ქვეყნის ინვესტორს ხელს არ აძლევს: **"დღეს საქართველოს ენერგოსექტორი თეორიულადაც კი წამგებიანი ბიზნეს-სფეროა. აქ პროგნოზს ერთ დღეზეც კი ვერ გააკეთებ".** მისი თქმით, გაერთიანებული სადისტრიბუციოს ინვესტირებისათვის ნახევარი მილიარდი დოლარია საჭირო და დღეს ამის მსურველი, ბუნებრივია, არავინაა.


გოგიტა ბახაიძის ფოტო

დევიდ სორნტონი და ზურაბ ნოლაიდელი ენერგოსექტორს არაპროგნოზირებად სფეროდ მიიჩნევენ.

# ბიუჯეტიდან დაკარგულ თანხებს პროკურატურა მოიძიებს

*ქუთაისის მერმა ნუგზარ ფალიანმა გასული წლის სექტემბერში, ქალაქის მთავრობის დაკომპლექტებისას მერიის კულტურის სამსახურის უფროსად დანიშნა ცნობილი მსახიობი ზაზა კოლელიშვილი. ზაზა კოლელიშვილზე ქუთაისში დიდ იმედებს ამყარებდნენ. თუმცა, მან აღნიშნულ თანამდებობაზე ცოტა ხანს იმუშავა და სამიოდე თვის წინ მოულოდნელად ქუთაისი დატოვა.*

ბექა სისაური
ქუთაისიდან

ამჟამად მხოლოდ მის მიმართ დაქვემდებარებულ სამსახურში არსებულ ფინანსურ დარღვევებზე შევჩერდებით.

ცოტა ხნის წინ ქუთაისის საკრებულოს სარევიზიო კომისიამ მერიის კულტურის სამსახურის მუშაობა შეისწავლა. შედეგად კი, სერიოზული დარღვევები გამოვლინდა. კულტურის სამსახურმა ქალაქის ბიუჯეტიდან განკუთვნილი ერთი წლის კუთვნილი თანხები 5 თვეში ისე გახარჯა, რომ არც ერთ ლარზე ბუღალტრული დოკუმენტაცია არ შეუქმნიათ. ანუ, იურიდიულად რომ ვთქვათ, არ არსებობს დოკუმენტაცია, რომელიც ბიუჯეტით განკუთვნილი თანხების მიზნობრივად ან არამიზნობრივად ხარჯვას დაადასტურებდა.

სარევიზიო კომისიის მიერ აღმოჩენილი კონკრეტული დარღვევების ნუსხა კი შემდეგნაირია: **"2003 წლის N17 განკარგულებით, ქალაქ ქუთაისში 14-20 იანვარს ახალგაზრდული დღეების მოსაწყობად კულტურის საქალაქო სამსახურს 22 ათას 160 ლარი გამოეყო. საქმე ისაა, რომ 2002 წლის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში ახალგაზდული პროგრამებისათვის მხოლოდ 2000 ლარი იყო გათვალისწინებული. ზემოთ ხსენებული თანხის გაცემის მომენტში კი 2003 წლის ბიუჯეტი მხოლოდ განხილვის სტადიაში გახლდათ. აღნიშნული ფაქტორი საკმაოდ სერიოზული იურიდიული დარღვევაა. უფრო მეტიც, აღნიშნული თანხის ხარჯვის ამსახველი დოკუმენტაცია თვითმმართველობის ბუღალტერიაში არ არსებობს, რაც, მოხსენებითი ბარათით ბუღალტერმაც დაადასტურა,"** - აცხადებს საკრებულოს სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე სოსო ჭანტურია. გარდა ამისა, კულტურის სამსახურს სატირისა და იუმორის თეატრისთვის გადასაცემად 10 ათასი ლარი გამოეყო. აღნიშნული თანხა თეატრში სპექტაკლების მომზადებასა და მათ ჩატარებას უნდა მოხმარებოდა. ბუღალტერიაში არც აღნიშნული ფაქტის დამადასტურებელი დოკუმენტაცია არსებობს. ასევე, კულტურის სამსახურის მიერ იქნა გაცემული 26 ათასი ლარი ქორეოგრაფიულ ანსამბლ "ქუთაისის" დასაფინანსებლად. აღნიშნული თანხა ანსამბლის ესპანეთში ქორეოგრაფიულ ფესტივალზე გამგზავრებისთვის უნდა დახარჯულიყო. მართალია, თანხა გაიცა და "ქუთაისი" ესპანეთშიც გაემგზავრა, მაგრამ შესაბამისი დოკუმენტაციის შესაქმნელად არც ამ შემთხვევაში შეუწუხებია ვინმეს თავი. საბოლოო ჯამში კი აღმოჩნდა, რომ მერიის კულტურის სამსახურისთვის 2003 წლის ბიუჯეტში განსაზღვრული 63 ათას 500 ლარი 5 თვეში, ფაქტობრივად, მთლიანად იქნა ათვისებული. მაისში კი ქუთაისის კულტურის სამსახურის უფროსმა ზაზა კოლელიშვილმა განცხადება დაწერა და თანამდებობიდან საკუთარი ნებით წავიდა. **"რაც შეეხება აღნიშნული თანხების ხარჯვის კანონიერებას, იგი ჩვენი კომპეტენციის ფარგლებს სცილდება და კონტროლის პალატის კომპეტენციაა. ჩვენ ქალაქის მერიის წინაშე აღნიშნულ შეცდომებზე რეაგირების საკითხი დავუყენეთ, მაგრამ კოლელიშვილი ამ დროისთვის ქუთაისიდან უკვე წასული იყო. ჩვენ არა ვართ კულტურის სამსახურის დაფინანსების წინააღმდეგი, მაგრამ მათთვის თანხების გამოყოფა წინასწარი განხილვისა და შესაბამისი დოკუმენტების წარდგენის გარეშე მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია,"** - აცხადებს სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე.

როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, მერიის კულტურის სამსახურში არსებული დარღვევები დამატებითი შესწავლისთვის კონტროლის პალატას გადაეცა და თუ დანაშაულის ნიშნებიც აღმოჩნდა, მასალები პროკურატურას გადაეცემა და, შესაბამისად, საქმეც აღიძრება.

# ჩინოვნიკები უნდა მოემზადონ წაგებული სანაძლეოს შესასრულებლად

წინა კვირას ცვლილება, პრაქტიკულად, არ მომხდარა სოციალური ფონდის ხარჯებში. კვლავ კატასტროფული მდგომარეობაა ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამების დაფინანსებაში. **10 აგვისტოსათვის ჯანდაცვის პროგრამები, ექვსი თვის (?!) გეგმასთან შედარებით,** 83,6 პროცენტით არის შესრულებული, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური ადაპტაციის ხელშეწყობის პროგრამა - 58,7 პროცენტით, ხოლო **უმუშევრების სოციალური დაცვისა და დასაქმების ხელშეწყობის პროგრამა - 30,6 პროცენტით.**

სოციალური ფონდის განმარტებით, დასაქმების პროგრამებში შესრულებული სამუშაოები დაფინანსებულია სრულად. გამოდის, რომ ფინანსები არის, მაგრამ ვიღაც არ ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას. რაშია საქმე?

**10 აგვისტოსთვის დასრულებული არ არის აპრილის თვის პენსიების დაფინანსება, გარღვევა 3,3 მილიონი ლარია. მაისის პენსიებში გარღვევა 10,3 მილიონი ლარია, ივნისში - 10,5 მილიონი ლარი, ხოლო ივლისის პენსიების დაფინანსება ჯერ არ დაწყებულა.**

ძალოვანი სტრუქტურების პენსიები დაფინანსებულია ივნისის ჩათვლით. ივლისის ხარჯები ჯერ არ გაწეულა. **უმწეოთა სოციალური დახმარება დაფინანსებულია მხოლოდ აპრილის ჩათვლით.**

სოციალური ფონდის ხარჯებში გარღვევა 54,2 მილიონი ლარია. მათ შორის, პენსიებსა და სოციალურ დახმარებაში – დაახლოებით, 45 მილიონი ლარი. აგვისტოს ვალდებულებას თუ მივამატებთ, გარღვევა მხოლოდ პენსიებსა და სოციალურ დახმარებაში 65 მილიონ ლარს შეადგენს.

**სამწუხაროდ, მართლდება ჩვენი პროგნოზი და ვერ ხერხდება მიმდინარე პენსიების დაფინანსება. შესაბამისად, სახელმწიფო ჩინოვნიკები უნდა მოემზადონ წაგებული სანაძლეოს შესასრულებლად. მთავრობა ვერ ახერხებს პენსიების დარიგებას და იქნებ, სანაძლეოს საშუალებით მაინც დაიფაროს მიმდინარე პენსიების გარკვეული ნაწილი.**

საკონსულტაციო ფირმა
"დამენია, ვარშალომიძე,
ნოლაიდელი და ქავთარაძე"

სოციალური ფონდის ჯანდაცვის და სოციალური პროგრამების ხარჯები 10 აგვისტოსათვის

ათას ლარებში

| დასახელება | ექვსი თვის გეგმა | ფაქტი | % ექვს თვესთან |
|---|---|---|---|
| ჯანმრთელობის დაცვის პროგრამები | 38,011 | 31,763 | 83.6% |
| მოსახლეობის ამბულატორიული დახმარების პროგრამა | 6,775 | 3,648 | 53.8% |
| მოსახლეობის სტაციონარული დახმარების პროგრამა | 24,620 | 22,151 | 90.0% |
| მოსახლეობის სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამა | 5,700 | 5,064 | 88.8% |
| წინა პერიოდის დავალიანების დაფარვა | 916 | 901 | 98.3% |
| შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური ადაპტაციის ხელშეწყობის პროგრამა | 2,055 | 1,207 | 58.7% |
| შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური ინტეგრაციის [illegible] | 755 | 84 | 11.1% |
| შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა [illegible] ხარჯები | 900 | 779 | 86.5% |
| [illegible] შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური რეაბილიტაციის პროგრამა | 100 | 45 | 44.6% |
| შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა [illegible] | 300 | 300 | 100.0% |
| უმუშევრების სოციალური დაცვისა და დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამები | 3,110 | 952 | 30.6% |
| უმუშევრის შემწეობის პროგრამა | 200 | 150 | 75.0% |
| უმუშევრის დასაქმების ხელშეწყობის პროგრამა | 1,100 | 20 | 1.8% |
| უმუშევრის პროფესიული მომზადების, გადამზადების და კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამა | 200 | 15 | 7.5% |
| გასული წლის დავალიანების დაფარვა | 650 | 473 | 72.7% |

პენსიების დაფინანსება 10 აგვისტოსათვის

| დასახელება | იანვარი | თებერვალი | მარტი | აპრილი | მაისი | ივნისი | ივლისი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| პენსიები | დაფინანსებულია | დაფინანსებულია | დაფინანსებულია | გარღვევა 3,3 მლნ ლარი | გარღვევა 10,3 მლნ ლარი | გარღვევა 10,5 მლნ ლარი | არ დაწყებულა დაფინანსება |
| ძალოვანი სტრუქტურების პენსიები | დაფინანსებულია | დაფინანსებულია | დაფინანსებულია | დაფინანსებულია | დაფინანსებულია | დაფინანსებულია | არ დაწყებულა დაფინანსება |
| უმწეოთა სოციალური დახმარება | დაფინანსებულია | დაფინანსებულია | დაფინანსებულია | დაფინანსებულია | გარღვევა 1,2 მლნ ლარი | გარღვევა 1,2 მლნ ლარი | არ დაწყებულა დაფინანსება |

## ორი სიტყვით

■ ■ ■

**ოზურგეთი.** ვეტერინარულმა პოლიციამ გურიაში ვეტსამსახურებთან ერთად პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარება დაიწყო.

გურიის ვეტერინარული პოლიციის წარმომადგენლის ოთარ ლომთაძის განცხადებით, მხარეში აკრძალული, ვადაგასული, არასერთიფიცირებული საქონლით ვაჭრობამ სისტემატური ხასიათი მიიღო, რაც, მისივე თქმით, მოსახლეობაში მოწამვლის შემთხვევებს იწვევს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს გენერალურ პროკურატურაში ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლისადმი მიძღვნილი ერთდღიანი ტრეინინგი ჩატარდა. ღონისძიება აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ტექნიკური დახმარების პროგრამის ფარგლებში მომზადდა.

გეგუჩაძის თქმით, ფულის გათეთრებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია, რომელსაც ფინანსური მონიტორინგის სამსახური მიიღებს, შემდგომი გამოძიებისათვის საქართველოს გენერალურ პროკურატურას გადაეცემა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** წელს, ოქტომბერში საბჭოთა კავშირ-გერმანიის ომის კავკასიის დაცვის ბრძოლებში გამარჯვებიდან 60 წლისთავი სრულდება. ამ თარიღის აღსანიშნავად ვაკის პარკში კავკასიის დაცვისათვის მებრძოლთა ხეივანი გაიხსნება. მოეწყობა ვეტერანების საავტომობილო გადარბენა თბილისი-ყაზბეგი. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის უმაღლესი სასწავლებლების 169 სტუდენტი ერთთვიანი ექსპედიციიდან ორი დღის წინათ დაბრუნდა. ისინი ნინოწმინდის რაიონის რამდენიმე სოფელში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით იმყოფებოდნენ.

ახალგაზრდები შვიდ ჯგუფად თავიანთი პროფესიის მიხედვით დაიყვნენ. მათგან ორი ჯგუფი სოფელ ფოკას დედათა და მამათა მონასტერში ცხოვრობდა, ხოლო დანარჩენები სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებს აწარმოებდნენ. ექსპედიციის შესახებ ფოტომასალების გამოფენას სტუდენტები სასწავლო წლის განახლების შემდეგ აპირებენ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის მერმა ვანო ზოდელავამ გუშინ ავლაბარში, დუშეთის ქუჩაზე მდებარე წმიდა მარინეს სახელობის ეკლესია მოინახულა. ეკლესიის ტერიტორიაზე, ძირითადად, მიწისძვრით დაზარალებული მესამე კატეგორიის შენობებიდან გამოსახლებული მოსახლეობა ცხოვრობს. არქიმანდრიტმა იოაკიმემ მერს მიმართა თხოვნით, მოსახლეობა ამ ტერიტორიიდან გაიყვანონ და საცხოვრებელი ბინით უზრუნველყონ. დედაქალაქის მერმა ეკლესიის მსახურთ დახმარება აღუთქვა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეებისთვის სასკოლო სახელმძღვანელოების აბონემენტის საშუალებით შეძენა 20 აგვისტოდან გაგრძელდება (როგორც ცნობილია, ადრე აბონემენტით სახელმძღვანელოების შეძენა 30 ივნისამდე იყო შესაძლებელი). ამისთვის მშობელმა კლასის დამრიგებელსა და დირექციას უნდა მიმართოს. სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეები აბონემენტით გამოწერილ სახელმძღვანელოებს სკოლებში მიიღებენ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ახალგაზრდობის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, პრეზიდენტმა გამოსცა განკარგულება, რომლის თანახმადაც, 1 სექტემბერს სტუდენტებსა და მოსწავლეებს მეტროპოლიტენით უფასო მგზავრობის უფლება აქვთ. ასევე, პრეზიდენტის სახელობის სტიპენდია დაენიშნა 100 ნიჭიერ ბავშვს.

ამ დღესთან დაკავშირებით, პრეზიდენტმა ხელი მოაწერა შეწყალების აქტს და ვადაზე ადრე გაათავისუფლა ექვსი არასრულწლოვანი სასჯელმისჯილი. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**ზუგდიდი.** ორი დღეა ზუგდიდის მოსახლეობა, ელექტროენერგიის უქონლობის გამო, იქ განთავსებულ გაერო-ს ოფისს უპირისპირდება. საქმე ის არის, რომ ზუგდიდს უკვე 15-ე დღეა ელექტროენერგია არ მიეწოდება, გაერო-ს ოფისი კი 24 საათის განმავლობაში განათებულია. ზუგდიდის მოსახლეობა ელექტროენერგიით 24-საათიან მომარაგებას ითხოვს, წინააღმდეგ შემთხვევაში კი მასობრივი საპროტესტო გამოსვლებითა და გზების გადაკეტვით იმუქრება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს 3.135 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლისათვის მომზადდა მილიონ დოლარამდე ღირებულების დამხმარე სასწავლო მასალები და თვალსაჩინო საგნები, რომელთა დისტრიბუცია სპეციალურად ამ მიზნით დაქირავებულმა სატრანსპორტო ფირმამ „ჰენრიკომ" განახორციელა. დამხმარე სასწავლო მასალების პირველი გამოფენა შარშან ოქტომბერში გაიმართა. შარშან გამოფენაზე წარმოდგენილი 1.038 ექსპონატიდან სკოლებმა საჭიროების მიხედვით შეარჩიეს საგნები და შეადგინეს სპეციალური ნუსხა. თითოეული სკოლისთვის ამ საგნების შესაძენი თავდაპირველი თანხა 200 დოლარს შეადგენდა, რომელსაც შემდგომ თითოეულ მოსწავლეზე 50 ცენტი დაემატა.

ანალოგიური გამოფენა წელს ოქტომბერში გაიმართება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**ქუთაისი.** იმერეთის ახალგაზრდობის სახელმწიფო დეპარტამენტის სამხარეო სამმართველო, ერთი წლის განმავლობაში რეგიონში 12 ტაძარს აღადგენს. ახალგაზრდებმა წყალტუბოს რაიონის სოფელ საჩხეურში მაცხოვრის აღდგომისა და ხარაგაულის რაიონის სოფელ ხიდში აგებული წმინდა გიორგის სახელობის ტაძრების აღდგენა უკვე დაიწყეს. **ინტერ-პრესი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** ზერბაიჯანის პრეზიდენტის ჰეიდარ ალიევის ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუმჯობესდა, ნათქვამია აშშ-ის კლივლენდის კლინიკის ცნობაში. აზერბაიჯანის პრეზიდენტი აშშ-ში თურქეთიდან 7 აგვისტოს ჩავიდა, ქალაქ კლივლენდის კლინიკაში გამოკვლევების ჩასატარებლად, რაც მას თურქმა ექიმებმა ურჩიეს. მანამდე, 80 წლის ჰეიდარ ალიევი 8 ივლისიდან ანკარის ჰოსპიტალ "გიულჰანეში" იმყოფებოდა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახურის ვებ-გვერდი ორშაბათს ხაკერებმა გატეხეს. პრესსამსახურის ინფორმაციების ნაცვლად, საიტზე გაჩნდა წარწერები - "გატეხა მოჩვენებამ", "ძირს კაპიტალიზმი" და "ბოიკოტი ამერიკულ პროდუქციას". პრეზიდენტის პრესმდივნის მოადგილის ბონდო მძინარიშვილის განცხადებით, ხაკერებმა მხოლოდ ინტერნეტის ვებ-გვერდი დააზიანეს, ხოლო საინფორმაციო ბაზა ხელუხლებელი დარჩა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** რუსეთის მიმოსვლის გზათა მინისტრის გენადი ფადეევის განცხადებით, მისი უწყება დაინტერესებულია საქართველოს მიმართულებით სარკინიგზო გადაზიდვების განვითარებით. ფადეევის თქმით, მიმდინარე წლის დასაწყისში შეიქმნა რუსულ-ქართული სამუშაო ჯგუფი, რომელიც ამჟამად რკინიგზის ფაქტობრივ მდგომარეობას და მისი აღდგენის შესაძლებლობებს სწავლობს. სამუშაოების მთლიანი მოცულობა 5 მილიარდ რუბლს გადააჭარბებს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ახალქალაქის მაჟორიტარი დეპუტატი, "დემოკრატი" მელიქ რაისიანი გამოეხმაურა სამცხე-ჯავახეთში პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის თემურ მოსიაშვილის განცხადებას, რომ მომავალ საპარლამენტო არჩევნებში რეგიონში ხმათა უმრავლესობას სახელისუფლებო ბლოკი "ერთიანი საქართველოსათვის" მოიპოვებს. რაისიანის თქმით, პრეზიდენტის რწმუნებულის განცხადება მხოლოდ მისი პირადი აზრია და მას რეალობასთან საერთო არაფერი აქვს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ქართულ-აფხაზური შეიარაღებული კონფლიქტის დასრულების მე-10 წლისთავის აღნიშვნის დროს, სექტემბერში, უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად სოხუმში კომპლექსური ღონისძიებებია შემუშავებული, რომლებიც თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ვიცე-პრეზიდენტმა ვალერი არშბამ სამშაბათს ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლებთან განიხილა. არშბას განცხადებით, სამართალდამცველი ორგანოების მიერ შემუშავებულია კონკრეტული ღონისძიებების გეგმა, რაც მასობრივი საზეიმო ღონისძიებების დროს შესაძლო დივერსიული აქტების თავიდან აცილების საშუალებას იძლევა. მისი თქმით, სიტუაციის დესტაბილიზაციის მიზნით, ქართული მხარე გალის რაიონში ბანდიტურ ჯგუფებს გზავნის. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**ზუგდიდი.** გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე, „გაერთიანებული დემოკრატების" ზუგდიდის ოფისის ხელმძღვანელმა ბეჟან გუნავამ განაცხადა, რომ უახლოეს დღეებში სამეგრელოში სერიოზული დესტაბილიზაციაა მოსალოდნელი. სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციის უფროსმა ელგუჯა ჯამბურიამ „მედია-ნიუსთან" საუბრისას გუნავას განცხადებას სიცრუე და აბსურდი უწოდა. მისი თქმით, პოლიცია სრულად აკონტროლებს ვითარებას. ჯამბურიას განცხადებით, ბეჟან გუნავას პროვოკაციული გამოსვლებისთვის დღეს პროკურატურაში დაიბარებენ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** გენერალურმა პროკურატურამ დაიწყო ბასილ მკალავიშვილის მრევლის დაკითხვა. დასაკითხია 900-მდე მოწმე, რომელთა განცხადებით, სისხლის სამართლის საქმე მათ წინააღმდეგ უნდა აღიძრას და არა მათი მოძღვრის წინააღმდეგ, რადგან სექტანტური ლიტერატურა მათ დაწვეს და არა ბასილ მკალავიშვილმა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ტუსაღ დავით სიხარულიძეს, რომელიც თბილისის მე-5 საპყრობილეში გუშინ შეიყვანეს, სხეულის დაზიანებები აღენიშნება. პატიმარს დაზიანებები აქვს ზურგის, მარცხენა ბეჭის, მარჯვენა ხელის მაჯისა და ორივე მუხლის არეში. სიხარულიძის განმარტებით, დაზიანებები მან დაკავებისას მიიღო. სიხარულიძე 31 მაისს თბილისის მე-5 საპყრობილიდან თხუთმეტ პატიმართან ერთად გაიქცა. დავით სიხარულიძე პარლამენტარ ლევან პირველის დაცვის ყოფილი წევრის მკვლელობაშია ბრალდებული. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ოზურგეთელი გენადი დევაძე პოლიციამ გუშინ დააკავა მკვლელობის მცდელობის ბრალდებით. დევაძის მიმართ აღძრულ საქმეს თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის საგამოძიებო სამსახური იძიებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** 17 წლის ლევან ლეგანტია, რომელიც როსტოვის ოლქის ქალაქ ტაგანროგის მკვიდრია, თბილისში ყაზბეგის ქუჩაზე მდებარე როზა ბერიკაშვილის ბინის გაქურდვაში იმხილება. არასრულწლოვანი პოლიციელებმა 10 აგვისტოს დააკავეს და მისგან ნივთმტკიცებები ამოიღეს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**ქუთაისი.** იმერეთის საოლქო პროკურატურამ ტყიბულის რაიონის ენერგეტიკის სამსახურის ყოფილი ხელმძღვანელი გიორგი ჟვანია სახელმწიფო ქონების მითვისება-გაფლანგვაში ამხილა. გიორგი ჟვანია დანაშაულში მხილებამდე ექვსი თვით ადრე "გაერთიანებული სადისტრიბუციო კომპანიის" ხელმძღვანელობამ, არადამაკმაყოფილებელი მუშაობის გამო, დაკავებული თანამდებობიდან გაათავისუფლა. **ინტერ-პრესი**

# ევროკავშირს საბაჟო პროცედურების გაადვილება განუზრახავს

პირველი გვერდიდან

" - განაცხადა წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა. მან იქვე ისიც დასძინა, რომ ვაჭრობის გაადვილებასთან დაკავშირებით, ევროკავშირის ინიციატივა არ გულისხმობს ტარიფებისა და განაკვეთების შემცირებას, არამედ საუბარია საბაჟო პროცედურის გამარტივებაზე. **"როცა მეწარმე ექსპორტს ან იმპორტს ახორციელებს, მას საბაჟოზე ბიუროკრატიული ბარიერები არ უნდა შეხვდეს,"** - განმარტა ჰოლცემ.

ვაჭრობის გაადვილების ამ ინიციატივით ევროკომისია მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (მსო) შეხვედრაზე გამოვა. მსო-ს შეხვედრა, რომელიც მინისტრების დონეზე გაიმართება, მთლიანად სავაჭრო პროცედურების გამარტივების საკითხებს მიეძღვნება. შეხვედრა 2003 წლის 10-14 სექტემბერს მექსიკის ქალაქ კანკუნში ჩატარდება.

საქართველოს დელეგაციას უხელმძღვანელებს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე თამარ ბერუჩაშვილი.



ლევან ხერხეულიძის ფოტო

ტორბენ ჰოლცე საბაჟოზე ბიუროკრატიული ბარიერების გამარტივებას აუცილებლად მიიჩნევს.

# უპასუხოდ დატოვებული შეკითხვა

პირველი გვერდიდან

პასუხები ასეთია: ოპოზიციამ "ეი-ი-ეს"-ის წასვლით წილი დაკარგა და ამის გამო არის განაწყენებული. **"მათ "ეი-ი-ეს"-ისგან სამპროცენტიანი წილი ჰქონდათ მუდმივად, მათ ჰქონდათ დაფინანსება საარჩევნოდ, მათ შორის ადგილობრივზეც."** სარიშვილი, ამ შემთხვევაში, ოპოზიციაში ჟვანია-სააკაშვილს გულისხმობს და არა "მემარჯვენეებს", რომლებმაც **"პოლიტიკური სიბეცის გამო დაუშვეს შეცდომა და ყვირილი ატეხეს."** სარიშვილის განცხადებით, ოპოზიცია და სააკაშვილი "ეი-ი-ეს"-სა და ქართულ მხარეს შორის შუამავლის როლს ასრულებდა. **"ამერიკულმა მხარემ იურისტ ოქრუაშვილს კონტრაქტის დაწერაში 300 ათასი დოლარი გადაუხადა ჯერ კიდევ კონტრაქტის ხელმოწერამდე. მსგავსი რამ ამგვარი გარიგებების დროს არ ხდება."**

ირინა სარიშვილი-ჭანტურიას აზრით, საქართველოს ხელისუფლებას არანაირი პოლიტიკური კურსი არ შეუცვლია. სარიშვილი რუსეთ-ამერიკას შორის ურთიერთობათა სასიკეთო ცვლილებაზე საუბრობს და "რაოს"-თან დადებულ ხელშეკრულებას რუსეთ-ამერიკას შორის დროებით დადებული ზავის შედეგად მიიჩნევს.

სარიშვილის იდეების მიხედვით, საქართველოს არც "გაზპრომთან" ურთიერთობით ემუქრება ეკონომიკური და პოლიტიკური საფრთხე.

ედპ-ს ლიდერმა თავისი შთაბეჭდილება საქართველოში ამერიკის ელჩზე რიჩარდ მაილსზეც გამოთქვა. ქალბატონ ირინას აზრით, მაილსი არა მარტო საქართველოს ხელისუფლების, საკუთარი ხელისუფლების მიმართაც არ გამოირჩევა სიმპათიებით. სარიშვილის მტკიცებით, მაილსი სომხურ ლობისთან მეგობრობს, **"ჟვანია-სააკაშვილი-ბურჯანაძე კი მაილსთან ერთად ხშირად დარბიან სომხურ ლობისთან."** ედპ-ს ლიდერს სომხური ლობი შემთხვევით არ უხსენებია: მისი განმარტებით, ამერიკული „ეი-ი-ესის" წასვლით ერთადერთი პრობლემა, შესაძლოა, სომხეთს შეექმნას, რადგან „რაო ეესი" მისგან ელექტროენერგიის ყიდვას საჭიროდ არ ჩათვლის.

სახელისუფლებო ბლოკის სპიკერი პრეზიდენტის ადვოკატის როლში გამოდის. მისი განმარტებით, შევარდნაძის მიერ სტრატეგიული ობიექტების გასხვისება, თანაც უცხოელებზე, იძულებით ხასიათს ატარებდა: **"შევარდნაძემ არაერთხელ მიანიშნა პატარკაციშვილს და სხვებს, რომ ეყიდათ "თელასი", მაგრამ მათ ეს არ ჩათვალეს საჭიროდ."**

სარიშვილს ოპოზიციის პატრიოტული ლოზუნგების არ სჯერა. მეტიც, იგი ჟვანია-სააკაშვილს ქართული ფირმის - "ჟინერის" შევიწროებაში ამხელს. ირინა სარიშვილის მტკიცებით, **"საშუამავლო ფირმა "ჯი-სი-ჯი" პირდაპირ იყო მიბმული სააკაშვილთან, რომელიც მაშინ იუსტიციის მინისტრი იყო. ფირმის ხელმძღვანელობამ მიხეილ სააკაშვილი მოიხსენია, როგორც ფირმის წარმომადგენელი საქართველოში. შემდეგ ეს საქმე ჩაფარცხეს."**

სარიშვილის ერთ-ერთ კითხვაზე - რატომ არ სცემს პასუხს ხელისუფლება ოპოზიციას? - სარიშვილის პასუხი არსობრივად ასეთია: ნებისმიერ გარიგებას მოაქვს ოფიციალური თუ არაოფიციალური სარგებელი. აქედან გამომდინარე, გასაგებია, რატომ უნდა დუმდეს ხელისუფლება, **"მოტეხვის გარეშე არანაირი ობიექტი არ იყიდება, არც მნიშვნელოვანი და არც უმნიშვნელო".** სახელისუფლებო ბლოკის სპიკერის პირობაზე არც ისე "მაღალი შტილით" მოსაუბრე ირინა სარიშვილი, ხელისუფლებაზე საუბარს ზოგად-თეორიულ ჭრილში ამჯობინებს. კერძოდ, იგი პასუხს არ სცემს კითხვაზე: ვინ "მოტეხა", რამდენი "მოტეხა" და ა. შ.

უკვე ჟურნალისტების შეკითხვას - **"თუ "ეი-ი-ეს"-ი ოპოზიციას სამპროცენტიან წილს აძლევდა და საარჩევნოდ აფინანსებდა, რამდენს გადაუხდის ხელისუფლებას "რაო"?** - სარიშვილმა ლირიული გადახვევების მოშველიებით თავი აარიდა.

# "ზვიადისტი" სტუმარი მოსკოვიდან

ლელა მჭედლიძე

ადმიანის უფლებების ცნობილი დამცველის, სერგეი კოვალიოვის თანაშემწე ელენა ლებედევა საქართველოში ვიზიტით უკვე მეხუთედ ჩამოვიდა, ამჯერად - საქართველოს სახალხო დამცველის ნანა დევდარიანის მოწვევით. ინიციატივა, დევდარიანის თქმით, თავად ლებედევასგან მოდიოდა. ჩვენი ინფორმაციით, ლებედევა სახალხო დამცველთან საუბრისას, რამდენიმე პატიმრის ბედით, პანკისსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში არსებული ვითარებით დაინტერესდა. კოვალიოვის თანაშემწე ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით საქართველოში არსებულ მდგომარეობას სწავლობს და შემდეგ საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის ამზადებს ანგარიშს.

თავად ლებედევას განცხადებით, მისი ანგარიშის რუსულ ენაზე გამოქვეყნებას აზრი არც აქვს, რადგან იცის, რომ რუსეთში ამ მოხსენებით დიდად არ დაინტერესდებიან. ამასთან ერთად, სტუმარი აფრთხილებს საქართველოს ხელისუფლებას, რომ ახალქალაქში მალე სერიოზული დაძაბულობაა მოსალოდნელი.

**"ახალქალაქში ქართული ენა საერთოდ არ ისმის, მიმოქცევაში ლარი აღარ არის და დაჯგუფება "დაშნაკ ცუტუნის" წევრები იქ განლაგებული რუსული ბაზის სამხედროებთან მეგობრობენ. რუსი სამხედროები კი, თავის მხრივ, ნარკოტიკების და გატაცებების საქმეში არიან ჩართულნი.**

**აფხაზეთში კი, ბზიფის ხეობაში, რუსეთის მიმართულებით გვირაბის გაყვანაზე 2000 ქართველს იძულებით ამუშავებენ,"** - აღნიშნა რუსმა უფლებადამცველმა.



ვახო ხაინდრავას ფოტო

რუსი სამართალდამცველები საქართველოს ხელისუფლებას აფრთხილებენ და ჭკუას არიგებენ

ლებედევა აჭარაში არსებულ მდგომარეობასაც შეეხო. მართალია, თავად აჭარაში ჩასვლა ველარ მოახერხა, მაგრამ იქ არსებული ვითარება ჯერ კიდევ ოთხი წლის წინანდელი სტუმრობისას შეისწავლა. იგი ამბობს, რომ ასლან აბაშიძის თავდასხმაში ბრალდებული ასანიძის საქმეც იცის და თავად აბაშიძეზეც აქვს საკმაო წარმოდგენა. მას მიაჩნია, რომ ავტონომიის ლიდერი სულ ტყუილად იბრალებს საქართველოს კანონიერად არჩეული პრეზიდენტის, გამსახურდიას მომხრეობას.

ლებედევა იმ 20 პატიმრის გათავისუფლებას მოითხოვს, რომლებიც სასჯელს, ძირითადად, "ზვიადისტობის" გამო იხდიან. მათ შორისაა ის ხალხიც, ვინც ედუარდ შევარდნაძეზე თავდასხმაშია ბრალდებული. **"ისინი არა ტერაქტის, არამედ სამხედრო ოპერაციის მონაწილეები არიან და, ამდენად, არა ტერორისტებად, არამედ სამხედრო ტყვეებად ითვლებიან,"** - აცხადებს ლებედევა.

ლებედევამ გუშინ ქართული ოპოზიციური სპექტრის წარმომადგენლებიც გააკრიტიკა. მისი თქმით, "გაერთიანებული დემოკრატი" ჟვანია და "ნაციონალი" სააკაშვილი ევროსაბჭოში საქართველოს წარმომადგენელ ლანა ღოღობერიძესთან ახალქალაქში "თურქი-მესხების" ჩასახლებაზე შეთანხმდნენ, რასაც, შესაძლოა, ასევე სერიოზული გართულებები მოჰყვეს. გარდა ამისა, სააკაშვილი რუსეთში თურმე პრეზიდენტ შევარდნაძისათვის ხელშეუხებლობის გარანტიებს ითხოვს. ამ ცნობების დადასტურებას კი დაეჭვებულთათვის ელენე ლებედევა რუსულ პრესაში გამოქვეყნებული პუბლიკაციებით აპირებს.

# სანამ ახალ ბიბლიოთეკებს გახსნიან, ძველი აღარ დარჩება

*მომავალი წლისთვის თბილისის საკრებულო ბიბლიოთეკების ქსელის გაფართოებას - 10 ახალი ბიბლიოთეკის გახსნას გეგმავს. ამასობაში კი, ძველი ბიბლიოთეკების განადგურება გრძელდება. ზურაბ ჭავჭავაძის ქუჩაზე მდებარე მიხეილ ჯავახიშვილის სახელობის ბიბლიოთეკას შენობიდან გასახლებას უპირებენ.*

ნანა ქადაგიშვილი

ეს ბიბლიოთეკა 97 წლის წინ გახსნილა. ქალაქის ბიბლიოთეკების გაერთიანების დირექტორი ციალა კალმახელიძე დაბეჯითებით აცხადებს, რომ 100 წლისთავსაც ამ შენობაში გადაიხდიან, თუმცა დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლო მათ შენობის დაცლას სთხოვს.

შენობა, რომელშიც ბიბლიოთეკაა განთავსებული, 1993 წელს გაყიდულა. შპს "მასპინძელს" დავით აღმაშენებლის №103–ში 5 600 კვადრატული მეტრი ფართი უყიდია და ბიბლიოთეკის შენობაც შიგ მოყოლილა. ბიბლიოთეკის ხელმძღვანელობა შენობის ქირას (კვადრატულ მეტრზე ლარს) იხდიდა, მაგრამ ბოლო წელს შპს "მასპინძელმა" ბიბლიოთეკის ხელმძღვანელობას ბინის ქირის 3 ლარამდე გაზრდა მოსთხოვა. ხელმძღვანელობის უარის შემდეგ კი სასამართლოში იჩივლა და ბიბლიოთეკის გასახლება მოითხოვა. აღნიშნულ საკითხზე რაიონულ სასამართლოში საქმე ოთხჯერ აღიძრა. სამჯერ ბიბლიოთეკის თანამშრომლების სასარგებლოდ გადაწყდა, მეოთხედ კი, რამდენიმე დღის წინათ სასამართლომ შენობის გათავისუფლება მოითხოვა. ქალაქის ბიბლიოთეკების გაერთიანების ხელმძღვანელობამ დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება საოლქოში გაასაჩივრა. **"ყველაფერს გავაკეთებ, რომ ამ შენობიდან არ გამოვიდეთ. იგი თავის დროზე უკანონოდ და ჩუმად გაიყიდა. მისი პრივატიზების შესახებ მხოლოდ 2000 წელს შევიტყვეთ. ეს შენობა ისტორიულ ძეგლად არის მიჩნეული და არ უნდა გაყიდულიყო,"** – ამბობს ციალა კალმახელიძე.

# ხალხს სჭირდება თავისუფლებაც და ღირსეული ცხოვრებაც

პირველი გვერდიდან

**"არ შეიძლება მოსახლეობა ისეთი აბსურდული არჩევანის ამარა დატოვო, რომლის წინაშეც ჩვენმა მთავრობამ დააყენა საზოგადოება - შუქი თუ თავისუფლება? რა უბედურებაა ასეთი შეკითხვა. მოსახლეობას ორივე უნდა - თავისუფლებაც და ღირსეული ცხოვრებაც და სულ არ სჭირდება ისეთი მთავრობა, რომელიც, შუქის სანაცვლოდ, თავისუფლების დაკარგვის საფრთხეს შექმნის; ანუ სჭირდება ისეთი მთავრობა, რომელიც მოსახლეობის სოციალური უსაფრთხოების გარანტი იქნება,"** - განაცხადა ბურჯანაძემ.

არსებულ მძიმე ვითარებაზე ისაუბრეს ახალგაზრდა ეკონომისტებმაც. მათ კატეგორიულად დააყენეს ეფექტური მართვის აუცილებლობის საკითხი. ახალგაზრდა ეკონომისტები შეეხნენ ენერგოსექტორში შექმნილ კატასტროფულ ვითარებას, ქვეყანაში არსებულ არასახარბიელო საინვესტიციო გარემოსთან დაკავშირებულ საკითხებს და ხელისუფლება აქცენტების არასწორად დასმაში, ქვეყნის განვითარებისათვის აუცილებელი პოლიტიკის არქონაში დაადანაშაულეს.

**"ამ შეხვედრაზე ჩვენ ვცადეთ, ეს შეცდომა გამოგვესწორებინა და აქცენტები სწორად დაგვესვა,"** - აღნიშნა ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის პრეზიდენტმა თენგიზ შერგელაშვილმა. ახალგაზრდა ეკონომისტების აზრით, ქვეყნის ნორმალური განვითარებისათვის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა ეკონომიკის აპოლიტიკურობა. მათი განმარტებით, სახელმწიფო პოლიტიკა მკვეთრად უნდა გაემიჯნოს ეკონომიკას და არ უნდა ჩაერიოს მის განვითარებაში. ქვეყნის განვითარება კი ლიბერალურ პრინციპებს უნდა დაემყაროს.

ბურჯანაძე წინასაარჩევნო კამპანიას აგრძელებს და სხვადასხვა პროფესიისა და თაობის ადამიანებს შეხვდება.

# დასიცხული პარლამენტი და კოდექსს შეჭიდებული ხუთი დეპუტატი

პირველი გვერდიდან

პარლამენტის გადაწყვეტილებით, ცესკო-ს და საოლქო საარჩევნო კომისიის იმ წევრს, რომელსაც 2004 წლის 1 მაისამდე, ხოლო საუბნო კომისიის წევრს 2005 წლის 1 იანვრამდე, მიღებული არ ექნება სერთიფიკატი, უფლებამოსილება შეუწყდება. ცესკო-მ 2004 წლის 15 თებერვლიდან 1 მაისამდე უნდა უზრუნველყოს ცენტრალური და საოლქო საარჩევნო კომისიების, ხოლო 2005 წლის 1 იანვრამდე საუბნო კომისიების წევრობის კანდიდატთა სერტიფიცირება.

პარლამენტში აღნიშნული გადაწყვეტილება იმით ახსნეს, რომ მიმდინარე წელს 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებამდე არ მოესწრებოდა მოხელეთა სერტიფიცირების ვადის დაცვა, რაც არჩევნების ჩატარებას შეუშლიდა ხელს.

დილის სხდომაზე საარჩევნო კოდექსის მეთვრამეტე მუხლსაც უყარეს კენჭი, ანუ ძველი კომისიის წევრების ახალ კომისიებში დანიშვნის აკრძალვის კიდევ ერთი მცდელობა შედგა. ამ საკითხთან დაკავშირებით, პარლამენტის თავმჯდომარემ ეუთო-ს ავტორიტეტიც მოიშველია: **"ეუთო გაკვირვებას გამოთქვამს მე-18 მუხლის ირგვლივ გამართული კენჭისყრების გამო, რომელიც ითვალისწინებდა ცესკო-ს მოქმედი წევრებისათვის ახალ კომისიაში მუშაობის აკრძალვას. ეუთო-ს წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ისინი ვერ ხედავენ ცესკოს თავმჯდომარის კანდიდატის შემოთავაზების აზრს, თუ რეალურად არ განახლდება ცესკო."** თუმცა, გუშინ კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ დღეს საქართველოში საპარლამენტო უმრავლესობის გადაწყვეტილებაზე საერთაშორისო "ავტორიტეტები" ზეგავლენას ველარ ახდენენ. კონსენსუსის არარსებობის გამო, ამ საკითხის კენჭისყრა საღამოს 7 საათისთვის გადაიდო, ისევე, როგორც – მთელი საარჩევნო კოდექსისა. საღამოს კი პარლამენტში კვორუმი არ შედგა.

დღეს კი, საარჩევნო კოდექსის გარდა, სახელმწიფო ბიუჯეტის კორექტირება ანუ სეკვესტრიც უნდა განიხილონ, სადაც მართლაც ხმაურიანი გარჩევებია მოსალოდნელი. მით უფრო, რომ ახლა, ოპოზიციასთან ერთად, ხელისუფლების პასუხისმგებლობაზე შიდსახელისუფლებო ძალების ნაწილი, მაგალითად ზეზვა ღუღუნიშვილი, ირაკლი ბათიაშვილი და სხვებიც, ალაპარაკდნენ.

# მირცხულავა გადადგა

პირველი გვერდიდან

მან კატეგორიულად უარყო, რომ მირცხულავას თანამდებობიდან წასვლის მიზეზი "გაზპრომთან" გაფორმებული ხელშეკრულებისა და "რაო-ეესსა" და "ეი-ი-ესს" შორის დადებული გარიგების გარშემო ბოლო დროს ატეხილი ხმაურია. ნიკოლაშვილმა ენერგეტიკაში განხორციელებული საკადრო ცვლილებების "ობიექტურ" მიზეზად კი, სემეკის თავმჯდომარის პოსტზე ღირსეული კანდიდატურის შერჩევა დაასახელა. **"საჭირო იყო სემეკის ახალი თავმჯდომარის მოძებნა. დავით მირცხულავაზე კარგად მარეგულირებელ კომისიას ვერავინ უხელმძღვანელებს,"** - განაცხადა ნიკოლაიშვილმა. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ელექტროენერგიის მარეგულირებელი კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე სემეკის ექსთავმჯდომარეს ელიზბარ ერისთავს მეორედ დანიშვნის უფლებაც ჰქონდა.

მირცხულავას სემეკის თავმჯდომარის პოსტზე დანიშვნა ყველაზე მოულოდნელი ერისთავისთვის აღმოჩნდა. **"ამას ნამდვილად არ ველოდი,"** - განაცხადა ერისთავმა, რომელიც ამჟამად შვებულებაში იმყოფება და სემეკის თავმჯდომარის პოსტზე მირცხულავას დანიშვნის ამბავი ტელევიზიით გაიგო. ელიზბარ ერისთავს კანონით განსაზღვრული ვადა რვა აგვისტოს გაუვიდა.

ინფორმაცია, რომ დავით მირცხულავამ გადადგომის შესახებ განცხადება დაწერა, გუშინ დღის მეორე ნახევარში არაოფიციალურად გავრცელდა. თუმცა, 20:30 საათისათვის კანცელარიის აპარატის უფროსი არ ადასტურებდა სათბობ-ენერგეტიკის მინისტრის გადადგომის შესახებ ოფიციალური განცხადების პრეზიდენტთან შესვლის ფაქტს. მირცხულავას გადადგომის თაობაზე განცხადებებს უარყოფდნენ სათბობ-ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე მერაბ კვეკვესკირი, სახელმწიფო მინისტრის მოადგილეები და თანამდებობის სხვა პირები.

# სახელისუფლებო ბლოკს კვოტები და სიმბოლიკა არ მოსწონს

სახელისუფლებო ბლოკის შიგნით კვოტების გადანაწილებისთვის ბრძოლა ბლოკის შექმნის პირველივე დღიდან დაიწყო, თუმცა, მას შემდეგ ბლოკში გარკვეული "გადაჯგუფებებიც" მოხდა და სიტუაციაც, შესაბამისად, თავიდან ხელახლა გახდა გასარკვევი.

გუშინ სახელისუფლებო ბლოკის ოფისში გამართული სხდომის მთვარი თემა, გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, სწორედ კვოტების გადანაწილება გახლდათ. უკვე თითქმის ოფიციალურად დადასტურდა, რომ ბლოკის სიაში პირველ ოცეულს "მოქალაქეთა კავშირი" დააკომპლექტებს, რაც ვერაფერი სასიამოვნო ფაქტია ედპ-სთვის, "სოციალისტებისთვის" და ბლოკის სხვა სუბიექტებისთვის.

გუშინვე გავრცელდა ინფორმაცია, რომ ზოდელავა სიაში შვიდი წევრის ჩასმას ითხოვს; უფრო ადრე ვრცელდებოდა მოსაზრებები რჩეულიშვილის საკმაოდ დიდი "მადის" შესახებ (მაგრამ ეს "მადა" საკმაოდ მალე დააცხრეს); ირინა სარიშვილი კი გუშინ საკუთარი კვოტის შესახებ ოფიციალურ კომენტარებს არ აკეთებდა.

გუშინდელ სხდომაზე, კვოტების გარდა, ბლოკის სიმბოლიკის საკითხიც განიხილეს და შეთავაზებული პროექტი დაიწუნეს. შესაბამისად გადაიდო სიმბოლიკის პრეზენტაცია.

**24 საათი**



# "თქვენი აფხაზეთი"

პროექტის კოორდინატორი
თორნიკე ბერიშვილი

# ჩვენ და აფხაზები - რა ვქნათ?!

*პროექტის ეგიდით უკვე ჩატარდა შეხვედრები აფხაზეთის წარმომადგენლებთან ნათელა აკაბასთან და დაურ ნაჭყებიასთან; დევნილ მწერალ გურამ ოდიშარიასა და ისტორიკოს გია ანჩაბაძესთან; აკადემიკოს შოთა ნადირაშვილთან; თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებთან – სიმონ კობეშავიძესა და ვახტანგ მდივანთან; რუსეთის ელჩთან ვლადიმერ ჩხიკვიშვილთან და საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებთან, რომლებსაც უშუალოდ ეხებათ აფხაზეთის პრობლემის მოგვარება – თამაზ ნადარეიშვილთან და მალხაზ კაკაბაძესთან. საფიქრალად და სამსჯელოდ საკმაოდ დიდი მასალაც დაგროვდა, მაგრამ... გთავაზობთ პროექტის კოორდინატორის თორნიკე ბერიშვილის საუბარს ექსპერტ პაატა ზაქარეიშვილთან, რომელიც აანალიზებს წინა საუბრებსა და არსებულ სიტუაციას.*

**თორნიკე ბერიშვილი**: აკადემიკოსმა შოთა ნადირაშვილმა ჩვენთან საუბარში გამოთქვა ძალიან საინტერესო აზრი, რომ ჩვენ ქართველებმა თვითონ მოვახდინეთ აფხაზების გაუცხოება და როდესაც დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა დაიწყო, ქართველებმა აფხაზები გავრიყეთ. მისი თქმით, გაუცხოებასა და შემდეგ უკვე კონფლიქტს გაცილებით ადრე ჩაეყარა საფუძველი. საბოლოოდ კი იმდენად დიდი აღმოჩნდა ეს ნაპრალი, რომ ერთმანეთის მტრებადაც ჩამოვყალიბდით. ამიტომ აფხაზები კი არ უნდა გაგვერიყა, არამედ თანამონაწილე პარტნიორად გაგვეხადა საერთო ბრძოლაში და საქართველოს მართვაში.

**პაატა ზაქარეიშვილი**: გეთანხმებით. ჩვენს მიერ გამართული შეხვედრებიდან ყველაზე საინტერესო და, თუ შეიძლება ასე ითქვას, ცენტრალური იყო ბატონ შოთა ნადირაშვილთან შეხვედრა, რადგანაც იგი გაცდა ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებს და პრობლება ქართულ ცნობიერებაში გადმოიტანა. მან აფხაზეთის კონფლიქტი აქცია არა ქართველს და აფხაზებს შორის გაუცხოებად, არამედ პრობლემები ქართველებში ეძება - რამდენად შეგვიძლია ჩვენივე პრობლემების გადაწყვეტა, მათ შორის აფხაზეთის, ანუ სხვა ერთან შექმნილი პრობლემებისა. შოთა ნადირაშვილმა ნათლად დახატა რეალური სურათი, თუ საიდან მოდის შექმნილი სიტუაცია. პრობლემა სათავეს იღებს არა ქართველისა და აფხაზის გაუცხოებიდან, არამედ ქართველის გაუცხოებიდან სახელმწიფოს იდეისადმი.

ეს არის ერთ-ერთი საფუძველი ქართველებს და აფხაზებს შორის კონფლიქტისა.

სხვა ინტერვიუები, მაგალითად ნადარეიშვილისა და კაკაბაძის, ადასტურებს იმას, რომ პრობლემიდან არ ამოვსულვართ. ამდენი წელიწადი გავიდა და ჩვენ დღემდე ვერ აღვიქვამთ გაუცხოებას გაუცხოებად. დღემდე ჩვენს თავში არ ვეძებთ მიზეზს. არადა, ნადარეიშვილი და კაკაბაძე არიან მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელეები, რომლებსაც დღემდე მიაჩნიათ, რომ პრობლება უნდა ვეძებოთ გაერო-ში, რუსეთში; ყველა დამნაშავეა და ვალდებულია ჩვენს წინაშე.

**თ. ბ.** ნადარეიშვილთანაც და კაკაბაძესთანაც ხაზგასმული იყო, რომ ეს არის აფხაზურ-ქართული პრობლემა, რომელიც შემდგომში რუსებმა გააღვივეს და სათავისოდ გამოიყენეს, მაგრამ თუკი რუსებს გვერდზე გავწევთ და ნეიტრალიზებას მოვახერხებთ, ორ დღეში გადავწყვეტთ აფხაზეთთან ურთიერთობებს. იგივე დაადასტურა კაკაბაძემაც, ოღონდ ორი დღის მაგივრად, ნახევრად ხუმრობით თქვა, მე 24 საათში გავაკეთებ მაგ ყველაფერსო. რამდენად რეალურია ეს სიტუაცია?

**პ. ზ.** მე ორივეს დიდი პატივს ვცემ, მაგრამ მათი განცხადება უაღრესად არაკომპეტენტური და არაპროფესიონალურია. ამ განცახდებაში ჩანს ორი პოზიცია; ერთი არის რუსეთის ფაქტორი და მეორე - აფხაზეთის ინტერესები. ამ განცხადებით ისინი მთელ პასუხისმგებლობას რუსეთს აკისრებენ და მიაჩნიათ, რომ თუკი რუსეთის ფაქტორი მოგვარდება, პრობლემასაც მოევლება. გამოდის, რომ ამდენი ადამიანი სულ ტყუილად შეეწირა ომს, მაშინ როდესაც მათ 24 საათში შეუძლიათ საკითხის მოგვარება. აშკარაა, რომ რუსეთი ყველანაირად ცდილობს კავკასიის შენარჩუნებას, რომელიც მას მთლიანად სჭირდება თავისი ეკონომიკური, სამხედრო პოტენციით. ნატო-ს ფაქტორი, ენერგომატარებლები, რკინიგზა, ყველაფერი გასათვალისწინებელია. აშკარაა, რომ რუსეთი არ არის თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფო, შესაბამისად იგი თავის ინტერესებს ახორციელებს უკანონო და უსამართლო ფორმებით - დაჩაგვრით, პროვოკაციით, შანტაჟით. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ იგი გამოიყენებდა არსებულ წინააღმდეგობებს, ანუ მას კი არ დაუწყია ომი, ხელი შეუწყო ქართველებისა და აფხაზების გაუცხოებას. რატომ ვერ დაიწყო რუსეთმა ომი, მაგალითად, კახელებს ან მეგრელებს და დანარჩენ ქართველებს შორის

**თ. ბ.** სინამდვილეში ამის სერიოზული საფრთხე არსებობდა?



ლევან ხერხეულიძის ფოტო

*თორნიკე ბერიშვილი და პაატა ზაქარეიშვილი*

**პ. ზ.** რასაკვირველია, არსებობდა, მაგრამ მათ ხელი მოემართათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ქართველები ვერ მორიგდნენ ეთნიკურ კომპოზიციებში. ანუ რუსები კარგად მუშაობენ იქ, სადაც პოულობენ პრობლემას. რუსმა მშვენივრად დაუსვა ქართველებს დიაგნოზი, მიხვდა, რომ ქართველები ვერ იტანენ ვერანაირ უცხოს, არაქართულს და ამაზე ააგო ის პოლიტიკა, რის მიხედვითაც წარმატებით განახორციელა ჩანაფიქრი და ქართველებს შეაყვანინა ჯარი აფხაზეთში. ეს რომ არ მომხდარიყო, რუსებს არაფერი გამოუვიდოდათ. ჩვენი ჯარების შეყვანით დაიძაბა ვითარება და გაღრმავდა კონფლიქტი. ამის შემდეგ რუსეთი იწყებს ჩვენს გაჩერებას.

**თ. ბ.** ე.ი. რუსეთი არ უნდა ჩამოვაცილოთ ამ სიტუაციას?

**პ. ზ.** ვერ ჩამოვაცილებთ და ეს რეალობაა. რუსეთი არის სტიქია. კავკასიაში აშკარად, ბუნებრივად ხორციელდება რუსეთის ინტერესები, გინდა არ გინდა, მისი გამოთიშვა და ჩამოცილება სასაცილოა. ჩვენ რუსეთის ინტერესების სფეროში ჩვენი ინტერესების რეალიზაცია უნდა ვისწავლოთ. დავაინტერესოთ იგი და მან უნდა ჩათვალოს, რომ ჩვენი ინტერესების გათვალისწინების გარეშე თავის მიზნებს ვერ განახორციელებს. მინდა მკაცრად გავუსვა ხაზი, არაკომპეტენტურია და არაკვალიფიციურია განცხადება, გამოიყვანეთ რუსეთი თამაშიდან და მოვუვლი აფხაზეთსო. კეთილი უნდა ინებო და, თუ პოლიტიკოსი ხარ, კი არ უნდა უარყო მტერი და დემაგოგიურად მასთან გათიშვაზე კი არ უნდა ილაპარაკო, არამედ გაითვალისწინო, რა უნდა მას და რატომ იქცევა ასე. მერე შენი ინტერესები დაუპირისპირო და გაათვალისწინებინო.

**თ. ბ.** ამ თემის გარშემო ძალიან დიდხანს შეიძლება საუბარი, მაგრამ რეალურად რამდენადაა შესაძლებელი რუსეთის ინტერესების გათვალისწინება?

**პ. ზ.** რა თქმა უნდა, შესაძლებელია. რუსეთი მართვადი სახელმწიფოა. რა გამოუვიდა რუსეთს მსოფლიოში, რაც იგი დამოუკიდებელია? თავის სასარგებლოდ ვერანაირი პრობლემა ვერ გადაწყვიტა. ანუ რუსეთზე შეიძლება ზემოქმედება, გარკვეული გარიგებებიდან გამომდინარე მოლაპარაკება.

**თ. ბ.** ფაქტობრივად, მივდივართ იქამდე, რომ თუკი რამე არ არის გაკეთებული, მხოლოდ საქართველოს ხელისუფლებისა და საზოგადოების ბრალია?

**პ. ზ.** რასაკვირველია, რუსეთმა გააკეთა ის, რისი საშუალებაც საქართველომ მისცა.

**თ. ბ.** დავუბრუნდეთ ქართველებსა და აფხაზებს. ვთქვათ, არ არის რუსეთი, ვზივართ ერთმანეთის პირისპირ ჩვენ და აფხაზები – რა ვქნათ?

**პ. ზ.** რა თქმა უნდა, მაინც უნდა ვაღიაროთ, რომ გაუცხოების დიდი ნაწილი რუსეთის ხარჯზეა, მან ამ სიტუაციას ხელი შეუწყო და გარკვეულწილად შეიძლება გააღვივა კიდეც, მაგრამ ჩვენ ეს ავიტაცეთ. ხომ არ ავყოლილვართ იმ სიტუაციას, რომელიც რუსეთმა სამეგრელოსა თუ აჭარაში დაიწყო, რასაც ვერ ვიტყვით ცხინვალსა და აფხაზეთზე? რომც ვაღიაროთ ამ კონფლიქტებში რუსეთის როლი, ამით არ უნდა დავკმაყოფილდეთ. უნდა გამოვიკვლიოთ, რატომ ავყევით ამ ყველაფერს. ამიტომ ჩემთვის იმ პატარა ფრაზაში, რაც ნადარეიშვილმა თქვა და შემდეგ კაკაბაძემ გააღრმავა, ერთ წინადადებაში ორი არაკომპეტენტური განცხადებაა. ერთი ის არის, თითქოს, რუსეთის გათიშვა შეიძლება და მეორე, აფხაზებთან მოლაპარაკება 24 საათში მოხერხდებაო, ანუ ჩვენ მათ რეალურად არაფრად ვაგდებთ.

**თ. ბ.** მე ასეთი განცდა არ დამრჩენია იგივე ნადარეიშვილთან საუბრისას. მან ასე ჩამოაყალიბა: "მე მყავს ნათესავები აფხაზები, ჩემზე კარგად არავინ იცის, ვთქვათ, აფხაზური ფსიქოლოგია და მოთხოვნები და მე ვერ ვხედავ აქ მოუგვარებელ პრობლემებს. ჩვენ რომ პირისპირ დავჯდეთ, იმდენი გვაქვს საერთო, რომ ორ დღეში ყველაფერს გავაკეთებთო."

**პ. ზ.** ეს ფრაზა მიუღებელია. აუცილებელი არ არის, ძველ საბერძნეთში ცხოვრობდე, რათა ძველი საბერძნეთის სპეციალისტი იყო. ეს არის ძალიან მცდარი, არაკომპეტენტური, არაკვალიფიციური და არაპოლიტიკური განცხადება. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ აფხაზეთში მცხოვრებმა პოლიტიკოსებმა, სამწუხაროდ, უფრო ნაკლებად იციან აფხაზეთი, ვიდრე - აფხაზეთის გარეთ.

**თ. ბ.** ვფიქრობ, როდესაც აფხაზები ან წაიკითხავენ ან გაიგებენ იმას, რომ ქართველები მათთან მოლაპარაკებას 24 საათში აპირებენ, ეს მათთვის მიუღებელი იქნება.

**პ. ზ.** აფხაზეთის ერი ერია. მას თავისი ინტერესები გააჩნია და, თუ შენ 24 საათში აპირებ მოლაპარაკებას, ე.ი. ძალისმიერ მეთოდებზე საუბრობ. არანაირი სურვილი არ არის იმისა, რომ გავერკვეთ, რატომ არ უნდა აფხაზს შენთან ცხოვრება, რატომ ურჩევნია მას იგივე რუსეთთან ცხოვრება, რომელიც სანდო არ არის. ძალიან ხშირად მიწევს აფხაზების პირველ პირებთან შეხვედრა. მათთან ურთიერთობისას ერთი რამ აშკარაა, რომ ყველა აფხაზს ეშინია რუსეთის, მაგრამ საქართველოსი კიდევ უფრო მეტად ეშინია. მათ ცუდი რუსეთი ურჩევნიათ ცუდ საქართველოს, იმიტომ, რომ საქართველო პატარა სახელმწიფოა, დაჩაგრულია და გაბოროტებული. რუსეთი არ არის გაბოროტებული, იგი თავის ლიბერალურ პოლიტიკას ახორციელებს. აფხაზს მიაჩნია, რომ ცუდი საქართველო მას 24 საათში "გადაუვლის", რუსეთი კი ამას არ გააკეთებს. რუსეთი მის ასიმილაციას მოახდენს 30-40 წლის განმავლობაში. მე მირჩევნია 30-40 წელიწადში გადავგვარდე, ვიდრე ხვალ ფიზიკურად მოვკვდე. ეს შიში აქვთ აფხაზებს ქართველების მიმართ და ჩვენ დღემდე არ გვესმის ამ შიშის. ამის გამო ჩვენ დევნილებს არ აბრუნებენ.

**თ. ბ.** მრჩება შთაბეჭდილება, რომ პოლიტიკოსებისათვის დევნილების დაბრუნება არის არა მიზანი, არამედ საშუალება. ამიტომ ორმაგად და სამმაგად რთულდება მათი პრობლემის მოგვარება.

**პ. ზ.** დევნილები რომ მიზანი იყოს, ჩვენ მათ უფლებებს არ დავიცავდით? ჩვენ მოქალაქეებს წავართვით უფლება, აერჩიათ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები. მაგალითად, წყალტუბოს რაიონი, სადაც 10 ათასი დევნილი და 10 ათასი ადგილობრივი ადამიანი ცხოვრობს. ამ 10 ათასს დევნილს მთელი 10 წლის განმავლობაში წართმეული ჰქონდა უფლება, თავისი ხელისუფლება აერჩია.

**თ. ბ.** აბსოლუტურად გეთანხმები, თუმცა აქ არის ერთი მომენტი, რომელიც არგუმენტად მოყავთ; "ჩვენ ამას ვაკეთებთ იმიტომ კი არა, რომ ვარღვევთ მათ უფლებებს, არამედ იმიტომ, რომ არ მოხდეს არსებულ სიტუაციასთან შეგუება".

**პ. ზ.** ვინც ამას ლაპარაკობს, წარმოდგენა არ აქვს სახელმწიფოზე. სახელმწიფოს ტერიტორია კი არ არის მთავარი, მთავარია მოსახლეობა. ტერიტორია კი არ მონაწილეობს არჩევნებში, მოსახლეობა მონაწილეობს. ტერიტორიას ნება არ გააჩნია, ნება გააჩნია მოსახლეობას. ანუ არჩევნებში ხდება არა ტერიტორიის ნების გამოხატვა, არამედ მოქალაქის ნების გამოხატვა. ამიტომ მხოლოდ და მხოლოდ იმ მიზნით, რათა არჩევნები გაადვილდეს, ხდება ტერიტორიის დანაწევრება.

**თ. ბ.** არჩევნების დაყოფა ტერიტორიებად და ოლქებად ჩვენს მმართველებს წარმოდგენილი აქვთ, როგორც პრივატიზებული ოლქი, საკუთარი ინტერესებით.

**პ. ზ.** ამით ირღვევა კონსტიტუცია და ადამიანის უზენაესი უფლება, რომელიც იქ უნდა დაიცვა, სადაც ადამიანი ცხოვრობს და არა იქ, სადაც მომავალში იქნება.

რა თქმა უნდა, დევნილებს აქვთ დაბრუნების უფლება, მაგრამ მანამდე ისინი აქ უნდა იყვნენ სრულუფლებიანნი. ჩვენს პოლიტიკოსებს ეშინიათ, რომ ეს ხალხი არ დაბრუნდება აფხაზეთში. აფხაზებს კი ეშინიათ ქართველების ექსპანსიისა.

ჩვენი ერთადერთი მცდელობა აფხაზეთის დაბრუნებისა არის ის, რომ ვცდილობთ ქართველი კაცის ნებით მოვთოკოთ აფხაზების ნება. ეს უზნეობაა.

**თ. ბ.** არსებობს ნადარეიშვილი, კაკაბაძე, აბაშიძე, რომლებიც აფხაზეთის პრობლემაზე მუშაობენ, მაგრამ რეალურად მათი ერთმანეთთან კოორდინაცია არ ხდება და, რასაკვირველია, არ არის თანმიმდევრული პოლიტიკა და თანმიმდევრული გეგმა. რა ხდება რეალურად? ვინ მუშაობს აფხაზეთის პრობლემაზე?

*ჩაიწერა ნანა ბასილაშვილმა*

გაგრძელება მომავალ ოთხშაბათს

შერიგება

# გურამ ოდიშარია: "ერთ ქალაქად ვიზრდებოდით!"

*ომი შერიგებით მთავრდება. სხვა დასასრული მას არა აქვს. სხვა დასასრული იგივე ომია, რომელშიც, როგორც ბრძენი ამბობს, გამარჯვებული არ არსებობს. ამიტომ ებღაუჭებიან შერიგებას ქართველი და აფხაზი მწერლები, რომლებიც ერთობლივი წიგნის გამოშვებას აპირებენ და ამ იდეის გარშემო კონფლიქტებით გატანჯულ სხვა კავკასიელ მწერლებსაც აერთიანებენ. დღეს ჩვენი სტუმარია ამ იდეის ავტორი, ცნობილი ქართველი მწერალი, სოხუმიდან დევნილი გურამ ოდიშარია, რომლის მთელი შემოქმედება ქართველი და აფხაზი ხალხის შერიგებას ემსახურება. ერთობლივ წიგნში შევა მისი დოკუმენტური მოთხრობა "ძმისშვილი", რომელიც აფხაზებსაც ძალიან მოსწონებიათ. აი, რა გვითხრა მან წიგნის შესახებ.*

1998 წელს შემომთავაზეს აფხაზურ ინტელიგენციასთან შეხვედრა, რომელიც სოჭში უნდა გამართულიყო. მაშინვე დავთანხმდი, ვინაიდან ომამდეც, ომის დროსაც და ომის შემდეგაც მხოლოდ მშვიდობიანი დიალოგის მომხრე ვიყავი. წავედი ჩემს მეგობრებთან ერთად და ვნახე, რომ ჩემი წიგნი "სოხუმში დაბრუნება", რომელიც 1997 წელს რუსულად ითარგმნა, ყველას წაკითხული ჰქონია. ერთი სტრიქონი არა მაქვს სიძულვილით დაწერილი - იქ დაბადებული, გაზრდილი კაცი ვარ და სოხუმთან ყოველივე კარგი მაკავშირებდა. ჩემი მეგობრები იყვნენ აფხაზები, სომხები, რუსები, ბერძნები და ყველა სხვა ეროვნების წარმომადგენლები, რომლებიც ერთად, ერთ ქალაქად ვიზრდებოდით.

პირველ შეხვედრაზე უფრო მეტი გავიგე იმ ადამიანებზე, რომლებსაც ომის დაწყებაში ბრალი არ მიუძღვით – განადგურებულია ოჯახები, ამოხოცილია ხალხი. პოლიტიკოსებს ხშირად ავიწყდებათ, რომ ის ხალხი ჩვენია და ისე უნდა მოვეპყრათ, როგორც საკუთარს. ამიტომ გაქრა ნდობის ფაქტორი.

1998 წლიდან მე უკვე რეგულარულად ვხვდები ჩემს მეგობრებს აფხაზური მხრიდან რუსეთში. ყოველი შეხვედრის დროს ჩემთვის მოჰქონდათ მოთხრობები ომის თემაზე. მათ შორის შემხვდა საოცარი ჰუმანიზმითა და ტკივილით სავსე მოთხრობებიც. იმ დროისათვის აფხაზეთის პერიოდულ პორესაში ჩემი ორი მოთხრობაც იყო დაბეჭდილი.

ერთ-ერთი შეხვედრის დროს დამებადა აზრი, ქართველი საზოგადოებისთვისაც გაგვეცნო აფხაზეთში მოღვაწე მწერალთა შემოქმედება. ლიტერატურა ხომ ყველას კუთვნილებაა.

ამას აფხაზი მეგობრებიც დაეთანხმნენ და დავიწყეთ მწერლების შერჩევა.

ყველა მწერალს ჰყავს თავისი ათასობით მკითხველი და ეს ძალა სახალხო დიპლომატიაში, ჯერჯერობით, გამოყენებული არ არის. აფხაზური მხრიდან ცოტა მძიმედ, მაგრამ დროთა განმავლობაში მაინც მოგვცეს თანხმობა, როცა სათანადოდ შეაფასეს იდეის მნიშვნელობა. საუბარია იმ მოთხრობებზე, რომლებშიც ასახულია ომის ტრაგედია და სადაც არის შერიგებისა და თანაცხოვრების იმედი.

ერთობლივ წიგნში დაიბეჭდება სამი ცნობილი აფხაზი მწერლის მოთხრობები – ალექსი გოგუა, დაურ ნაჭყებია, ფაზენდ ისკანდერი. ქართული მხრიდან წარმოდგენილი იქნება ოთხი მწერალი – ბესო ხვედელიძე, შალვა ბაკურაძე, კახაბერ ჭაბაშვილი და თქვენი მონა-მორჩილი.

ამის შემდეგ ჩვენ შევხვდით სხვა მწერლებსაც სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან, ოსეთიდან და გადავწყვიტეთ, ჩვენს წიგნში მათი მოთხრობებიც შეგვეტანა. მართალია, ეს წიგნი იბეჭდება ქართულ-აფხაზური პროექტის ფარგლებში, მაგრამ კავკასიაში, სამწუხაროდ, სხვა კონფლიქტებიც გვაქვს, ცხინვალი იქნება, თუ ყარაბაღი. ამიტომ უპრიანია იმ კრებულში, რომელმაც დაპირისპირებულ მხარეებს სითბო და შერიგების იმედი უნდა ჩაუნერგოს, სამხრეთ კავკასიის ხუთივე ლიტერატურის (აზერბაიჯანული, აფხაზური, ქართული, სომხური, ოსური) წარმომადგენლების სახელმა გაიჟღეროს.

ამიტომ, აფხაზ მეგობრებთან ერთად ვიმოგზაურე ყარაბაღში, ერევანში, ბაქოში, ცხინვალში, სადაც ვნახეთ ასეთი მწერლები და მოთხრობები. ჩვენი იდეა ყველას მოეწონა, აქამდე სად იყავითო. ასე დაიწყო ურთიერთობა და უკვე ერთი წელია, მიმდინარეობს ჩვენი მიმოსვლა, შეხვედრები და სათანადო მოთხრობების შერჩევა. ბოლოს ერთმანეთს თბილისში, მაისის თვეში შევხვდით და საბოლოოდ შევთანხმდით ყველაფერზე. ამთავითვე მინდა გითხრათ, რომ საოცარი მოთხრობები აღმოვაჩინეთ სომხეთში და აზერბაიჯანშიც.

შემდეგ კიდევ ერთი ნაბიჯი გადავდგით და ჩამოვაყალიბეთ "სამხრეთ კავკასიის მწერალთა ასოციაცია", რომელშიც შევლენ მშვიდობისმყოფელი მწერლები. ამით ჩვენ დავიწყეთ იმ სამწუხარო იზოლაციის გარღვევა, რომელშიც ასეთი მწერლები აღმოვჩნდით. ეს წიგნი შემოდგომაზე გამოვა, მომავალი წლიდან კი ვაპირებთ ჩვენი ხუთი ლიტერატურის ალმანახის გამოცემას.

წიგნი რუსულ ენაზე დაიბეჭდება, შემდეგ კი, ალბათ, ინგლისურადაც ითარგმნება. ამაში დაინტერესებულია ბრიტანული ორგანიზაცია "INTERNACIONAL ALARM" (საერთაშორისო განგაში), რომელმაც დააფინანსა კიდეც ჩვენი ზემოთხსენებული მოგზაურობა კავკასიაში.

ანონსი

**ფოტოკონკურსი**
რუბრიკაში "ფოტოკონკურსი" გამოქვეყნდება აფხაზეთის თემაზე შექმნილი საინტერესო ფოტომასალა, რომელსაც თქვენგან, მკითხველისგან ველით. წლის ბოლოს მოეწყობა მკითხველისავე შეფასებით გამოვლენილი საუკეთესო ფოტოების გამოფენა და გამარჯვებულების დაჯილდოება.

**სამახსოვრო ისტორიები**
რუბრიკა "სამახსოვრო ისტორიები" უმასპინძლებს ყველა კეთილი ნების ადამიანს, რომლებსაც აფხაზეთთან და აფხაზებთან კარგი მოგონებები აკავშირებს.

**კითხვა - პასუხი**
რუბრიკაში "კითხვა-პასუხი" გამოქვეყნდება იურიდიული და სოციალური კონსულტაცია დევნილთა და აფხაზეთის ომის მონაწილეთა მიერ დაყენებულ ნებისმიერ საკითხზე.

**რეიტინგი**
რუბრიკა "რეიტინგი" ელის თქვენ შეხედულებებს: ვინ არის თქვენთვის ყველაზე დიდი ავტორიტეტი აფხაზეთის საკითხში, ვისთან ისურვებდით შეხვედრას ჩვენი გაზეთის ფურცლებზე და თქვენი სამი შეკითხვა მოწვეული რესპოდენტისადმი.

მისამართი: ვაჟა-ფშაველას 45, მე-14 სართული,
გაზეთი "24 საათი", ტელეფონი: 20-24-24,
იკითხეთ პროექტი "თქვენი აფხაზეთი"
ფაქსი: 20-24-25
http://yourabkhazia.rustavi2.com

ფოტოკონკურსი



ინგა ფოჩხუას ფოტო

*საკონკურსო ფოტო: გალი 2000*

## სტუმრად ორიოლში

აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების ვიცე-პრეზიდენტი ვალერი არშბა და სოხუმის მერი ლეონიდ ლოლუა რუსეთის ფედერაციის ორიოლის ოლქში იმყოფებოდნენ. ისინი ოლქის გუბერნატორმა ეგორ სტროევმა ქალაქ ორიოლის გერმანელი ფაშისტებისგან გათავისუფლების 60 წლისთავის აღსანიშნავ ღონისძიებებში მონაწილეობისთვის მიიწვია. **მედია-ნიუსი.**

## თანამშრომლობის პერსპექტივა

თვითგამოცხადებული აფხაზეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა რაულ ხაჯიმბამ და რუსეთის ფედერაციის კრასნოდარის მხარის გუბერნატორმა ალექსანდრე ტკაჩოვმა აფხაზეთისა და კრასნოდარის მხარის ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებისა და აფხაზეთის საკურორტო ინფრასტრუქტურის განვითარებაში კრასნოდარის მხარის მონაწილეობის პერსპექტივები განიხილეს. **ინტერ-პრესი**

## პარტიული გარიგება

რუსეთის ფედერაციისა და აფხაზეთის "სახალხო პარტიებმა" გუშინ სოხუმში, ერთობლივ დეკლარაციას მოაწერეს ხელი. ამ დეკლარაციით რუსეთის "სახალხო პარტიამ" აფხაზეთის დამოუკიდებლობის საერთაშორისო აღიარებაზე ზრუნვა ივალდებულა.

ერთობლივი დეკლარაციის მიხედვით, ორი პოლიტიკური პარტია მხარს უჭერს აფხაზეთზე რუსეთის პროტექტორატის დამყარებას, აფხაზეთის მოქალაქეების მიერ რუსეთის მოქალაქეობის მიღებას, რუსეთის ხელისუფლების მიერ აფხაზეთში მცხოვრებ რუსეთის მოქალაქეებზე სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებზე პასუხისმგებლობის აღებას, მათი პენსიებით უზრუნველყოფას, რუსეთსა და აფხაზეთს შორის სრულფასოვანი სატრანსპორტო მიმოსვლის აღდგენას.

რუსეთის "სახალხო პარტიამ" აფხაზეთის "სახალხო პარტიის" წინაშე ვალდებულება აიღო - ხელი შეუწყოს საერთაშორისო საზოგადოების მიერ თვითგამოცხადებული აფხაზეთის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღიარებას.

რუსული მხრიდან დეკლარაციას ხელი მოაწერა რუსეთის ფედერაციის "სახალხო პარტიის" ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარემ, რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატმა გენადი რაიკოვმა, ხოლო აფხაზური მხრიდან - აფხაზეთის "სახალხო პარტიის" პოლიტსაბჭოს თავმჯდომარემ იაკუბ ლაკობამ. **ინტერ-პრესი**

## საქმიანი გარიგება

თურქული კომპანია "ასკანი" და ფირმა "ტამსაში" უახლოეს დღეებში, ოჩამჩირის საზღვაო პორტიდან ტყვარჩელის ქვანახშირის გადაზიდვას დაიწყებს. ამის შესახებ, სოხუმის ხელისუფლების ვიცე-პრემიერი ემა ტანია და ეკონომიკის მინისტრი კონსტანტინე ტუშბა ოჩამჩირის პორტში თურქულ მხარესთან გამართულ შეხვედრაზე შეთანხმდნენ. **ინტერ-პრესი**

## ნაცემი ქართველები

გალის რაიონის სოფელ ჭუბურხინჯში მცხოვრები ოთხი ქართველი - გვარად ქირია, ქაჯაია, საჯაია და ძანძავა, რომლებიც აფხაზურმა მილიციამ აფხაზი მებაჟეების აფეთქების ფაქტთან დაკავშირებით დააკავა, უკვე გაათავისუფლეს.

ისინი სასტიკად არიან ნაცემები. ოთხი ქართველის დაკავება აფხაზურმა მილიციამ იმით ახსნა, თითქოს მათ ჰქონდათ ინფორმაცია იმის შესახებ, თუ ვინ იყო აფეთქების ორგანიზატორი. **მედია-ნიუსი.**

## შევარდნაძის იმედი

პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე აცხადებს, რომ ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში დევნილი მოსახლეობის დაბრუნების პროცესი ფაქტობრივად დაწყებულია და გალის რაიონში უკვე 45-50 ათასი ადამიანი დაბრუნდა, რომელთა უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლობას ხელისუფლება ვერ კისრულობს.

როგორც პრეზიდენტმა შევარდნაძემ ტრადიციულ ბრიფინგზე განაცხადა, აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის სრულმასშტაბიანი დაბრუნების პროცესი ოფიციალურად მხოლოდ მაშინ დაიწყება, როცა სრულად ამოქმედდება მასსა და რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინს შორის მიღწეული შეთანხმება. **მედია-ნიუსი.**

## ლებედევას ინფორმაცია

რუსეთის ადამიანის უფლებათა დამცველისა და საერთაშორისო ანტიფაშისტური მოძრაობის ლიდერის ელენე ლებედევას მტკიცებით, სოხუმის კრიმინალური რეჟიმი ბზიფის ხეობაში, ქართველ ტყვეებს ჩრდილოეთ კავკასიასთან დამაკავშირებელი გვირაბის მშენებლობას აიძულებს. იგი საქართველოს ხელისუფლებას სოხუმისა და ცხინვალის კრიმინალური სტრუქტურების წინააღმდეგ პოლიციური ოპერაციის ჩატარებისკენ მოუწოდებს.

ამის შესახებ ლებედავამ გუშინ თბილისში, ადვოკატ ეკა ბესელიას ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

მისი თქმით, არაერთი მცდელობის მიუხედავად, სოხუმის ხელისუფლებამ იგი და ქართველი მღვდელი მამა კონსტანტინე აფხაზეთში არ შეუშვა. ლებედევა ამ ფაქტს სოხუმის ხელისუფლებლისადმი მისი მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულებით ხსნის და ამტკიცებს, რომ სეპარატისტული აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებს კრიმინალური დაჯგუფებები აკონტროლებენ, რომელთა შემოსავლის უმთავრეს წყაროს ნარკოტიკებისა და სხვა სახის პროდუქტების კონტრაბანდა და ადამიანის გატაცებისას გამოძალული თანხები წარმოადგენენ. **ინტერ-პრესი**

## რუსეთში "კურსკი" გაიხსენეს

გუშინ რუსეთის რამდენიმე ქალაქში სამი წლის წინ წყალქვეშა ნავ "კურსკის" ჩაძირვის დროს დაღუპულ მეზღვაურებს პანაშვიდები გადაუხადეს. ბარენცის ზღვაში უბედური შემთხვევის შედეგად 118 ადამიანი დაიღუპა.

სანკტ-პეტერბურგში დაღუპულთა ხსოვნის პატივსაცემად ახალი მემორიალი აღიმართა.

"კურსკის" დაღუპვა ერთ-ერთი ყველაზე უფრო შემზარავი შემთხვევაა რუსეთის ისტორიაში, რომელიც მშვიდობიანობის დროს მომხდარა.

მაშინ ჩაძირული გემის ბორტზე ერთ-ერთი მეზღვაურის ჩანაწერი აღმოაჩინეს, რომლის მიხედვით ირკვევა, რომ ხომალდის ჩაძირვის შემდეგ ეკიპაჟის 23-მა წევრმა კიდევ რამდენიმე საათი იცოცხლა. ბევრს სჯერა, რომ მათი გადარჩენა შესაძლებელი იქნებოდა, რუსეთის ხელისუფლებას დროულად რომ ემოქმედა და გემის ჩაძირვა არ გაესაიდუმლოებინა.

დაღუპულთა ნათესავები აპირებენ, რომ ამ დღეებში პროკურატურას მიმართონ, რათა საქმის გამოძიება ხელახლა დაიწყოს. მათი თქმით, მათ კომპენსაცია აღარ სურთ, მხოლოდ სიმართლის გაგება სწყურიათ.

### მოკლედ

■ ■ ■

რუსული სამხედრო ბაზებისა და ენერგეტიკული მონოპოლიების გვერდით, მალე საქართველოში რუსული კულტურის ცენტრიც გაჩნდება. მას რუსეთის პრეზიდენტის მეუღლე, ლიუდმილა პუტინა უხელმძღვანელებს – იუწყება რუსული "ნეზავისიმაია გაზეტა".

პრეზიდენტის მეუღლე ცნობილია, როგორც დსთ-ის ქვეყნებში რუსულისათვის სახელმწიფო ენის სტატუსის მისანიჭებლად გულმხურვალე მებრძოლი.

კულტურის ცენტრის შენობისათვის საძირკვლის გასაჭრელად იგი თბილისს ოქტომბერში ეწვევა.

■ ■ ■

2005 წლის 1 იანვრისათვის რუსეთი და ბელარუსი საერთო ვალუტაზე გადადიან – იუწყება რუსული გაზეთი "კომერსანტი". ორშაბათს პრეზიდენტთან გამართულ თათბირზე პუტინმა თავის ეკონომიკურ გუნდს განუცხადა, რომ საბოლოო გადაწყვეტილების მიღების დრო მოვიდა.

რუსეთი დაჟინებით მოითხოვს, რომ ერთიანი ვალუტის ემისია მხოლოდ რუსეთის ცენტრალურმა ბანკმა განახორციელოს, რასაც ჯერჯერობით არ თანხმდება ბელორუსი.

გაზეთის აზრით, ერთიანი ვალუტის შემოღებისთანავე, რუსულ კომპანიებს ბელორუსის ეკონომიკური ობიექტების ხელში ჩასაგდებად ყველა გზა ხსნილი ექნებათ.

# ნატო ორშაბათიდან ავღანეთის სამშვიდობო მისიას ჩაუდგა სათავეში

პირველი გვერდიდან

ამასთან, იგივე დარჩება კონტინგენტის პირადი შემადგენლობა – საერთაშორისო უსაფრთხოების მხარდამჭერი ძალების 90 პროცენტი ნატო-ს ქვეყნების წარმომადგენლები არიან, სულ კი ავღანეთის სტაბილიზაციის ოპერაციაში 30 სახელმწიფოს სხვადასხვა ზომის ქვედანაყოფი მონაწილეობს, რომელთაგან 15 ქვეყანა – ნატო-ს წევრი არა არის.

გარდა ამისა, კანადა აგზავნის ავღანეთში 1500-კაციან სამხედრო კონტინგენტს, რომელიც იქ, იმავე ზომის გერმანულ ქვედანაყოფს თვის ბოლომდე შეცვლის. ნატო-ს ხელმძღვანელობის ქვეშ გადასული საერთაშორისო მხარდამჭერი ძალების ოპერატიული სამმართველოს უფროსმა, ბრიტანელმა გენერალმა ჯეკ დევერელმა 11 აგვისტოს რადიო "თავისუფლებას" განუცხადა:

**"ჩვენ ვიმოქმედებთ გაერო-ს მანდატის მიხედვით და დავეხმარებით ჰამიდ კარზაისა და ავღანეთის გარდამავალ ხელისუფლებას, რათა ქაბულსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე კიდევ უფრო განვამტკიცოთ უსაფრთხოება, ვინაიდან ამ დახმარების გარეშე, კარზაის და მის მთავრობას გაუჭირდება ავღანეთის რეკონსტრუქცია და გადაქცევა უსაფრთხო ქვეყნად."**

მაგრამ, როგორც საერთაშორისო ექსპერტები აღნიშნავენ, მართალია სამშვიდობო კონტინგენტის მმართველობის შეცვლა მნიშვნელოვანი პოლიტიკური ნაბიჯია, მაგრამ ნატო-ს ხელმძღვანელობა ავღანეთში ზუსტად იმავე სიძნელეების წინაშე აღმოჩნდება, რასაც ორი წლის განმავლობაში ბრიტანელი, თურქი, ჰოლანდიელი თუ გერმანელი გენერლები აწყდებოდნენ. ივნისში უსაფრთხოების მხარდამჭერმა ძალებმა ტერორისტული თავდასხმის შედეგად დიდი დანაკარგი განიცადეს. ასაფეთქებელი მოწყობილობით დატვირთული ტაქსის აფეთქების დროს ოთხი გერმანელი მშვიდობის დამცველი ჯარისკაცი დაიღუპა და 30-მდე დაიჭრა.

აღსანიშნავია, რომ თალიბთა სამხედრო ინფრასტრუქტურის განადგურებისა და ორწლიანი სამშვიდობო ოპერაციის მიუხედავად,



კარზაი ცდილობს, ალიანსი სამშვიდობო ოპერაციის გაფართოების აუცილებლობაში დაარწმუნოს

REUTERS

სტაბილურობის ერთადერთ ოაზისს ავღანეთის დედაქალაქი ქაბული წარმოადგენს, პროვინციებში მცხოვრები ავღანელების უმრავლესობა კი კვლავ ერთმანეთთან დაპირისპირებული სამხედრო მეთაურების გავლენის ქვეშ იმყოფება. დაძაბულია ვითარება ავღანეთ-პაკისტანის აღმოსავლეთ და სამხრეთ საზღვრებზე, სადაც გრძელდება შეტაკებები თალიბთა რაზმებსა და პარტიზანულ ჯგუფებს შორის. განუწყვეტელი თავდასხმების გამო, როგორც ცნობილია, სამხრეთ ავღანეთში გასულ კვირაში საქმიანობის შეწყვეტის გადაწყვეტილება გაერო-ს დახმარების სააგენტომაც მიიღო.

სწორედ ამიტომაც არის, რომ ავღანეთის ხელისუფლება მოითხოვს, გაფართოვდეს საერთაშორისო სამშვიდობო ძალების მოქმედების დიაპაზონი და იგი ნელ-ნელა ავღანეთის მთელ ტერიტორიაზე გავრცელდეს.

თავისი პოსტიდან წასვლის შემდეგ, იმავე მოთხოვნით გამოვიდა საერთაშორისო სამშვიდობო ძალების ყოფილი სარდალი, გერმანელი გენერალი ნორბერტ ჰაისტი, რომელმაც გასულ კვირაში განაცხადა, რომ დაუშვებელია თალიბთა გაფანტულ რაზმებს კვლავ მიეცეთ გადაჯგუფების და თავისუფალი მანევრირების საშუალება ავღანეთის ტერიტორიაზე.

# ჩარლზ ტეილორი კვლავ საშიშია

*ლიბერიის პრეზიდენტის ჩარლზ ტეილორის გადადგომისა და ნიგერიაში გაქცევის შემდეგ, მისი გავლენა დასავლეთ აფრიკაზე კვლავ დიდია.*

მართალია, ტეილორი თავის ოჯახთან და მრჩევლებთან ერთად ნიგერიაში გაიქცა, მაგრამ იგი კვლავაც ათასობით შეიარაღებული ადამიანის მეთაურად მოიაზრება. თვით ტეილორის შემცვლელი ვიცე-პრეზიდენტი მოსეს ბლაჰი ტეილორის შიდა წრის წევრია, რომელიც 1980-იან წლებში ლიბერიის აწ უკვე ყოფილ პრეზიდენტთან ერთად ლიბიაში უკანონო შეიარაღებულ რაზმებს წვრთნიდა. 1989 წელს მათ ერთად მოაწყვეს გადატრიალება ლიბერიაში და ხელისუფლების სათავეში მოექცნენ. აღსანიშნავია, რომ ბლაჰი და ტეილორი დრო და დრო ერთმანეთს უპირისპირდებოდნენ, მაგრამ, ამის მიუხედავად, ისინი ურთიერთობების დარეგულირებას ყოველთვის ახერხებდნენ.

ბევრი მიმომხილველი ფიქრობს, რომ ბლაჰის ხელისუფლების სათავეში მცირე ხნით ყოფნაც კი გარდამავალი მთავრობის შექმნას ხელს შეუშლის და ლიბერიას, ფაქტობრივად, ისევ ჩარლზ ტეილორის გავლენის ქვეშ დატოვებს.

ამგვარ მოსაზრებებს თავად ტეილორის განცხადება ამყარებს, რომ ქვეყნის დატოვებას ის სამუდამოდ არ აპირებს. თავის გამოსამშვიდობებელ სიტყვაში ტეილორმა აღნიშნა: "ღმერთი მოწყალეა და მე უკან დავბრუნდები".

ამჯერად ტეილორმა თავიდან აიცილა ყველაზე უარესი – საერთაშორისო ტრიბუნალი. მარტში გაერო-ს ეგიდით მოქმედმა საერთაშორისო ტრიბუნალმა ტეილორს ბრალი მეზობელ სიერა-ლეონეში მომხდარ ადამიანთა მკვლელობაში დასდო. ტეილორს ადამიანთა მკვლელობებში, ქალების გაუპატიურებასა და ბავშვების იძულებით ჯარისკაცებად გამოყენებაში ადანაშაულებენ.

ლიბერიაში ბრძოლის პარალელურად, ტეილორმა "გაერთიანებული რევოლუციის ფრონტი" შექმნა, რომელიც სიერა ლეონეში იბრძოდა. მათი მეშვეობით ჩარლზ ტეილორი ბრილიანტების საბადოებს აკონტროლებდა და მილიონობით დოლარის შემოსავალს იღებდა.

ადამიანის უფლებების დამცველები ამტკიცებენ, რომ ტეილორის დაუსჯელობა ძალიან ცუდი პრეცედენტი იქნება სხვებისათვის და მთელს მსოფლიოში დიქტატორებს წააქეზებს.

სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლის ფილიპ რიკერის განცხადებით, "ჩარლზ ტეილორი სიერა ლეონეში მიმდინარე სისხლისღვრაში დამნაშავეა და მან ამისთვის საერთაშორისო სასამართლოს წინაშე პასუხი უნდა აგოს".

ტეილორის "უნარმა და მონდომებამ, რომ ბუნებრივი რესურსები თავის ინტერესებისათვის გამოიყენოს, იგი არა ეროვნულ, არამედ რეგიონულ საფრთხედ აქცია," - აღნიშნა გეილ სმიტმა, კლინტონის ადმინისტრაციის დროს ეროვნული უშიშროების საბჭოში აფრიკული საქმეების ხელმძღვანელმა. "მას ძალა ბრილიანტებმა მისცა".

ტეილორს სხვა დიქტატორებისაგან მისი რეგიონული კავშირები განასხვავებს, რომელიც სათავეს ლიბიაში პარტიზანული რაზმების ჩამოყალიბების პერიოდიდან იღებს.

სწორედ ამ პერიოდში შეხვდა და გაიცნო ჩარლზ ტეილორმა ბურკინა ფასოს, ჩადის, გვინეისა და სიერა ლეონეს მომავალი მმართველები და მაღალჩინოსნები.

ეს მეგობრობა მომავალი წლების განმავლობაში ერთობლივი ბრძოლისა და ბრილიანტების ბიზნესის მეშვეობით კიდევ უფრო განმტკიცდა. ამ კავშირებს ტეილორი დასავლურ აფრიკულ სახელმწიფოებში პარტიზანული ომების, შავი ბიზნესის საწარმოებლად და თავისი მეგობრებისათვის მხარის დასაჭერად მოხერხებულად იყენებდა.

რამდენიმე კვირის წინ, როდესაც ტეილორის წასვლა, პრინციპში, გადაწყვეტილი იყო, ლიბერიის დიქტატორის მოწოდებას სიერა ლეონეში, კოტ`დიუარსა და გვინეაში მყოფი მეგობრები გამოეხმაურნენ და იარაღიც კი გაუგზავნეს. ეს ადასტურებს, რომ მას რეგიონში გავლენა არ დაუკარგავს.

"ჩვენ დარწმუნებულები ვართ, რომ ახლა ეს კავშირები გაცილებით სუსტია, ვიდრე ადრე იყო, მაგრამ ის ზოგიერთებისათვის კვლავ რაღაცას წარმოადგენს," - აღნიშნა ამერიკის ადმინისტრაციის ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა. "მას ძალიან ბევრი პარტნიორი ჰყავს და დიდი ზიანის მოტანა შეუძლია, თუ ძალიან შეეცდება."

ამჟამად, არავინ იცის, რას მოიმოქმედებს ტეილორი. ნიგერიამ მას და მის მოკავშირეებს თავშესაფარი მისცა და ლიბერიის პოლიტიკას ამ გზით მოსწყვიტა. ნიგერიელი სამშვიდობოები ამჟამად ლიბერიაში იმყოფებიან და წესრიგის დამყარებას ცდილობენ.

თუმცა, სმიტის აზრით, თუ ტეილორის დაკავება არ მოხდა, იგი აუცილებლად დაბრუნდება და რეგიონში კვლავ უბედურებას დაატრიალებს.


bp btc AIOC

## აზერი-ჩირაგ-გიუნეშლის ოფშორული საბადოების ათვისების I ფაზის პროექტი და ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის საექსპორტო მილსადენის პროექტი

## პროექტის დოკუმენტაციის საერთაშორისო საჯარო განხილვის პროცესი

აზერი-ჩირაგ-გიუნეშლის ოფშორული საბადოების ათვისების I ფაზის პროექტი გულისხმობს კასპიის ზღვის საბადოების ათვისებას, აზერბაიჯანის სანაპირო ზოლში. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის პროექტი მიზნად ისახავს 1760 კმ სიგრძის მილსადენის მშენებლობას, რომლითაც მოხდება ყოველდღიურად ერთ მილიონ ბარელამდე ნედლი ნავთობის ტრანსპორტირება აზერბაიჯანიდან,საქართველოს გავლით, თურქეთის მიმართულებით,საიდანაც ნავთობი შემდეგ მიეწოდება მსოფლიო ბაზრებს,და რომლის ამოქმედება 2005 წლიდან არის დაგეგმილი. ამ პროექტებში განხორციელებული ინვესტიციები ჯამში 10 მილიარდამდე აშშ დოლარს მიაღწევს,რაც მათ შორის მოიცავს 3,2 მილიარდ აშშ დოლარს აზერი-ჩირაგ-გიუნეშლის I ფაზის განვითარებისათვის და 2,95 მილიარდ აშშ დოლარს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის საექსპორტო მილსადენისათვის. ორივე პროექტს წარმართავს კომპანია "BP",თითოეული ამ პროექტის საერთაშორისო ინვესტორთა ჯგუფების სახელით.

ერთობლივი მანდატის ფარგლებში, "საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია" (IFC) მსოფლიო ბანკის ჯგუფის წევრი, რომელიც ახორციელებს ინვესტიციებს კერძო სექტორში და "ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკი" (EBRD) ამჟამად განიხილავენ თითოეული 100 მილიონი აშშ დოლარის გამოყოფის საკითხს აზერი-ჩირაგ-გიუნეშლის საბადოების ათვისების I ფაზის პროექტისათვის და თითოეული დამატებით 150 მილიონი აშშ დოლარის გამოყოფას – ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტის დაფინანსების მიზნით.

პროექტების მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულების კონტექსტში, რომელიც გულისხმობს პროექტების მშენებლობის და ექსპლოატაციის ეტაპების რეალიზაციას გარემოსდაცვითი და სოციალური სფეროებისადმი საპასუხისმგებლო დამოკიდებულების პირობებში, პროექტებმა მიმართეს უპრეცედენტო ნაბიჯებს – გადაწყვეტილებების მიღების პროცესში გამჭვირვალების და საზოგადოების მონაწილეობის დონის ამაღლების მიზნით, რაც, მათ შორის, მოიცავდა გარემოსდაცვით და სოციალურ საკითხებზე ფართომასშტაბიანი საზოგადოებრივი კონსულტაციების და საჯარო განხილვების ორგანიზებას,გასული ორი წლის განმავლობაში. პროექტების ტერიტორიის მფლობელ სამივე ქვეყანაში მოეწყო "ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების" ანგარიშების საჯარო განხილვა და ეს დოკუმენტები ფართო საზოგადოების შესწავლის საგანი გახდა,რასაც 2002 წელს მოჰყვა დოკუმენტების დამტკიცება ქვეყნების მთავრობების მიერ.

ქვეყნების ტერიტორიაზე პროექტების ზემოქმედების არეალში მოქცეულ მოსახლეობასთან, პროექტების ქვეყნების ხელისუფლების ორგანოებთან და სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან კონსულტაციების გარდა, ზოგიერთი საერთაშორისო საკრედიტო ინსტიტუტების მოთხოვნით, რომელიც პროექტის დაფინანსების შესაძლებლობას განიხილავს, უნდა მომზადდეს და საჯარო განხილვას დაექვემდებაროს "გარემოსდაცვითი შეფასების" დოკუმენტაცია, რაც უზრუნველყოფს, ამავე ინსტიტუტების და ორგანიზაციების შესაბამისი პოლიტიკის წესების და სახელმძღვანელო პრინციპების შესრულებას. ამ მოთხოვნიდან გამომდინარე, შეიქმნა დიდი მოცულობით დამატებითი დოკუმენტაციის მომზადების აუცილებლობა, რომელიც გაერთიანდა დოკუმენტების ამ პაკეტში, რომელიც ამჯერად არის წარმოდგენილი საჯარო განხილვისათვის.

წინამდებარე განცხადებით იხსნება საჯარო განხილვის 120-დღიანი პერიოდი (2003 წლის 12 ივნისიდან) რომელიც წინ უძღვის პროექტის დაფინანსების საკითხის განხილვას "საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის" და "ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის" მიერ. ეს ორგანიზაციები მოესალმებიან შენიშვნების და მოსაზრებების მიღებას საზოგადოების წევრების,არასამთავრობო ორგანიზაციების, სამოქალაქო საზოგადოებრივი ჯგუფების და სხვა დაინტერესებული მხარეებისაგან.

ფართო საზოგადოებას შეუძლია გაეცნოს საჯარო განხილვის მასალებს ინტერნეტ-გვერდზე, რომლის მისამართია www.caspiandevelopmentandexport.com ან მსოფლიო ბანკის "Infoshop"-ში (701 18th Street, N.W., Washington D.C., U.S.A). და EBRD-ს საინფორმაციო ბიზნეს ცენტრში (One Exchange Square London სამუშაო საათებში).

აზერი-ჩირაგ-გიუნეშლის და ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტების დოკუმენტაციის ასლების გაცნობა შესაძლებელია აგრეთვე ქვემოთ მითითებულ მისამართებზე:

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიის ოფისი,საბურთალოს ქ.38 თბილისი,ტელ: 59 34 00

რეგიონალური გარემოსდაცვითი ცენტრი კავკასიისათვის ჭავჭავაძის პრ. 74,ოთახი 901,თბილისი

ილია ჭავჭავაძის სახელობის საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გუდიაშვილის ქ. 7,თბილისი

რუსთავის მერიაში კოსტავას ქ.20,რუსთავი

ახალციხის მერიაში კოსტავას ქ.18,ახალციხე

შეკითხვები და კომენტარები უნდა მიეწოდოს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის თბილისის ოფისს ან გაეგზავნოს "საერთაშორისო საფინანსო კორპორაციას" და "ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკს" მათი ინტერნეტ-მისამართების მეშვეობით (www.ifc.org or www.ebrd.com)


# ახლო აღმოსავლეთში ძალადობა განახლდა



ისრაელი ტერაქტის შემდეგ

REUTERS

ახლო აღმოსავლეთისათვის უჩვეულო 6-კვირიანი სიწყნარის პერიოდი სამშაბათს მომხდარი ორი აფეთქებით დაირღვა. ახლა ყველა ელოდება პასუხს მთავარ კითხვაზე: დასრულდა თუ არა საგზაო რუკად ცნობილი სამშვიდობო გეგმაც.

გუშინ ორმა კამიკაძემ აიფეთქა თავი, ერთმა - ისრაელის სუპერმარკეტში, მეორემ კი - დასავლეთ სანაპიროზე მდებარე ავტობუსის გაჩერებაზე. ისრაელელებმა და პალესტინელებმა სასწრაფოდ დაადანაშაულეს ერთმანეთი სამშვიდობო პროცესის ჩაშლის მცდელობაში.

მომხდარზე პასუხისმგებლობა ჰამასმა აიღო. თავის ვებსაიტზე გამოქვეყნებულ განცხადებაში, ჰამასი იუწყება, რომ პირობა შეასრულა და შური იძია ორი თანამებრძოლის მკვლელობის გამო. თუმცა, დაჯგუფების წარმომადგენელმა ისიც აღნიშნა, რომ პალესტინელების მიერ გამოცხადებული ცეცხლის შეწყვეტა ძალაში რჩება.

მაგრამ ამ "შურისძიების" აქტს მაშინვე მოჰყვა პოლიტიკური შედეგები. ისრაელმა შეაჩერა 76 პალესტინელი პატიმრის გათავისუფლება. არადა, ზომიერი პალესტინელები თელ-ავივისაგან ათასობით დაკავებულის გამოშვებას მოითხოვენ.

ისრაელის პრემიერმა შარონმა განაცხადა, რომ პალესტინელები მანამ ვერ ეღირსებიან საკუთარ სახელმწიფოს, სანამ ტერორისტების მოთოკვას არ შეძლებენ.

საგზაო რუკა პალესტინელებს დამოუკიდებელ სახელმწიფოს 2005 წლისათვის ჰპირდება.

სამშაბათის პირველ აფეთქება ცენტრალური ისრაელის ქალაქ როშ ჰაინში მოხდა. დაიღუპა ერთი მშვიდობიანი მოქალაქე და თავად ტერორისტი. ექვსი ადამიანი დაიჭრა. რამდენიმე წუთში ბეირუთის ტელეარხმა განაცხადა, რომ მას დაუკავშირდა უცნობი, რომელმაც ალ-აყსას წამებულთა ბრიგადების სახელით მომხდარზე პასუხისმგებლობა აიღო.

ერთი საათის შემდეგ ჰამასის 21 წლის წევრმა დასავლეთ სანაპიროზე მდებარე ებრაული დასახლება არიელის ავტობუსის გაჩერებაზე თავი აიფეთქა. მასთან ერთად, ერთი ებრაელი მოსახლე დაიღუპა.

პალესტინელმა მებრძოლებმა ცეცხლის შეწყვეტის შესახებ 29 ივნისს განაცხადეს, მას შემდეგ ისრაელში მხოლოდ ერთი ტერორისტული აქტი მოხდა, რომელმაც ქალის სიცოცხლე შეიწირა.

პალესტინის პრემიერ-მინისტრმა, აბასმა მომხდარის გამო სპარსეთის ყურის ქვეყნებში ტურნე შეწყვიტა და სამშობლოში დაბრუნდა.

მან დაგმო ტერაქტი, მაგრამ ამავე დროს გაილაშქრა პალესტინის ქალაქებში ისრაელის არმიის რეგულარული სამხედრო რეიდების წინააღმდეგაც, რომელმაც მისი თქმით, გამოიწვია კიდეც ახალი სისხლისღვრა.

"ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ იმისათვის, რომ სიმშვიდე შევინარჩუნოთ," – განუცხადა მან "როიტერს".

რადიკალური პალესტინური დაჯგუფებების (ჰამასი, ალ-აყსა, ისლამური ჯიჰადი) წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ სამშაბათის თავდასხმა ბუნებრივი რეაქციაა იმაზე, რასაც ისრაელის არმია პალესტინის ქალაქებში აკეთებს.

თავის მხრივ, ისრაელი აცხადებს, რომ იგი იმას აკეთებს, რაც წესით პალესტინის მთავრობას უნდა გაეკეთებინა – ცდილობს ტერორიზმის ალაგმვას. თელ-ავივი აცხადებს, რომ პალესტინელები მშვიდობიან პერიოდს იმისათვის იყენებენ, რომ მომავალი შეჯახებებისათვის რაც შეიძლება ბევრი იარაღი და საბრძოლო მასალა დააგროვონ.

ამაზე აბასის მომხრენი პასუხობენ, რომ რადიკალური დაჯგუფებების დაუყოვნებლივი განიარაღების მცდელობას შეიძლება სამოქალაქო ომი მოჰყვეს.

# პროფესიული ლიგა სამართლიანი მსაჯობისათვის

*საქართველოს ახლად შექმნილი ეროვნული საფეხბურთო ლიგა წელს პირველ ნაბიჯებს დგამს. საქართველოს მიმდინარე ჩემპიონატს პროფესიული ლიგა ფეხბურთის ფედერაციასთან ერთად ატარებს, რაც ერთგვარი გარდამავალი ეტაპია. მომავალ სეზონში ეროვნულ ჩემპიონატს მხოლოდ პროფესიული ლიგა ჩაატარებს. სატელევიზიო ხელშეკრულებები და სასპონსორო კონტრაქტები ჯერ კიდევ დამუშავების პროცესშია, თუმცა კომერციულ საქმიანობასთან ერთად პროფესიული ლიგა უკვე დგამს თავის პირველ სპორტულ ნაბიჯებს. პირველი გადაწყვეტილება მსაჯობის დონის ამაღლებისკენაა მიმართული. გთავაზობთ საქართველოს პროფესიული ლიგის პრეს-სამსახურის მიერ მოწოდებულ ოფიციალურ ინფორმაციას.*

**საქართველოს პროფესიულმა საფეხბურთო ლიგამ, ეროვნულ ჩემპიონატში მსაჯობის დონის ამაღლების მიზნით, გადაწყვიტა, ყოველი ტურის შემდეგ, მატჩებზე მივლინებული ინსპექტორების ნიშნების მიხედვით და უმაღლეს ლიგაში მოასპარეზე კლუბების მთავარი მწვრთნელების აზრის გათვალისწინებით, არბიტრისა და მისი ასისტენტების მსაჯობა 5-ბალიანი სისტემით შეაფასოს. სამი საუკეთესო მსაჯის და სამი საუკეთესო ასისტენტის გამოსავლენად შეიკრიბება სამკაციანი კომისია, რომელშიც შევლენ პროფესიული ლიგის პრეზიდენტი დიმიტრი რამიშვილი, სამსაჯო საინსპექტორო კომიტეტის თავმჯდომარე ანატოლი მილჩენკო და საშეჯიბრო კომიტეტის წევრი შოთა ბაქრაძე. მსაჯების შეფასების ცხრილი გამოქვეყნდება პრესაში პირველი/მეორე წრის და ექვსეულის თამაშების შემდგომ. ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ სამი საუკეთესო არბიტრი და სამი საუკეთესო ასისტენტი სოლიდური ფულადი პრემიებით დაჯილდოვდება.**

*საქართველოს პროფესიული ლიგის პრეს-სამსახური*

*კალათბურთი*

# "ბრაიანტის საქმეს" პირდაპირ ეთერში ითხოვენ

"ლოს ანჯელეს ლეიკერსისა" და, საერთოდ, ამერიკის ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ვარსკვლავის კობი ბრაიანტის შესახებ ახლახან ვიუწყებოდით. მის მიერ არასრულწლოვანი გოგონას გაუპატიურების სკანდალური ისტორია ამჯერადაც საყოველთაო დაინტერესების საგანია და ამერიკელთა შორის სავსებით კანონზომიერი ინტერესი გამოიწვია. მეტიც, ამერიკის მასმედია ბრაიანტის სასამართლოს პირდაპირი ეთერით ტრანსლირებას ითხოვს. ქვეყნის საინფორმაციო სამსახურებმა იგლის საგრაფოს (კოლორადოს შტატი) თხოვნით მიმართეს, - "ბრაიანტის საქმესთან" დაკავშირებულ სასამართლო პროცესზე ტელეკამერების რაოდენობა გაგვაზრდევინეთო. გამომცემლობა Denver Post და ტელეკომპანია NBC სასამართლო დარბაზის წინ მდებარე დერეფანში გადაღების ნებართვას ითხოვს.

საინფორმაციო სამსახურებმა საკუთარი ინტერესების განსახორციელებლად იგლის საგრაფოს სასამართლოს მოხელე ფრედერიკ განეტს მიმართეს. განეტმა კი 22 აგვისტომდე დრო ითხოვა – ყველაფრის ასაწონდასაწონად. სასამართლო მოსმენა კი 9 ოქტომბრისთვისაა დანიშნული. პირველი მოსმენისას, 7 აგვისტოს, მოგეხსენებათ, ბევრი არაფერი გარკვეულა. მაშინ ბრაიანტს 19 წლის გოგონას გაუპატიურების ბრალდება წაუყენეს და პროცესი უფრო საქმის მასალების გაცნობის ხასიათს ატარებდა.

ისე კი, წინასწარი პროგნოზით, ფრედერიკ განეტი სასამართლო პროცესზე ჟურნალისტთა დასწრების წინააღმდეგი არ უნდა იყოს. "ბრაიანტის საქმესთან" დაკავშირებული მისი განცხადება ამის საფუძველს იძლევა. მისი თქმით, პროცესზე პრესის დასწრება და საქმის დეტალურად გაშუქება სასამართლოს ობიექტური განაჩენის გამოტანაში დაეხმარება.

აღსანიშნავია, რომ განეტს ბრაიანტის ადვოკატმაც მიმართა თხოვნით, სასამართლო პროცესს ჟურნალისტების გარეშე ჩაევლო, რათა პროცესს ზედმეტად გაბუქული ფორმა არ მიეღო. თუმცა, მისი თხოვნა არ დაკმაყოფილებულა.

*ფორმულა 1*

# კანადა გრან-პრის მისტირის

ბიბა ბურასაშვილი

წელს, როდესაც ფორმულა 1-მა, თამბაქოს რეკლამის აკრძალვის გამო, ბელგიის გრან-პრი გამოტოვა, ამას დიდ აჟიოტაჟი და მითქმა-მოთქმა მოჰყვა. გაჩნდა საშიშროება, რომ ბელგიური ეტაპის ბედს სხვებიც გაიზიარებდნენ, რა თქმა უნდა, იმავე ანტითამბაქოს პროპაგანდის გამო, რომელიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს სამეფო რბოლებში ფულის მოზიდვის თვალსაზრისით. ვარაუდი გამართლდა - გრან-პრის ეტაპებს კანადის ჟილ ვილნევის სახელობის ტრასაც გამოეთიშა. თუმცა, მეტად უცნაური ვითარება შეიქმნა - როგორც ამბობენ, სამეფო რბოლებს გამოთიშული ბელგიის საფორმულე ტრასა "სპა" კანადის მიერ გამოთავისუფლებულ ადგილს დაიკავებს. კანადელები კი 2004 წლიდან შეუერთდებიან. "კანადის გრან-პრის" საორგანიზაციო კომიტეტის ხელმძღვანელის ნორმან ლეგოს თქმით, იგი ტელეფონით პირადად ელაპარაკა ეკლსტოუნს, რომელმაც აღნიშნული დაადასტურა.

არაა გამორიცხული, მომავალში ვითარება შეიცვალოს და კანადური ტურიზმის ერთ-ერთ მნიშვნელოვან შემოსავლის წყაროს ("კანადის გრან-პრი" ყოველწლიურად მონრეალის ბიუჯეტს 38 მილიონი დოლარით ამდიდრებს. რედ.) კვლავაც დაუბრუნდეს კანადის გრან-პრი. ამგვარ ვარაუდს "სამეფო რბოლების" მხცოვანი იმპრესარიო ბერნი ეკლსტოუნიც გამოთქვამს.

ამასობაში კანადის ხელისუფლებას არაფრით არ სურს, თამბაქოს რეკლამირების აკრძალვის გაუქმება. აი დასტურიც: "ვიცით, რომ კანადის გრან-პრის" აკრძალვა დიდ დარტყმას მიაყენებს მონრეალის ეკონომიკას, მაგრამ ადამიანთა ჯანმრთელობა ჩვენთვის ბევრად უფრო მნიშვნელოვანია," – "ფრანს პრესთან" საუბარში აღნიშნავს კანადის ჯანმრთელობის მინისტრი ენი მაკლენანი. მაკლენანისგან განსხვავებით, ქვეყნის ხელისუფალთა გადაწყვეტილებით ერთობ დამწუხრებულია თავად ლეგო. მისი თქმით, მხოლოდ მცირეოდენი შანსი არსებობს იმისა, რომ "კანადის გრან-პრი" გადარჩეს. გადარჩენა იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ საჯინიბოები სპეციალურად კანადის ეტაპისთვის საკუთარი ბოლიდებიდან თამბაქოს რეკლამას მოხსნიან. ამისთვის კი მოლაპარაკებებია საჭირო.

ერთი სიტყვით, ნაკლებ სავარაუდოა, რომ 2004 წელს კანადაში კვლავაც გათამაშდეს გრან-პრი. მაგრამ, უფრო რეალური ხდება, რომ მსოფლიოს ჩემპიონატებს ბელგიის "სპა" დაუბრუნდეს. საქმე ისაა, რომ ბელგიის პარლამენტის ქვედა პალატამ, 103 ხმით 32-ის წინააღმდეგ, სპორტულ არენებზე თამბაქოს რეკლამის ამკრძალავი კანონი გააუქმა. კანონი პარასკევიდან შედის ძალაში.

*TV-სპორტი*

## ოთხშაბათი. 13 აგვისტო

**НТВ + ФУТБОЛ**

13:00 თავისუფალი დარტყმა
13:15 ჩემპიონთა ლიგა. მესამე შესარჩევი წრე
15:00 განვლილი სეზონის გახსენება. იტალიის ჩემპიონატი. "უდინეზე" - "მილანი"
16:45 ჩემპიონთა ლიგის არქივი. 99/00 სეზონი. მეოთხედფინალი. "მანჩესტერ იუნაიტედი" – "რეალი"
18:30 "ფეხბურთი ა-დან წ-მდე"
19:00 თავისუფალი დარტყმა
19:15 სახვალიო ტელეპროგრამა
19:20 ჩემპიონთა ლიგის არქივი. 99/00 სეზონი. ნახევარფინალი. "ვალენსია" – "ბარსელონა"
21:00 "დარტყმა გოლისთვის"
21:15 განვლილი სეზონის გახსენება. ესპანეთის ჩემპიონატი. "ატლეტიკო" - "რეალ სოსიედადი"
22:55 განვლილი სეზონის გახსენება. იტალიის ჩემპიონატი. "ატალანტა" - "იუვენტუსი"
00:40 "ფეხბურთი ა-დან წ-მდე"
01:10 "დარტყმა გოლისთვის"

**НТВ + СПОРТ**

11:00, 17:15, 20:00 პრეს-ცენტრი
11:15, 20:15 "ოლიმპის შვილები"
11:20, 15:00 აერობიკა
11:45 ჩოგბურთი. "Masters Series" ცინცინატში. შესვენებისას (14:00) პრეს-ცენტრი
15:30 "ვარსკვლავური სამშაბათი"
16:30 როდეო. "Bull Riders"
17:30 კალათბურთი. NBA ჩემპიონატი. სეზონის საუკეთესო ტრანსლაციები
20:20 სახვალიო ტელეპროგრამა
20:30 "ბილიარდის მეუფენი"
21:00 "ათენის გზაზე"
22:00 ჩოგბურთი. "Masters Series" ცინცინატში. პირდაპირი ტრანსლაცია
23:45 სპორტული ცეკვები. საერთაშორისო ტურნირი
00:45 ჭადრაკი. სუპერტურნირი დორტმუნდში
01:15 ახალი ამბები
01:30 კარატე. მსოფლიო ჩემპიონატი

**EUROSPORT**

11:30 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი
14:00 მულტისპორტი
14:30 ჩოგბურთი. WTA ტურნირი კანადაში
17:00 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი
19:30 ფეხბურთი. იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატი ფინეთში
21:15 ველორბოლა. ვუელტა
22:00 ფეხბურთი. იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატი ფინეთში
23:45 ჩოგბურთი. WTA ტურნირი კანადაში
01:00 ახალი ამბები
01:15 რალი რეიდი. მსოფლიო თასი ესპანეთში
01:30 მულტისპორტი ოთხშაბათობით
01:45 ცხენოსნობა. ნაციის თასი
02:45 გოლფი. PGA ტურნირი აშშ-ში
03:45 აფროსნობა
04:15 ახალი ამბები

*ფეხბურთი*

# "მეორე ნაკრები საჭიროა"

## ვაჟა ჟვანიას ინიციატივას ივო შუშაკი და გივი ნოდიაც მხარს უჭერენ





*ვაჟა ჟვანიას აზრი ივო შუშაკმა და გივი ნოდიამ გაიზიარეს*

აკა ტონია

ერთი თვე გავიდა მას შემდეგ, რაც "ალტერნატიული" ეროვნული ნაკრების შექმნის იდეის შესახებ გაუწყეთ. ვაჟა ჟვანიამ ეს პროექტი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას წარუდგინა, რამაც საკმაოდ დიდი ინტერესი გამოიწვია. მეორე ეროვნული ნაკრების, ანუ "ალტერნატიული" ნაკრების შექმნის აუცილებლობას ვაჟა ჟვანია იმით ხსნის, რომ ეროვნულ გუნდსა და ახალგაზრდულ ნაკრებ გუნდებს შორის ამჟამად უდიდესი ვაკუუმი არსებობს, რომელიც აუცილებლად უნდა შეივსოს. "ეროვნული ნაკრების შემდეგ 21 წლამდე ფეხბურთელთა ნაკრები მოდის. ამ ახალგაზრდულ გუნდში მოთამაშე ფეხბურთელები პირველი ნაკრების უპირველესი კანდიდატები არიან. ასეც ხდება: საქართველოს ეროვნული ნაკრები, უპირველეს ყოვლისა, ლეგიონერებით, წამყვანი ქართული კლუბების მოთამაშეებითა და ახალგაზრდული ნაკრების ფეხბურთელებით კომპლექტდება. მაგრამ, რა ვუყოთ, თუ ფეხბურთელი ვერ მოხვდა 21 წლამდელთა ნაკრებში? რა ქნას, თუ მისი ნიჭი მოგვიანებით გამოვლინდა - ვთქვათ 22 წლის ასაკში? ახალგაზრდული ნაკრებისათვის ის უკვე "ბებერია", ეროვნული გუნდისათვის კი - გამოუცდელი. დავუშვათ, ეს 22 წლის ფეხბურთელი არც საზღვარგარეთ თამაშობს და არც წამყვან ქართულ კლუბში. ეროვნული ნაკრების მწვრთნელების თვალთახედვის არეალი არ არის შეუზღუდავი. პირველ რიგში, ისინი ლეგიონერებს, შედარებით ძლიერი კლუბების მოთამაშეებს და ახალგაზრდული ნაკრების ფეხბურთელებს აკვირდებიან. აქედან გამომდინარე, უამრავი ნიჭიერი ფეხბურთელი, პრაქტიკულად, კარგავს ეროვნულ ნაკრებში მოხვედრის შანსებს. რა ვქნათ, დავკარგოთ ეს ფეხბურთელები? საქართველომ არც ერთი ნიჭიერი ფეხბურთელის დაკარგვის უფლება არ უნდა მისცეს თავს, ჩვენთვის ეს ზედმეტი "ფუფუნებაა". ალტერნატიული ნაკრები სწორედ ამ პრობლემის მოსაგვარებლად უნდა შეიქმნას", - აცხადებს ჟვანია. მისი პროექტის თანახმად, "ალტერნატიული" ნაკრები სწორედ ქართულ კლუბებში მოთამაშე ფეხბურთელებით უნდა დაკომპლექტდეს, რომელთაც ეროვნულ ნაკრებში თამაშის შანსი არ ეძლევათ, თუმცა საამისო პოტენციალი აქვთ. "ალტერნატიული ნაკრების ხარჯზე ეროვნული გუნდის მწვრთნელებს მეტი არჩევანი გაუჩნდებათ და, რაც მთავარია, გაიზრდება კონკურენცია. აღარავინ იფიქრებს, რომ ის შეუცვლელია", - ამბობს ჟვანია.

საქართველოს საფეხბურთო სამყარო უკვე საკმაოდ კარგად გაეცნო "ალტერნატიული" ნაკრების პროექტს. მათი უმრავლესობა ჟვანიას პროექტს მხარს უჭერს და მეორე ნაკრების შექმნას საჭიროდ მიიჩნევს. გუშინწინ კი ვაჟა ჟვანია თბილისის "დინამოს" მწვრთნელს ივო შუშაკს და კლუბის ტექნიკურ დირექტორს გივი ნოდიას შეხვდა. სულ ცოტა ხნის წინათ ბატონი ივო საქართველოს ეროვნულ ნაკრებს ედგა სათავეში, ბატონი გივი ნოდია კი მისი თანაშემწე იყო. გაზეთი "24 საათი" დაინტერესდა, თუ რა აზრის არიან შუშაკი და ნოდია "ალტერნატიული" ნაკრების შექმნასთან დაკავშირებით. ბატონ გივი ნოდიას გუშინ შევეხმიანეთ და მანაც ივო შუშაკისა და საკუთარი აზრები გაგვიზიარა. როგორც ბატონმა გივი გვითხრა, მისი და შუშაკის პოზიცია, პრაქტიკულად ერთნაირია:

- მე და ბატონ ივოს მართლაც გვქონდა შეხვედრა ვაჟა ჟვანიასთან. ბატონმა ვაჟამ თავისი პროექტი გაგვაცნო. ძალიან კარგი აზრია. როგორც თავად ბატონი ვაჟა აღნიშნავს, მას არ გამოუგონია ველოსიპედი. ეროვნული ჩემპიონატის კლუბებში მოასპარეზე ფეხბურთელებით დაკომპლექტებული ნაკრები ინგლისში, გერმანიაში, ხორვატიაში და მრავალ სხვა ქვეყანაში არსებობს. ასეთი პრეცენდენტი საბჭოთა კავშირშიც იყო. ეროვნულ ნაკრებსა და ახალგაზრდულ ნაკრებს შორის, მართლაც, არსებობს დიდი ვაკუუმი, ის უნდა ამოივსოს. მეორე ნაკრები ეროვნულ ჩემპიონატში მოასპარეზე ფეხბურთელებს უკეთ წარმოაჩენს. ხდება ისე, რომ ეროვნული ნაკრების მწვრთნელთა თვალთახედვის არეში ზოგიერთი ნიჭიერი ფეხბურთელი ვერ ხვდება. მეორე ნაკრები კი ამ პრობლემის მოგვარებას შეუწყობს ხელს. ქართულ კლუბებში მოთამაშე ფეხბურთელებს დამატებითი მოტივაცია ექნებათ. აქედან გამომდინარე, ეს პროექტი თავად კლუბებსაც შეუწყობს ხელს. შუშაკმა აღნიშნა, რომ მსგავსი რამ ხორვატიაშიც არის. ბატონი ივო ჟვანიას აზრს მხარს უჭერს, ისევე როგორც - მე.

**- ვაჟა ჟვანია მიიჩნევს, რომ "ალტერნატიული" ნაკრები ფედერაციას დამატებით ტვირთად არ დააწვება და თავადვე მოიზიდავს ფინანსებს.**

- წინასწარ ძნელია იმის განჭვრეტა, მოიტანს თუ არა მეორე ნაკრები შემოსავალს, ამას დრო დაგვანახებს. თუმცა, არა მგონია, რომ ამას არსებითი მნიშვნელობა ჰქონდეს. მეორე ნაკრების შექმნა საჭიროა. აქედან გამომდინარე, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა ის ჩამოყალიბდეს. ეს გუნდი ფედერაციას ტვირთად კი არ დააწვება, არამედ საერთო საქმეს წაადგება. ეს უნდა იყოს უშუალოდ საქართველოს კლუბების ნაკრები, რომელიც ეროვნული ნაკრების მიზნებს მოემსახურება. ამ გუნდმა ეროვნული ნაკრების წარმატებებს უნდა შეუწყოს ხელი. ეს ვერ იქნება ალტერნატიული ნაკრები, რადგან ეროვნული ნაკრები ერთია. ეს უნდა იყოს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მეორე ნაკრები, სიტყვა "ალტერნატიულს" კი არც მე და არც ბატონი ივო არ ვეთანხმებით.

**- ეროვნულ ნაკრებს, კვლავინდებურად, ამხანაგური თამაშების არქონის პრობლემა უდგას. ახალი ნაკრების შექმნა, ალბათ, ამ პრობლემის მოგვარებასაც შეუწყობს ხელს.**

- სავსებით გეთანხმებით. საქართველოს კლუბების ფეხბურთელებით დაკომპლექტებულ ნაკრებთან სპარინგ-მატჩის ჩატარება ბატონ ივოსაც სურდა, როდესაც ჩვენ ეროვნულ ნაკრებს ვწვრთნიდით. ყოველი მატჩი, რომელსაც ნაკრები ატარებს, რაღაც გამოცდილების მომტანია. გასულ ზამთარს, როდესაც საქართველოს ნაკრები მოლდაველებს შეხვდა ამხანაგურ მატჩში, საშა ჩივაძეს ბევრი ამტყუნებდა, - ეს არაფრის მომცემი მატჩი იყოო. არ არის მართალი - ყოველი მატჩი სასარგებლოა, რაც უნდა სუსტ მოწინააღმდეგეს ეთამაშო. კლუბების ნაკრების სახით კი საქართველოს ეროვნულ ნაკრებს, მართლაც, კარგი პარტნიორი გამოუჩნდება. თავის მხრივ, ამ გუნდმაც უნდა ჩაატაროს შეხვედრები. კარგი იქნება, თუ წელიწადში 8-10 მატჩს მაინც ითამაშებენ.

**- ასე რომ...**

- ასე რომ, ეს მეორე ნაკრები აუცილებლად უნდა შეიქმნას. მე ვიცი, რომ ბეტონ ვაჟას შეხვედრები ჰქონდა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტთან და სფფ-ის სხვა ხელმძღვანელებთან. საქმე იქეთკენ მიდის, რომ ეს პროექტი განხორციელდება. მეც და ბატონი ივოც ამ საქმეს მივესალმებით.

# ელბერი ფერმერობას ჯერ არ აპირებს

ნინო პირველი

წლევანდელი სეზონის დაწყებამდე, როცა ყველა როი მაკაის ტრანსფერზე ლაპარაკობდა და ჯოვანი ელბერს ბაიერნის ძირითად შემადგენლობაში ადგილის დაკარგვას უწინასწარმეტყველებდა, ბრაზილიელი ფორვარდი მშვიდად აცხადებდა,- ერთ სეზონს კიდევ ვითამაშებ გერმანიაში, მერე კი ან ესპანეთის პრიმერა დივიზიონში წავალ, ანდა ბრაზილიაში დავბრუნდები და ჩემს ლონდრინაში ძროხებს მივხედავო. მაგრამ, სეზონი დაიწყო და გაირკვა, რომ 31 წლის ელბერს, ჯერჯერობით, სულაც არ სჭირდება მესაქონლეობით დაკავება და ცხოვრების დარჩენილი ნაწილის ფერმაში გატარება. ბერლინის ჰერტას მენეჯერი დიტერ ჰიონესი აცხადებს, რომ ის სიამოვნებით შეიძენდა ბაიერნის სახელგანთქმულ ფორვარდს: "თუ ჯოვანის კიდევ სურს ბუნდესლიგაში დარჩენა, ჩვენ მას აუცილებლად ავიყვანთ გუნდში," - განაცხადა დიტერ ჰინესმა "ბილდთან" საუბარში. ამის გაგონებაზე ჯოვანი ელბერს ფერმერის იდილიური ცხოვრება სულ გადაავიწყდა და ახალ ბუნდესლიგურ თავგადასავლებზე ალაპარაკდა. ბერლინი მიუნხენზე ცუდი ქალაქი ნამდვილად არ არის. ალბათ, იქაც კარგად ვიცხოვრებ, "ჰერტა" კი ისეთი გუნდია, რომელთან ერთადაც სულაც არ არის შეუძლებელი რაიმე ტიტულის მოგებაო, - ბრძანა ბრაზილიელმა. ელბერს მომავალ სეზონში მართლაც მოუწევს სხვა კლუბის ძებნა, რადგან "ბაიერნში" ის საკმაოდ ცუდად გამოიყურება. როი მაკაის მოსვლის შემდეგ ელბერს და კლაუდიო პისაროს დიდი გარჯა მოუწევთ ძირითად შემადგენლობაში ადგილის შესანარჩუნებლად. დღეისათვის პისარო უფრო უკეთეს ფორმაშია, ვიდრე ელბერი. პერუელმა უკვე ორი გოლის გატანა შეძლო, ბრაზილიელმა კი არც ერთის. ამის მიუხედავად, ელბერი მაინც არ თვლის საკუთარ თავს ჩამოწერილად და აცხადებს, რომ "ბაიერნის" ფანები და მტრები ისევ იხილავენ უწინდებურ ჯოვანი ელბერს. "ბილდ ამ მონთაგისთვის" მიცემულ ინტერვიუში ელბერი ყველანაირად ცდილობდა, დაერწმუნებინა საზოგადოება, რომ ოტმარ ჰიტცფელდი ისევ ენდობა მას და,



*ჯოვანი ელბერი "ჰერტაში" გადასვლას არ გამორიცხავს*

მაკაის ან პისაროს გამო, გუნდიდან არ გაუშვებს:

**- ჰერ ელბერ, იქნებ აგვიხსნათ, რატომ ითამაშა "ბაიერნმა" ასე კატასტროფულად "ჰანოვერთან" მატჩის პირველ ტაიმში?**

- დიახ, საშინელება იყო. პირველ ტაიმში ერთბაშად სამი გოლი გავუშვით, ასეთი რამ "ბაიერნისათვის" არ არის დამახასიათებელი. "ჰანოვერმა" კარგად გამოიყენა ჩვენი შეცდომები. მეორე ტაიმში, საბედნიეროდ, შევძელით მდგომარეობის გამოსწორება და ერთი ქულის მოპოვება. კმაყოფილი ვარ, რომ მეორე ტაიმი ასე კარგად ვითამაშეთ.

**- ოტმარ ჰიტცფელდმა განაცხადა, რომ თავდამსხმელებს დიდი ბრძოლა მოუწევდათ გუნდში ადგილის დასამკვიდრებლად. თქვენ კი ისე უფერულად ითამაშეთ, რომ კლაუდიო პისაროს თავის გამოჩენის შესანიშნავი შანსი მიეცით.**

- კლაუდიო კარგ ფორმაშია. ორ თამაშში ორი გოლი გაიტანა, მაგრამ, ამის მიუხედავად, ჯერ მაინც ნაადრევია ჩემი ჩამოწერა. ჩემი დრო აუცილებლად მოვა.

**- სამშაბათს "ბაიერნი" ამხანაგურ მატჩს მართავს "ნიურნბერგის" წინააღმდეგ, სადაც თქვენ და როი მაკაი პირველად გამოხვალთ ერთად, პისარო კი დაისვენებს. ხომ არ ნიშნავს ეს, რომ შემდეგ შაბათს "ბოხუმთანაც" ელბერ-მაკაის დუეტი ითამაშებს?**

- ვინ იცის, ეს მწვრთნელზეა დამოკიდებული. ჰანოვერში მე იმიტომ გამიჭირდა გოლის გატანა, რომ მცველები ძალიან მჭიდროდ გვეთამაშებოდნენ და საერთოდ არ მქონდა სივრცე. იქნებ მესამე მატჩში უფრო მეტი თავისუფლება მქონდეს, ვნახოთ. ჩემი აზრით, ჰიტცფელდმა უკვე იცის, ვის ათამაშებს "ბოხუმთან".

**- როგორ შეხვდით "ჰერტას" მენეჯერის, დიტერ ჰიონესის განცხადებას იმის თაობაზე, რომ მას თქვენი გადაბირება სურს?**

- მშვენიერი იქნებოდა. დიტერ ჰიონესთან მე კარგი მოგონებები მაკავშირებს. სწორედ მან მომიყვანა ბუნდესლიგაში. შვეიცარიულ "გრასჰოპერსში" ვთამაშობდი, როცა ჰიონესი ჩემით დაინტერსდა და "შტუტგარტში" წასვლა შემომთავაზა. ასე რომ, შეუძლებელი სულაც არ არის, დიტერ ჰიონესმა ჩემთვის კიდევ ერთი კლუბი რომ გამონახოს.

**- მაშინ, ალბათ, ოცნებას აისრულებთ და თქვენს მეგობარ ფრედი ბობიჩთან ერთად კიდევ ერთხელ ითამაშებთ...**

- მე და ბობიჩს არა ერთხელ გვითქვამს, რომ კიდევ გვსურს ერთად თამაში. მოხარული ვიქნები, თუ ეს "ჰერტაში" მოხდება.

**- უკვე ამ სეზონში?**

- არ ვიცი, ალბათ - უფრო მომავალ სეზონში.

**- მაგრამ, თუ ამ სეზონს სათადარიგოთა სკამზე გაატარებთ?**

- მე არ მჩვევია პრობლემებისთვის ქედის მოხრა. სეზონი ესესაა დაიწყო. დარწმუნებული ვარ, რომ მალე ჩავდგები ფორმაში და ისევ ძველებურად ვითამაშებ.

**- თქვენ არაერთხელ გითქვამთ, რომ აღარ გსურდათ ბუნდელიგის რომელიმე კლუბში გადასვლა. მაინც რით მიგიზიდათ "ჰერტამ"?**

- "ჰერტა" ძალიან კარგი გუნდია, რომელსაც თავისუფლად შეუძლია რაიმე ტიტულის მოგება. ბერლინიც მშვენიერი ქალაქია, არაფრით ჩამოუვარდება მიუნხენს. დარწმუნებული ვარ, ბერლინში თავს ძალიან კარგად ვიგრძნობ.

*ინფოთეკა*

**ფეხბურთი.** ათენის "პანათინაიკოსთან" ამხანაგური შეხვედრის დროს დაშავდა ესპანური "სევილიას" ურუგვაელი ფორვარდი დარიო სილვა. ურუგვაელი სამ კვირას გამოტოვებს. ამრიგად, დარიო სილვა გამოტოვებს ესპანეთის ჩემპიონატის სადებიუტო მატჩს მადრიდის "ატლეტიკოს" წინააღმდეგ, რომელიც 31 აგვისტოს გაიმართება. შეგახსენებთ, რომ დარიო სილვა შარშანდელ სეზონში "მალაგას" ღირსებას იცავდა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ჩინელმა ლი ტიმ 3-წლიანი კონტრაქტი გააფორმა ლივერპულის "ევერტონთან". შეგახსენებთ, რომ ლი ტი ინგლისურ კლუბში, იჯარის წესით, შარშანდელ სეზონშიც თამაშობდა. მაშინ "ევერტონმა" უარი განაცხადა, ჩინეთის 2002 წლის საუკეთესო ფეხბურთელში 2,5 მილიონი დოლარი გადაეხადა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** რუსი ნავთობმაგნატის რომან აბრამოვიჩის უკანასკნელმა განცხადებამ საგონებელში ჩააგდო ინგლისური საზოგადოება. კერძოდ, ლონდონის "ჩელსის" პატრონმა განაცხადა, რომ უახლოესი 50 წლის განმავლობაში ინგლისში დარჩება. გაჩნდა კითხვები, თუ რატომ განელდა მოულოდნელად აბრამოვიჩის საქმიანობისადმი ბრიტანეთის ხელისუფლების ინტერესი, ანუ - საიდან აქვს აბრამოვიჩს ამდენი ფული. ზოგიერთი ანალიტიკოსი აბრამოვიჩს "ფულჰემის" მფლობელ მუჰამედ ალ ფაიედს ადარებს, რომელსაც, რუსი მილიარდერის მსგავსად, სუპერკლუბის შექმნა სურდა და რამდენიმე გახმაურებული ტრანსფერიც განახორციელა, მაგრამ თანდათან ფეხბურთისადმი მისმა ინტერესმა იკლო და კლუბის ფინანსური კეთილდღეობაც კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** "ჩელსის" ახალწვეულმა ხუან სებასტიან ვერონმა განაცხადა, რომ სერ ალექს ფერგიუსონი მის მიმართ გულწრფელი არ იყო. ფეხბურთელის თქმით, ფერგიუსონი მას ორი თვის წინათაც არწმუნებდა, რომ გუნდს სჭირდებოდა, რის გამოც, ვერონმა რამდენიმე კლუბის წინადადება უარყო. "როცა მაგიდაზე ბევრი ფული გაჩნდა, ფერგიუსონმა აზრი მაშინვე შეიცვალა," – განაცხადა ვერონმა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** "მანჩესტერ იუნაიტედის" ბრაზილიელმა ლეგიონერმა კლებერსონმა ოფიციალურად მიიღო ბრიტანეთის სამუშაო ვიზა. ასე რომ, უახლოეს მომავალში ბრაზილიელს საშუალება ექნება, "მანჩესტერ იუნაიტედთან" კონტრაქტი გააფორმოს. ვარაუდობენ, რომ მანკუნიანელებს კლებერსონის გადაბირება 6 მილიონი გირვანქა სტერლინგი დაუჯდებათ.

■ ■ ■

**ჩოგბურთი.** გერმანელმა ჩოგბურთელმა ტომი ჰაასმა განაცხადა, რომ წელს კორტზე აღარ გამოვა. მიზეზი გასული წლის ოქტომბერში მიღებული ტრავმაა. ჰაასს ოპერაცია ორჯერ გაუკეთეს, მაგრამ მის გამოჯანმრთელებას საშველი არ დაადგა. "ძალიან ძნელია, როცა მუშაობა გინდა, მაგრამ ამის შესაძლებლობა არ გაქვს," – განაცხადა ჩოგბურთელმა.

■ ■ ■

**კალათბურთი.** ლამარ ოდომმა, რომელმაც ლოს-ანჯელეს "კლიპერსის" შემადგენლობაში 4 სეზონი გაატარა, წინასწარი კონტრაქტი გააფორმა "მაიამი ჰიტთან". შეთანხმება 6-წლიანია და კალათბურთელი 63 მილიონ დოლარს მიიღებს. "კლიპერსს" უფლება აქვს, ოდომს 15 დღის განმავლობაში შესთავაზოს ახალი კონტრაქტი და ამ შემთხვევაში კალათბურთელს კიდევ 6 წლით დაიტოვებს. ადრე "კლიპერსი" სწორედ ასე მოიქცა ენტონი ბრენდთან და კორი მეგეტასთან მიმართებაში. ამასთან, კლუბი უკვე დაემშვიდობა გამთამაშებელ ანდრე მილერს, რომელიც "დენვერ ნაგეთსში" გადავიდა. ოდომმა "კლიპერსის" დატოვების სურვილი ორიოდე კვირის წინ გამოთქვა და აღნიშნა, რომ კარიერის გაგრძელება პატ რაილის ხელმძღვანელობით სურს.

■ ■ ■

**კრივი.** გერმანელ სუპერმძიმე წონოსან მოკრივე ვილი ფიშერს სისხლში მარიხუანას კვალი აღმოუჩინეს. ანალიზი მას შემდეგ გაკეთდა, რაც მან 2003 წლის 14 ივნისს გერმანიის ჩემპიონატი მოიგო. "დამნაშავე არ ვარ და არ მესმის, როგორ შეიძლებოდა ტესტში დადებითი პასუხი ამოსულიყო," – ამბობს მოკრივე. არადა, სამი წლის წინათ ფიშერი ფურასემიდის მოხმარებაში ამხილეს, მინიმუმ ორჯერ კი (1999 და 2000 წლებში) - მარიხუანას მოხმარებაში.

■ ■ ■

**ფორმულა 1.** ლეგენდარულმა ნიკი ლაუდამ BBC-ისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ ხუან პაბლო მონტოიას ყველა პირობა აქვს იმისთვის, რომ უკვე წლევანდელ სეზონში გახდეს მსოფლიო ჩემპიონი. "ამისთვის მონტოიას სჭირდება, დარჩენილ რბოლებში მიხაელ შუმახერზე ორ-ორი ქულით მეტი აიღოს. ეს სავსებით რეალურია. თუ "უილიამსის" პილოტები ამჟამინდელ ფორმას სეზონის ბოლომდე შეინარჩუნებენ, "ფერარის" ძალიან გაუჭირდება მათთან კონკურენცია," – ამბობს ლაუდა.

■ ■ ■

**ჰოკეი.** მოსკოვში ცსკა-ს ყინულის დარბაზში გაიმართა ამხანაგური მატჩი. ერთმანეთს შეხვდნენ იარომირ იაგრის ნაკრები და რუსული ჰოკეის ვეტერანთა გუნდი. მატჩი, რომელიც გადაჭედილი ტრიბუნების თანხლებით წარიმართა, ფრედ – 7:7 დასრულდა. მატჩის შემდეგ იაგრმა განაცხადა, რომ მისთვის უაღრესად საინტერესო იყო იმ ჰოკეისტების წინააღმდეგ თამაში, რომლებიც ერთ დროს მისი კერპები იყვნენ.

# "ოქროს ბედნიერების" ისტორია






*ეს ფოტოები "მაგნუმის" ფოტოგრაფმა ფილიპ ჯოუნს გრიფიტსმა ვიეტნამის ომის დროს გადაიღო*

მელორ სტურუა,
*საქ. კორ. აშშ-ში*

შეიძლება დამცინოთ კიდეც, დასცინოთ ჩემს ინტელიგენტურ სენტიმენტალობას, მაგრამ მაინც გეტყვით: როდესაც დავინახე ეს ქალი, თვალცრემლიანი რომ იდგა ვაშინგტონში ვიეტნამში დაღუპული ამერიკელი ჯარისკაცების მემორიალთან, უეცრად ქართული ხალხური ბალადა გამახსენდა, ბალადა ვეფხისა და მოყმისა. ეს ბალადა იყო, ტიფლისში ცოტა ხნით ჩამოსული პუშკინი რომ აღფრთოვანებაში მოიყვანა.

ბედმა ერთ ბილიკზე შეახვედრა ვეფხი და მოყმე, ისინი ხელჩართულ ბრძოლაში ჩაებნენ, და ამ ბრძოლაში ორივე დაიღუპა. მოყმის დედამ ვეფხთან შერკინებული შვილის უსულო ცხედარი იპოვა. დაიტირა შვილი. "ერთი შვილ მაინც გავზარდე ვეფხებთან მეომარიაო," - ტირილის დროს სიამაყით გაიფიქრა დედამ. ერთი შეხედვით ისე ჩანს, თითქოს ამაშია ბალადის აზრი და კულმინაცია, მაგრამ - არა. ბალადა ამ ნოტაზე რომ დასრულებულიყო, ჩვენ გვექნებოდა კეთილშობილური, მაგრამ სწორხაზოვანი მორალის მატარებელი ჩვეულებრივი სიუჟეტი. ასეთი სიუჟეტი ალბათ არც კი შეათრთოლებდა პუშკინის სულს. მაგრამ ბალადა, რომელზეც ჩვენ ვლაპარაკობთ, გენიალურია. შვილის გმირობით ამაყი და შვილის მოტირალი დედა უცებ ჩაფიქრდება იმაზე, რომ დაღუპულ ვეფხსაც ჰყავს დედა, გადაწყვეტს ვეფხის დედა მოძებნოს, რათა ერთად დაიტირონ თავიანთი შვილები.

ქალს, რომელიც მემორიალთან იდგა და რომელმაც ეს ბალადა გამახსენა, ფამ ტი კიმ პაკი ჰქვია. ის მთელმა მსოფლიომ გაიცნო 1972 წლის ივნისში "ასოშიეთიდ პრესის" კორესპონდენტის - ნიკ იუტის ფოტოთი. ნიკ იუტმა ამ ფოტოში პულიტცერის პრემია მიიღო. ვისაც კი ერთხელ მაინც უნახავს ეს ფოტო, ის არასოდეს დაავიწყდება; არ დაავიწყდება ცხრა წლის გოგონას შიშველი სხეული, რომლის სახეც არაადამიანური ტანჯვითაა დამახინჯებული. ნახევრად დამწვარი გოგონა ხელგაშვერილი მირბის კამერის ობიექტივისაკენ.

სამხრეთის ცენტრალურ პლატოზე სასტიკი ბრძოლები მიმდინარეობდა ჰანოისა და საიგონის არმიებს შორის. ამერიკელი მეთაურების ბრძანებით, სამხრეთვიეტნამურმა თვითმფრინავებმა ჩამოაგდეს ნაპალმი პაგოდაზე, სადაც სოფლის მოსახლეობა აფარებდა თავს. ფამ ტის ორი ძმა დგილზე დაიღუპა. გოგონამ და მისმა მესამე ძმამ ძლიერი დამწვრობა მიიღეს. ფოტოკორესპონდენტმა, რომელმაც ფირზე აღბეჭდა ფამ ტის აგონია, გოგონა სამხრეთ ვიეტნამის ჰოსპიტალში მიიყვანა. გოგონა წელიწადზე მეტხანს იწვა საავადმყოფოში. ექიმებმა ძლივს გადაარჩინეს, მესამე ხარისხის დამწვრობა ჰქონდა. ფამ ტის კანის საფარის ნახევარზე მეტი დამწვარი იყო. ყოველი დღე გოგონასთვის დიდი ტანჯვა იყო, გონებას კარგავდა, როცა მას ეხებოდნენ, ტანსაცმელს აცმევდნენ და ჭრილობას ბანდნენ. ამერიკელი პლასტიკური ქირურგები რამდენიმე თვის განმავლობაში ჯადოქრებივით მუშაობდნენ, და ბოლოს სასწაულებრივად მოახერხეს მისი კანისა და სხეულის აღდგენა.

მერე მსოფლიომ თითქოს დაივიწყა ფამ ტის ამბავი. ამერიკელები ვიეტნამიდან წავიდნენ. ჩრდილოეთმა გაიმარჯვა სამხრეთზე. სოციალიზმმა გადათელა მისი მინდვრები და ქვეყანას აღარ სცხელოდა პატარა გოგონასათვის, რომელიც ომის დროს დაიწვა. ფამ ტი ისევ მედიამ გაიხსენა. 1984 წელს ჰოლანდიელმა დოკუმენტალისტებმა რომლებიც იღებდნენ ფილმს ვიეტნამის შესახებ, გოგონა იპოვეს. იმავდროულად ფამ ტი "აღმოაჩინა" ვიეტნამის ხელისუფლებამაც, რომელმაც ცოტა დაგვიანებით შეაფასა მისი "პროპაგანდისტული პოტენციალი". ფამ ტი დაუსრულებელი ინტერვიუების, ფოტოკამერების, მრავალრიცხოვანი პრეზენტაციებისა და "ღონისძიებების" ობიექტი გახდა. ეს იყო დაუსრულებელი ფსიქოლოგიური წამება. გოგონას აიძულებდნენ ხელახლა განეცადა 1972 წლის ივნისის ტრაგედია.

როდესაც ფამ ტის კუბაში წასვლის შესაძლებლობა მიეცა, ამ შანსს ის მაშინვე ჩაებღაუჭა, გადაწყვიტა გაქცეოდა "ღონისძიებების" წამებას. მას ჯანმრთელობამ უმტყუნა; ასთმა და დიაბეტი აწუხებდა, რამაც მის მხედველობაზე ძალიან იმოქმედა. იძულებული გახდა სწავლა შეეწყვიტა, ვიეტნამში მედიცინას ეუფლებოდა, კუბაში კი - ფარმაკოლოგიას. თუმცა თავისუფლების კუნძულზე მან სიყვარული იპოვა, ცოლად გაჰყვა ვიეტნამელ სტუდენტს - ბუი ხიუ ტოანს. მაგრამ აქაც "ღონისძიებებში" გაება. თაფლობის თვე ახალგაზრდებს მსოფლიო სოციალიზმის დედაქალაქში - მოსკოვში უნდა გაეტარებინათ, სადაც ფამ ტის ხელისგულზე ატარებდნენ როგორც ვიეტნამელი ხალხის გმირსა და ამერიკული იმპერიალიზმის მსხვერპლს. ამ დიდი აღტაცებისა და საერთო მღელვარების ფონზე არავინ ფიქრობდა, რომ ეს სრულებითაც არ იყო თაფლობის თვის გატარების საუკეთესო საშუალება, ადამიანები ხომ არც მარიონეტები არიან და არც პლაკატები.

ახალგაზრდები მოსკოვიდან ჰავანაში ბრუნდებობდნენ "აეროფლოტის" რეისით. როდესაც თვითმფრინავი კანადის აეროპორტში დაეშვა, ფამ ტიმ და ბუი ხიუმ ჩასვლა გადაწყვიტეს, არა მხოლოდ თვითფმრინავიდან, არამედ ამ ცხოვრებიდან. "არავითარი პერსპექტივა არ მქონდა, მაგრამ მაინც ბედნიერად ვგრძნობდი თავს, მე ხომ თავისუფლება მოვიპოვე. ჩვენ არც ტანსაცმელი გვქონდა, არც ფული, არც ოჯახი, არც მეგობრები, არც არაფერი ვიცოდით. უარაფროდ დავრჩით, მაგრამ ღმერთმა გვიშველა. ღმერთი დაეხმარა ადამიანებს იმაში, რომ ისინი ჩვენ დაგვეხმარებოდნენ," - იხსენებს ფამ ტი.

მას არაფერი ჯადოსნური არ დამართნია. კონკია მეფის ასულად არ გადაქცეულა, არც მისი ქმარი გამხდარა მეფისწული. თავიდან კვაკერები მფარველობდნენ; მერე, როდესაც პოლიტიკური თავშესაფარი მოიპოვეს, მათ სოციალური დახმარება დაენიშნათ. მხოლოდ დიდი ხნის შემდეგ იშოვა სამუშაო ფამ ტის ქმარმა. პროფესიით პროგრამისტმა მოწყალების ძმად დაიწყო მუშაობა და ინვალიდებს უვლიდა. ცოლ-ქმარი ახლა ერთოთახიან ბინაში ცხოვრობს, ტორონტოს აზიურ კვარტალში. ფამ ტის ოვალურ სახეს ახლა აღარაფერი ეტყობა, მაგრამ მისი სხეული - ხელები, ზურგი, მკერდი საშინელი ჭრილობებითაა დაფარული, ქალის სხეული რელიეფურ რუკას წააგავს. ფამ ტის ისევ აწუხებს ასთმა და დიაბეტი, თავის ტკივილები... მის ორგანიზმში აღარაა რკინა, აღარც ცხიმოვანი და საოფლე ჯირკვლები ფუნქციონირებს. "როცა ამინდი იცვლება, ისეთი გრძნობა მეუფლება, თითქოს ნაწილებად მფლეთენ. ვცდილობ დავიცხრო ტკივილი, რაღაც სხვაზე ვიფიქრო, ჩემს ქმარს ვთხოვ ხოლმე, რამე სასაცილო ამბავი მიამბოს, დამისვას კითხვები, რომ მე ვუპასუხო და სხვა რამეზე გადავერთო, რათა როგორმე დავივიწყო ეს ტკივილი. ასე ვცხოვრობ დღიდან დღემდე და ვცდილობ სევდიანი ფიქრები გავიქარწყლო."

ფამ ტი იგონებს ბავშვობას, როგორ ტიროდა, რადგან არ შეეძლო თანატოლების მსგავსად მოკლესახელოებიანი მაისურები ჩაეცვა. მაგრამ ახლა ფიქრობს, რომ ღმერთი სწყალობს, ის არის დედა და მეუღლე, ჰყავს ორი წლის ტომასი და ამაყობს იმით, რომ თხუთმეტამდე ითვლის სამ ენაზე - ვიეტნამურად, ინგლისურად და ესპანურად. ფამ ტი ბაპტისტი გახდა, სწავლობს ინგლისურს და ოცნებობს რელიგიურ კოლეჯში შესვლაზე. ყოველთვიურად უგზავნის ფულს თავის ნათესავებს ვიეტნამში, თუმცა თავად დიდ ფუფუნებაში არ ცხოვრობს. "ვცდილობ ვიცხოვრო ნორმალური ცხოვრებით, უჟმური ხასიათი არ მაქვს, არც გავბოროტებულვარ. სახლში კი სულ ვიცინი, ვიცინი და ვიცინი," - ამბობს ფამ ტი.

მაგრამ გოგონას, რომელიც პულიტცერის პრემიის ლაურეატი რეპორტიორის ფოტოთი გახდა ცნობილი, ნორმალურად ცხოვრება არ შეუძლია. მას არ შეუძლია, სულ იცინოს, იცინოს და იცინოს. ის ხშირად ტირის, ტირის და ტირის.

სწორედ მტირალი იდგა ფამ ტი კიმ პაკი ვაშინგტონში 11 ნოემბერს ხსენების დღეს, ვეტერანების დღეს. როგორ მოხვდა შეერთებულ შტატებში ტორონტოს აზიური კვარტლის მკვიდრი? ისეთი რა სასწაული მოხდა, რომ ვიეტნამის ომის მსხვერპლი ყვავილების თაიგულს დებდა თავისი ჯალათების მემორიალთან სულისგამყინავი სამგლოვიარო მელოდიის ფონზე?

სამყაროში სასწაული არ ხდება, სასწაულები მხოლოდ ბიბლიასა და მასმედიაში ხდება. და მესამედაც ფამ ტი დავიწყებიდან მასმედიამ გამოიყვანა. ვაშინგტონში ის ცნობილ კინოდოკუმენტალისტთან შელი სეიველთან ერთად ჩავიდა, რომელიც მასზე ერთსაათიან ფილმს იღებს. სეიველის ინციატივით ის ვიეტნამის ვეტერანების ჯგუფის სახელით მიიწვიეს, რათა "ხსენების დღე შერიგებისა და შეწყალების დღედ ექციათ".

ფამ ტი დათანხმდა. "გადავწყვიტე ჩემი მოგონებები და განცდები გამეზიარებინა ამ ადამიანებისათვის, რათა მათი სინდისი დამემშვიდებინა, რათა მათ თავი უკეთ ეგრძნოთ, - თქვა მან და ვაშინგტონში გამგზავრებაზე დათანხმდა. "1972 წლის ივნისში გადაღებული ჩემი ფოტოსურათის მიღმა ათასობით ადამიანია, რომლებმაც უფრო ბევრი რამ გადაიტანეს. ზოგი დასახიჩრდა, ზოგი დაიღუპა. ათასობით ადამიანის სიცოცხლე წაიღო ომმა და არავის გადაუღია მათი ფოტოები," - ამბობს ფამ ტი. ის ვიეტნამელ ჭაბუკებსაც გულისხმობდა და ამერიკელ ვეფხვებსაც.

როდესაც ფამ ტი მემორიალთან მიიყვანეს, ის შიშმა მოიცვა. უამრავი ადამიანი, რომელთაც ამერიკული სამხედრო ფორმები ეცვათ, მის გონებაში ომის სურათები ამოტივტივდა. "შევშინდი. გამახსენდა ჩემი ბავშვობის კოშმარი. მაგრამ მერე თავი ხელში ავიყვანე; ფამ ტი - ვეუბნებოდი ჩემს თავს, ეს სამხედრო ფორმაა, ეს ნორმალურია, გამაგრდი და ამდენს ნუ ფიქრობ."

ის მიკროფონთან მიიყვანეს. რამდენიმე ათასი ადამიანი, რომელთა უმრავლესობა სამხედრო ფორმაში იყო გამოწყობილი, ფეხზე წამოდგა და დიდი ოვაციით შეეგება...

# კულტურული ტურიზმის პერსპექტივები საქართველოში და ეკომუზეუმი



*ჭულეს მონასტერი*

ნესტან რაზმაძე

სიტყვა - ეკომუზეუმი საფრანგეთში, XX საუკუნის 60-იან წლებში გაჩნდა, იქვე შეისხა ხორცი და მთელ მსოფლიოში გავრცელდა. მისი "მამა" - ჟორჟ ანრი რივიერი ამბობდა: "ეკომუზეუმი არის სარკე, რომელშიც ადამიანებს შეეძლებათ დაინახონ და შეიცნონ თავისი თავი, ამასთან მიიღონ ცოდნა იმ ადგილის შესახებ, სადაც ცხოვრობენ, მათ შესახებ, რომლებიც მანამდე ცხოვრობდნენ ამ ადგილზე... ჩამოსულებს ასევე შეეძლებათ ჩაიხედონ ამ სარკეში, უკეთ გაეცნონ ადგილობრივი მოსახლეობის შრომას, მის ტრადიციებს და განიმსჭვალონ პატივისცემით მის მიმართ".

ეს სარკე ასახავს ყველაფერს - საზოგადოებას და ტერიტორიას, დროს და სივრცეს, საგნებს და ხელობას, კულტურას დინამიკაში - მის წარსულს, აწმყოს და მომავალს.

როგორ და რა კავშირშია ეს ტურიზმთან?

ვიდრე ამას ვიტყოდეთ - სურთ კი ჩვენს ქვეყანაში ადამიანებს თავისი თავის დანახვა "სარკეში", სურთ თუ არა შექმნან "სარკე" - არა "მრუდე სარკე" - დღევანდელი ატრაქციონი, არამედ ისეთი, სადაც გამოჩნდება ხალხის თვალით დანახული ხალხისავე ცხოვრება, რომელიც აუცილებლად მართალი იქნება.

და თუ იმასაც დავამატებთ, რომ უახლოესი ისტორიის თვალსაწიერზე ხალხის თვითშეგნება ასეთი მაღალი არასოდეს ყოფილა, შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ ეკომუზეუმის პრინციპებისა და სოციალური დაკვეთის დამთხვევასთან გვაქვს საქმე. სწორედ ხალხის მონაწილეობა არის ეკომუზეუმის სხვა მუზეუმებისაგან განსხვავების საფუძველი, რადგან ის ყოველთვის ადგილობრივი მოსახლეობის სურვილით და მონაწილეობით იქმნება და ეს პროცესი ამ მოსახლეობის თვითშეცნობის პროცესია.

თუ ჩვეულებრივად, სიტყვა "მუზეუმის" თქმის დროს წარმოგვიდგება "შენობა, პლუს კოლექცია, პლუს პუბლიკა", ეკომუზეუმის შემთხვევაში შენობის მაგივრად გვექნება მთელი ტერიტორია, რომლის საზღვრებში ცხოვრობს თემი, ამ ტერიტორიის ყოველი ნაწილი. კოლექცია ჩამოყალიბდება ყველაფერი იმისაგან, რასაც შეიცავს ეს ტერიტორია, და რაც ეკუთვნის მის მაცხოვრებლებს, უძრავია ეს ქონება თუ მოძრავი, მატერიალურია თუ არამატერიალური, ენაა ეს თუ ქალამანი, წისქვილი, სათამაშო, სიმღერა თუ სოფლის სახლი. ეს არის ცოცხალი კულტურული მემკვიდრეობა, რომელიც მუდმივ ცვალებადობას განიცდის და უწყვეტი შემოქმედების ნაყოფია, რომელიც ეკუთვნის ცალკეულ ადამიანებს და ოჯახებს, რომლის დემონსტრაცია ხდება მისთვის ბუნებრივ გარემოში, ანუ ყველაფერი მოქმედებაშია, სასოფლო წარმოების, ხელოსნობის, მრეწველობის, ცხოვრების პორცესებშია ჩართული. პუბლიკა არის ამავე ტერიტორიის ყველა მაცხოვრებელი, რომლებსაც შეეძლება შეუერთდნენ თემის სტუმრები, და ეს სტუმრები-ტურისტები ყოველგვარი ბარიერებისა და ვიტრინების გარეშე, როგორც თვით თემის წევრები, იცხოვრებენ მისი ცხოვრებით და ამ გზით ეზიარებიან ერის უმდიდრესი კულტურის ყველა მხარეს, რაც კულტურათა შორის დიალოგის თანამედროვე ანთროპოლოგიური მიდგომის საფუძველს წარმოადგენს.

ხოლო სადაც ტურიზმია, იქ ეკონომიკური წინსვლაც მოდის. სწორედ საქართველოს ისტორიით დატვირთული და თანამედროვე აქტივობით გამორჩეული (მილსადენები) მხარის - სამცხე-ჯავახეთის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ერთ-ერთ გზად მივიჩნიეთ ეკომუზეუმის ქართულ სინამდვილეზე მორგებული მოდელის დანერგვა. ეს მოდელი მუშავდება დიუმას ქართულ-ფრანგული კულტურის ცენტრის თანადგომით და საქართველოში სოროსის ფონდის დაფინანსებით, სადაც მხარდაჭერილი იქნა "მესხეთის სოციალური განვითარების ცენტრის" მიერ წარდგენილი პროექტი "სპეციალიზირებული ტურიზმის პერსპექტივები სამცხე-ჯავახეთში: ეკომუზეუმი" (პროექტის ავტორი ნესტან რაზმაძე, პარტნიორი ორგანიზაცია - საზოგადოებრივი პოლიტიკის ინსტიტუტი), პროექტი, რომელიც სრულიად ეხმიანება სახელმწიფოს განვითარების ახლახან გაცხადებულ პრიორიტეტულ მიმართულებას, რომლის შედეგად ჩამოყალიბებული წინადადებები უნდა აისახოს კანონმდებლობაში და გახდეს საქართველოში პირველი ეკომუზეუმის განხორციელების წინაპირობა.

# უცხოელი

## ღვინის ქარხანაში ახალი სამყარო იქმნება

ანა კორძაია
-სამადაშვილი

*უცხოელი* (*Foreigner*) *- ფიზიკური პირი უცხო ქვეყნიდან; ის, ვისიც არაფერი გესმის; ხელოვნებისა და ხელოვანის ადგილი საზოგადოებაში, სხვად წოდებული.*

ვინ არის უცხოელი? საქართველოში ეს ქერა, ალბათ ფოტოაპარატიანი, ჩვენზე ნაკლები პრობლემების მქონე და ზოგჯერ უმისამართოდ გაღიმებული ადამიანია. ევროპელისთვის "უცხოელი" შავი, საეჭვო პირია, რომელსაც მის მიწაზე დასახლება უნდა და რომელიც მის სამუშაო ადგილს უმიზნებს. საერთოდ, ძნელი სათქმელია, რა პრინციპით ვაღიარებთ ვინმეს უცხოელად. ერთხელ თურქეთში ამიხსნეს, ქართველს არ ჰგავხარ, ტურისტს გავხარო. მე არ ვგავარ ქართველს? ვერ გავიგე, მაგრამ რა გაეწყობა.

ცოტა ხნის წინათ კი ღვინის პირველ ქარხანაში პროექტ "უცხოელის" მონაწილეთა გასაცნობად მისულს ახალგაზრდა წარმიდგინეს, ავნერ ეიტანი, და პირველი, რაც მან მომახსენა, იყო "მე უცხოელი ვარ არა". ყველას გაეცინა, ეიტანი "კლასიკური" უცხოელია: წარმოშობით ისრაელიდან, ამსტერდამის რიტფილდის აკადემიის კურსდამთავრებული თბილისში უმალვე მოგხვდებოდათ თვალში. როგორც მიამბეს, უხეში ხის მასალისგან შესრულებული მოქანავე კონსტრუქციები მის ხელში გავლის შემდეგ პოეტური და რბილი ხდებაო. ძალიან გულდასაწყვეტია, რომ მას მუშაობის დროს მარცხი მოუვიდა – ხელი დაიზიანა და ნაადრევად მოუწია ჩვენი ქალაქიდან წასვლა, და მისი მშვენიერი შადრევანის ნახვას ველარ შევძლებთ.



*მათი შრომის ნაყოფს 1 სექტემბერს იხილავთ*

გოგიტა ბახაიძის ფოტო

პროექტის შესახებ მოგახსენებთ. მისი ავტორი სოფო ტაბატაძე გახლავთ, და იმისთვის, რომ მის ჩანაფიქრს უკეთ მივხვდეთ, მის ბიოგრაფიას უნდა გადავხედოთ. დღეს მას უკვე უჭირს იმის თქმა, თუ სადაა მისი სახლი. გარწმუნებთ, ამაში ტრაგიკული არაფერია, პირიქით: ორი ქვეყანა, რომლებშიც ის ცხოვრობს – საქართველო და ჰოლანდია – სწორედ თავისი განსხვავებულობის გამო საუკეთესოდ ავსებს ერთმანეთს.

სოფო – სახელითაც მიხვდებოდით – ქართველია, ოც წლამდე საქართველოში ცხოვრობდა, ერთი ხანი თბილისის სამხატვრო აკადემიის სტუდენტი იყო და შემდეგ ამსტერდამში, რიტფილდის აკადემიაში განაგრძო სწავლა. მისი თქმით, ამ ორ სასწავლებელში სრულიად განსხვავებული საგანმანათლებლო სისტემები მოქმედებს: თუკი თბილისის აკადემიაში ჯერ ოსტატობის დახვეწას ითხოვენ და შემოქმედებითი მუშაობის დაწყება მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება, რიტფილდის აკადემიაში მთავარია, სტუდენტმა ჯერ "თავი იპოვნოს", გამომსახველი საშუალებები უკვე მეორეხარისხოვანი საქმეა.

პროექტ "უცხოელში" ჰოლანდიაში და საქართველოში მცხოვრები ხელოვანები იღებენ მონაწილეობას. სექტემბერში მათი ორთვიანი მუშაობა დასრულდება, რის შემდეგაც თბილისელი დამთვალიერებელი ამ ერთობლივი შრომის შედეგს იხილავს – გამოფენას, რომელიც შემდგომ, Felix Meritis და Max Wagener Stichting-ის მიერ ორგანიზებულ საქართველოს დღეებზე, ჰოლანდიელთა სამსჯავროს წინაშეც იქნება წარდგენილი.

ეს პროექტი ორ განსხვავებულ ჯგუფს – თბილისელებს და "უცხოელებს" – ჩვენს ქალაქზე, ხალხზე და ერთმანეთზე, ერთად მუშაობაზე დაკვირვებისა და აზრის გამოთქმის საშუალებას მისცემს. მისი "სულისჩამდგმელის", სოფო ტაბატაძის აზრით, ის ორივე ჯგუფისთვის სასარგებლო იქნება – სრულიად განსხვავებულ ხალხთან და, შესაბამისად, მსოფლმხედველობასთან გვაქვს საქმე, ამიტომ უამრავ სიურპრიზს უნდა ველოდოთ. ცხადია, ექვსი უცხოელი იმ დეტალებსაც შენიშნავს და გააცოცხლებს, რომლებსაც ჩვენი თვალი ველარ ამჩნევს.

ეს ყველაფერი ღია სივრცეში ხორციელდება: ივლის-აგვისტოში სამუშაო გარემოდ ახალგაზრდა ხელოვანებმა ღვინის ქარხანა გამოიყენეს, ვერაზე მდგომი ისტორიული ნაგებობა. სასაცილოა, მაგრამ ამ ისტორიულ შენობაში მოხვედრას "უცხოელის" არსებობს ვუმადლი: მეზობლობის მიუხედავად, ეზოშიც კი არასოდეს ვყოფილვარ, არადა, ულამაზესი ბაღი ჰქონია და ისიც, რასაც ხელოვანები აკეთებენ, უჩვეულო და ძალიან მიმზიდველია. თუკი თანამედროვე ხელოვნების ტრფიალი არ ბრძანდებით, იქნებ იმან მაინც მოგხიბლოთ, რომ პირველ ღვინის ქარხანას, რომლის სარდაფებშიც, ერთი-ორი თვითმხილველის თქმით, "სამოთხეები ტრიალებს", თორმეტმა, ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებულმა ადამიანმა ახალი სიცოცხლე უბოძა – წარსული დიდება ხომ თავის გრანდიოზულობის შესანარჩუნებლად ყოველთვის ახალ ნაკადს, ახალ იდეებს მოითხოვს.

აი, ისინიც: რიტფილდის აკადემიის ქართველი სტუდენტები - სოფიო ტაბატაძე, თამუნა ჭაბაშვილი და სოფო ბაზლაძე; თბილისის ხელოვნების აკადემიის კურსდამთავრებულნი – ანა რიაბოშენკო, ლადო დარახველიძე და ზურა მაჭარაშვილი; "ნამდვილი" ჰოლანდილელები, რომლებმაც განათლება რიტფილდის აკადემიაში მიიღეს – კირსტენ ლეენაარსი, ნანა ვან ჰეესტი და ლოტტე გეევენი; და იმავე რიტფილდის აკადემიიდან გამოსული სამი "ძალიან უცხოელი" – ჩინელი ხიანგ იან იანგი, ამერიკელი ადრიელ ვან დრიმმელენი და ისრაელიდან ჩასული ავნერ ეიტანი. 1-დან 10 სექტემბრამდე თბილისის ღვინის ქარხანა კარს გაუღებს დამთვალიერებელს, და ყველა მსურველი იხილავს საკუთარ ქალაქს და ვინ იცის, იქნებ საკუთარ თავსაც? – უცხო(ელი)ს თვალით.

# დაგვცინიან?

მოგეხსენებათ, მოდა, უპირველეს ყოვლისა, ბიზნესია. იქნებ ესეც გახდა ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ კონსერვატულად განწყობილი მოსახლეობა მიიჩნევს -მოდელიორები ქალებს დასცინიან. ძლიერი სქესის წარმომადგენლების "აბუჩად აგდება" იმდენად იოლი არაა, რამდენადაც ქალებისა: ჩანს, მაინც უფრო ქარაფშუტები არიან და უმალ აჰყვებიან ხოლმე ათასგვარ გაუგებარ დინებას.

არადა, ძნელი სათქმელია, რატომაა, მაგალითად, 2003 წლის ზაფხულის მოდა "დაცინვა". ჭრელია, ცისარტყელას ყველა ფერს შეხვდებით, მაგრამ, სამაგიეროდ, მხიარულია – სილუეტი შეიძლება მოკრძალებულიც იყოს, რომანტიულიც და გამომწვევიც, და მაინც ფერადოვანია: ლიმონისფერი, ჟოლოსფერი. ფერების შეხამების კანონები აღარ მოქმედებს. ასე, ჯონ გალიანომ დიორის სახლის მოდელები აკვარელის პალიტრებად აქცია, მაკკუინის წყალობით კი გრძელი სალამოს კაბა ნამდვილ ცისარტყელას მოგვაგონებს. ბოროტი კომენტარი: "ქალები თუთიყუშებს დაემსგავსნენ". მერე, რა? ყვავი სჯობია?

80-იანი წლების საყვარელი ფერები კვლავ მოდაშია: სალათისფერი, ვარდისფერი, ნარინჯისფერი. ან და ფილიპ ვანდევორსტებმა წითელსა და ვარდისფერს მიმართეს, უნგაროს სახლის ჩვენებაზე იისფერისა და წითლის შეხამება მაყურებლებმა მოდელების ვნებიან ტუჩებზეც იხილეს. სტანისლასია კლაინმა ჭრელი კაბები არ იკმარა და სტელა კადანტისთვის წინდებიც ყვავილიანი შექმნა. ფერადოვან კაბებს ეგზოტიკური აქსესუარებიც ავსებს – ბრჭყვიალა ბისერის გირლიანდები.

განა ეს დაცინვაა?

## TV პროგრამა
13 აგვისტო

### რუსთავი - 2

**07.00** დილა მშვიდობისა **08.25** სერიალი "კომპიუტერული ომები" **09.40** სერიალი "ასულ ტეკილა" **10.30** დოკ. ფილმი "მეოცე საუკუნე" **11.00** სერიალი "კომისარი მონტალბანო" **12.00, 15.00** კურიერი **12.15** სერიალი "მოურჯულებელი ჰილდა" **13.30** მხ. ფილმი **15.20** მხ. ფილმი **17.30** სერიალი "ასულ ტეკილა" **18.00, 21.00, 02.00** კურიერი **18.20** სერიალი "კომპიუტერული ომები" **18.50** სერიალი "მაშველები" **19.40** სერიალი "მოურჯულებელი ჰილდა" **22.00** სერიალი "კომისარი მონტალბანო" **22.50** ღამის კურიერი **00.10** სერიალი "სექსი დიდ ქალაქში" **00.40** მხ.ფილმი "გამიწიე სამსახური". მთ. რ-ში: ორნელა მუტი.

### პირველი არხი

**07.30** ალიონი **09.45** მხ. ფილმი "არამზადას სიკვდილი" **11.45** დოკ.სერიალი "ავიაშოუ" **12.00, 15.00, 20.00** მოამბე **12.15** ტელესერიალი "ეშმაკუნა" **13.00** "სტუმრად მსახიობთა სტუდიაში" (ლ. ბეკოლი) **14.00** სერიალი "ძვირფასი მარიანა" **15.15** მხ. ფილმი "სტივის ხერხები" **16.35** ტელესერიალი "ძილის წინ" **16.50** დოკ. სერიალი "მოგზაურობა დედამიწის გარშემო" **17.20** 50-50 **18.00** "ვესტნიკი" **18.20** დოკ. სერიალი "ბუნების სამყაროში" **18.35** ბასტი-ბუბუ **18.55** კონცერტი - ანსამბლი "75" **19.20** ტელეთამაში "იმღერე რამე" **21.05** ტელესერიალი "ეშმაკუნა" **21.55** "მათი შვილები"- ლ. ასათიანი **22.35** ტელესერიალი "ძილის წინ" **23.00** "რა ხდება?!" **00.00** მხ. ფილმი "ფრენის სიჩქარე".

### პირველი სტერეო

**08.00** მუსიკა **09.00** ტოროლა **12.00** ფილმი **14.00** მუსიკა **16.00** მულტფილმი "ჯუჯა ცხვირა" **18.00, 19.15** ქართული მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **20.50** ათი ლექსი **21.15** პროფათეული **22.35** პაპარაცი **23.00** სოლო **00.00** "ბრავო" "ნაპოლეონი" 1-ლი ნ. მთ.რ-ში ჟერარ დეპარდიე. **03.00** პაუზის გარეშე.

### მეორე არხი

**19.00, 22.00** "მოამბე" მეორე არხზე **19.10** მულტფილმი **19.30** მხ. ფილმი "ვერცხლისფერი ულაყი" **21.00** ენერგია **21.30** ჩვენი მისამართია **22.10** მხ. ფილმი "გონებრივი შემოტევა".

### კავკასია

**12.00** მხ. ფილმი "შიშველი პისტოლეტი 2" **13.30** მხ. ფილმი "ჯუმანჯი" **15.00** მხ.ფილმი "უკიდურესი ნორმები" **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.15** მხ.ფილმი "ნიღაბი" **19.20** სპექტრი **21.00** მხ. ფილმი "შიშველი პისტოლეტი 3".

### იბერია

**08.00** ანონსი, აღსავალი **08.05** დიალოგი **10.30** მხ. ფილმი "ორმაგი მკვლელობა" **12.30** დოკ. ფილმი **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 22.45** ახალი ამბები **13.10, 18.00** დოკ. ფილმი **14.50, 17.20, 18.30, 19.30, 21.35, 23.30** მუსიკა **15.15** მხ. ფილმი "ვიქტორ ფოგელი, რეკლამების მეფე" **17.30** მულტფილმი **18.45** ბუნების ფერები **19.45** გადაცემა - მურადა **20.00** მხ.ფ. "ბორნის იდენტიფიკაცია" **22.00** დიალოგი **23.45** მხ. ფილმი "კისრისტეხით" **01.30** ღამის ფილმი.

### მეცხრე არხი

**09.30** სერიალი "ყრმა სახელად იესო" **10.20, 15.20, 16.20, 17.20, 19.50 20.20** მუსიკა **10.30** მულტსერიალი "ტომი და შინა" **11.00** სერიალი "პოლიციელი ქალი" **12.00** "ცხელი ცხრიანი" **12.40** მხ. ფილმი "ფრანგი მეკობრის ყური" **14.20** "ტელემეტრი" (განმ.) **14.30, 17.30, 20.30, 00.00** დღის ამბები **14.50** "ევროპის სტადიონებზე" **15.30** სერიალი "ღამის ექიმები" 1-ლი ს. **16.30** დოკ. სერიალი "ბასტერ კიტონი" **17.50** სერიალი "ყრმა სახელად იესო" **18.40** მულტსერიალი "ტომი და შინა" **19.00** სერიალი "პოლიციელი ქალი" **20.00** "ევროპის სტადიონებზე" **21.15** სერიალი "ღამის ექიმები" **22.00** მხ.ფილმი "მთავარი ეჭვმიტანილი" **23.30** კინოგადაცემა "ნუმერატორი" **00.20** მხ. ფილმი "ჩიტები".

### იმედი

**09.00, 10.55, 13.55, 15.55, 17.55, 20.55** ქრონიკა **09.05, 13.15, 17.20, 01.35** იმედის მელოდიები **09.30** სერიალი "იუდას ქალი" **10.30** ლარის მახე **11.05** თამაში "ბოიარის ციხესიმაგრე" **12.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00** ქრონიკა **12.10** სერიალი "ექიმი მარტა და მისი პაციენტები" **13.30** სერიალი "უკიდურესი ზღვარი" **14.05** სერიალი "მკვლელობის ილუზია" **15.15** მხ. ფილმი "დიდი ბიზნესი" **17.30** "ერთხელ ჰოლივუდში" **18.05** სერიალი "იუდას ქალი" **19.30** სერიალი "ექიმი მარტა და მისი პაციენტები" **20.30** არტ-ბულვარი **21.05** სერიალი "მკვლელობის ილუზია" **23.00** სერიალი "ჩამსხვრეული ლამპიონების ქუჩები" **23.55** ფანების კინოკლუბი "უკვდავი სიყვარული".

### აჭარა

**08.00, 03.00** საინფორმაციო დაიჯესტი **08.20** დოკუმენტური ფილმი **09.00, 12.00, 16.00** საინფორმაციო გამოშვება **09.10** სათავგადასავლო ფილმი "შევარდენის კვალი" **10.45, 17.05, 01.00** მუსიკა **11.15** დოკუმენტური ფილმი **12.10** მხატვრული ფილმი "რახმონი" **13.45, 19.45** ვიდეოარტი **13.50** ფილმი-კატასტროფა "კასანდრას უღელტეხილი" **16.10, 19.20, 22.20, 00.20** საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" **16.20** მულტფილმი "სათამაშოების მაღაზია" **17.30** "ქართული კინო" **19.00, 22.00, 00.00** საინფორმაციო გამოშვება "დღეს" **19.40, 22.40** "პრესდაიჯესტი" **19.50** მელოდრამა "გონება და გრძნობები" **22.45** "ალტერნატივა" **23.00** დოკუმენტური ფილმი **00.45** საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე **00.50** საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე **00.55** საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე **01.15** კომედია "მეექვსე მოთამაშე" **03.30** მხატვრული ფილმი "ხიდი მდინარე კუაიზე".

### VII არხი

**09.10** მელოდია **09.20** "აჩიკუდა" **09.40** აუდიო-ვიდეო-ტელე **10.30** მელოდია **10.40** კომპიუტერული ტექნიკა **11.10** მელოდია **11.20** მობილურები **12.10** მელოდია **12.20** კომპიუტერული თამაშები **12.25** დისნეი და მისი მეგობრები **12.50** საყოფაცხოვრებო ტექნიკა **18.20** საყოფაცხოვრებო ტექნიკა **19.00** "აჩიკუდა" **19.25** მელოდია - მოკლე შეტყობინებები **20.25** მობილურები **21.15** მსოფლიო ჩემპიონატების ლეგენდები **21.30** კომპიუტერული თამაშები **21.35** დოკ.ფილმი "ბრძოლა წესების გარეშე" **21.55** აუდიო-ვიდეო-ტელე **22.40** "კინოკლუბი " - "წითელი ნაპირი". მძაფრსიუჟეტიანი. რეჟ: გორდონ ბოსი. როლებში: ჯორჯ კლუნი, დუგ სევენტი. **00.10** მელოდია **00.20** ტელესერიალი - "დეტექტივ დუბროვსკის დოსიე" - მე-13 სერია **01.05** კომპიუტერული ტექნიკა **01.40** ანონსი.

### ОРТ

**07.00** "Доброе утро!" **10.00, 13.00, 16.00, 19.00** Новости **10.15, 21.00** Сериал "Земля любви, земля надежды" **11.10** Сериал "Ребята из нашего города" **12.05** "Ударная сила" **12.35** Дисней-клуб: "Чудеса на виражах" **13.15** Боевик "Шестой" **14.50** "Непутевые заметки" **15.10** Э. Радзинский. "Золотой век авантюристов". Фильм 3 **16.15** Док.сериал "Дикие штучки" **16.45** Комедия "Откровенный разговор" **18.30** Док. детектив "Последний полет "Летучего голландца" **19.20** "Смехопанорама" **19.50** Худ.фильм "Сокровища мертвых" **22.00, 00.30** "Время" **22.30** Сериал "Крестный отец" **23.35** Сериал "Шпионка" **01.00** "Идолы". Д.Чан **01.30** "Искусство делать деньги" **02.00** Триллер "Тайна вкладов".

### РТР

**06.00** "Доброе утро, Россия!" **09.45, 21.55** Сериал "Каменская" **10.50** Сериал "Возвращение Будулая" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** "Вести" **12.30, 15.10, 17.40, 21.30** "Местное время. Вести - Москва" **12.50** Ток-шоу "Короткое замыкание" **13.50** Детектив "Марш Турецкого 2" **14.50, 17.30, 00.20** "Вести. Дежурная часть" **15.30** Ток-шоу "Что хочет женщина" **16.30** Сериал "Семейные тайны" **18.10** Сериал "Гражданин начальник" **19.05** Сериал "Линия защиты" **20.00** Сериал "Комиссар Рекс" **21.50** "Спокойной ночи, малыши!" **23.00** Детектив "Марш Турецкого 2" **00.00** "Вести +" **00.40** Худ.фильм "Я сама" **02.10** "Дорожный патруль" **02.25** "Горячая десятка" **03.20** Сериал "От Земли до Луны" **04.20** Мелодрама "Перекрестки".

### НТВ

**07.00** "Утро на НТВ" **10.00** Золотой фонд НТВ. "Намедни-93" **11.00** "Сегодня утром" **11.20** Худ.фильм "Фронт без флангов", 2 с. **13.00, 16.00, 18.00, 20.00, 02.00** "Сегодня" **13.35** Ток-шоу "Страна советов" **14.35** Сериал "Крот" **15.45** "Криминал" **16.35** "Принцип "Домино". "Стареть или не стареть?" **18.25** Сериал "Скорая помощь 3" **19.25** "Чистосердечное признание" **20.35** Сериал "Улицы разбитых фонарей" **21.50** Сериал "Крот" **23.00** "Страна и мир" **23.30** Сериал "Клан Сопрано" **00.45** Сериал "Улицы разбитых фонарей" **02.20** "Гордон" **03.20** Сериал "Воры".

# წმინდა ცოდვილი

მიკი რურკი

*მას დიდი დაცემა დასჭირდა იმის მისახვედრად, რომ მსახიობადაა დაბადებული, და აი, ნარკოტიკების "დიდოსტატის" როლით ფილმში* Spun *მიკი რურკმა სენსაციური დაბრუნება იზეიმა.*



კერი ოტისი და მიკი რურკი

არსებობენ ადამიანები, რომელთაც კათოლიციზმის ძლევამოსილებაში ეჭვი არ ეპარებათ. მიკი რურკი სწორედ მათ რიცხვს მიეკუთვნება. მას ზურგზე ჯვარი აქვს ამოსვირინგებული. ის ყოველდღიურად ლოცულობს და კვირაში ორჯერ წმინდა ვინსენტის ეკლესიაში ღვთისმსახურებას ესწრება. მისი რწმენა უსაფუძვლო როდია – ერთი-ორ ჰოლივუდის ვარსკვლავს თუ გაუვლია მსგავსი "განსაწმენდელი".

როგორც ჩანს, 47 წლის მიკის კვლავ "გათავისუფლების ფაზა" დაუდგა. 90-იანი წლების დასაწყისის შემდეგ მას ასეთი აღმასვლა არ ჰქონია. Spun-ში, კოვბოის სამოსში გამოწყობილი, ის მაყურებლის აღფრთოვანებას იწვევს; ერთი თვის შემდეგ კი ის "ერთხელ მექსიკაში" განგსტერის როლს თამაშობს, ასეთივე წარმატებით.

მაგრამ მიკი რურკის "აღდგომა" ასეთი შთამბეჭდავი არ იქნებოდა, რომ არა მისი დაცემა. ერთი ხანი ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ის ჰოლივუდის ვარსკვლავის სახეს დაიბრუნებდა.

პირველად "მძიმე დრო" რურკის ცხოვრებაში 19 წლის ასაკამდე გაგრძელდა. მოძალადე მამინაცვლის გარდა ოჯახში ხუთი არცთუ სათნო ნახევარძმის ატანაც უწევდა. თავის გადარჩენის ერთადერთი საშუალება მუშტი-კრივი იყო, კრივი კი ეხერხებოდა. შესაბამისად, გარკვეული პატივისცემის მოპოვება შეძლო, მაგრამ პერსპექტივა მაინცდამაინც ნათელი არ ჩანდა, დიდი-დიდი, კრიმინალური ავტორიტეტობისთვის გამოეკრა ხელი. მაგრამ რურკმა სხვა გზა აირჩია და ნიუ იორკისკენ აიღო გეზი – მსახიობობა უნდოდა.

მას გაუმართლა: 1972 წელს ლი სტრასბერგის სამსახიობო სტუდიაში მიიღეს, სადაც ათასობით მსურველიდან ყოველწლიურად მხოლოდ ხუთს ირჩევდნენ ხოლმე. თავად რურკის თქმით, ის ხუთი წლის განმავლობაში ბერივით ცხოვრობდა და მხოლოდ სწავლობდა. ჭორად ამბობენ, სტუდიიდან იმიტომ წამოვიდა, რომ საკუთარ ტემპერამენტს ვერ გაუმკლავდაო, მაგრამ ეს დაუსაბუთებელი ცნობებია – კაცმა არ იცის...

ასე თუ ისე, ფაქტია, რომ სამოცდაათიანი წლების დასასრულს რურკი ლოს ანჟელესში გაემგზავრა და იქ პატარ-პატარა როლებს ასრულებდა.

1986 წელი რურკისთვის დიდი გამარჯვებით აღინიშნა: "9 1/2 კვირაში" შესრულებული როლის წყალობით ის მთელი თაობისთვის ეროტიკულ სიმბოლოდ იქცა. ამ ფილმს "ანგელის გული" მოჰყვა, სადაც მას რობერტ დე ნიროსთან ერთად მოუწია მუშაობა.

არადა, მსახიობმა დიდ გაუგებრობაში ამოჰყო თავი: "ჩემთვის მსახიობობა ხელოვნების სახეობა იყო, რომელიც ჭეშმარიტების ძიებას ემსახურება. მაგრამ შოუ-ბიზნესში ყველაფერი ერთობ ზედაპირულად ხდებოდა," ამბობს დღეს მიკი რურკი. სილვესტერ სტალონეს მეგობრული რჩევა, ყველაფერს ისე მისდგომოდა, როგორც ფულის შოვნის საშუალებას, რურკმა ყურად არ იღო. ამას მან მთელი სისტემის უარყოფა და პროდუსერებთან ჩხუბი ამჯობინა. მერე რა, რომ დიდ წარმატებას მიაღწია – მიკი გეტოდან გამოსულ აგრესიულ ბიჭად რჩებოდა, და თავს არავის დააჩაგვრინებდა.

მიუხედავად იმისა, რომ ეს ყველაფერი მისთვის, მისივე თქმით, "გულისამრევი იყო", რურკი ფუფუნებამ ჩაითრია: ექვსი მცველი, მოოქროვილი როლსროისი, მდიდრული აგარაკები... ამ ფუფუნების შესანარჩუნებლად მან "სული ეშმაკს მიჰყიდა", ათასგვარ ბრიყვულ როლზე თანხმდებოდა, ცხადია, დიდი ანაზღაურების საფასურად: 1991 წელს სათავგადასავლო ფილმ Harley Davidson and the Marlboro Man-ში შესრულებული როლისთვის 2,6 მილიონი დოლარი მიიღო. რურკი იხსენებს: "თავადაც მიკვირდა, რომ ასეთ რამეებში ვიღებდი მონაწილეობას".

მისი ფსიქოლოგიური კატასტროფა ჯერ კიდევ 1987 წელს დაიწყო: ბუკოვსკის Barfly-ს გადაღებების დროს ისეთი ფობიები განუვითარდა, რომ სახლიდან გასვლაც აღარ შეეძლო.

1990 წელს, "ველური ორქიდეას" გადაღებებზე მიკიმ მასზე ათი წლით უმცროსი მოდელი, კერი ოტისი გაიცნო. თითქოს ესმოდათ ერთმანეთისა – ორივე ფსკერიდან იყო ამოსული – მაგრამ ქორწინებას შვება არც ერთისთვის არ მოუტანია. საქმე იქამდე მივიდა, რომ რურკს სასამართლოც კი ემუქრებოდა, მეუღლის ცემისთვის, და მხოლოდ თავად ოტისის წყალობით გადარჩა – ქალმა არ უჩივლა, ალბათ, მადლიერების გამო, რადგან ასეთი იყო თუ ისეთი, რურკმა ის ჰეროინისგან "გამოიხსნა".

საკუთარ "ეშმაკებთან" საბრძოლველად რურკმა ძველი, უკვე ნაცადი ხერხი აირჩია: კრივი; 1992-დან 1997 წლამდე თერთმეტ ორთაბრძოლაში მიიღო მონაწილეობა. "როცა კვლავ ვიგემე, რა სასიამოვნოა დისციპლინა, ისიც გამახსენდა, რომ არც მსახიობობაა ურიგო რამ," იხსენებს რურკი.

მაგრამ დაბრუნების სურვილი ერთია, მისი განხორციელება კი – სულ სხვა. რამდენიმე წლის განმავლობაში რურკმა მთელი ქონების განიავება მოასწრო, არც ჰოლივუდში უხაროდა ვინმეს ამ "ბოროტ ბიჭთან" საქმის დაჭერა. შინაგან პრობლემებს მიკი კვლავ კრივით, ბოდიბილდინგით და ფსიქოთერაპიით ებრძოდა.

ამჟამად კი ყველაფერი კარგადაა. როგორც მოგახსენეთ, მიკი ეკრანსაც ზარ-ზეიმით დაუბრუნდა და ოტისსაც კი შეურიგდა. ამჟამად ის წესიერი ბიჭია და ჰოლივუდში ქირქილებენ, ალბათ მისი შემდეგი როლი რომის პაპისა იქნებაო...














## წამალი "სალხინო"
### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.